სპორტი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 20 დეკემბერი 2004 №295 (2316) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალაძეს მუხლში იუვენტუსი დაეჯახა

ბუნდესლიგის მერე, ამ უქმეებზე, სერია A-საც დაეწყო არდადეგები, კალენდარი კი ისე იყო შედგენილი, რომ ნახევარსეზონის მთავარი მატჩი სწორედ შობისწინა ტურში გაიმართა. „დელე ალპიზე“ ვერც „იუვენტუსმა“ შეძლო ლიდერობის შვიდ ქულამდე განმტკიცება და ვერც „მილანმა“ მოახერხა „ბებერ ქალბატონთან“ ერთ ქულამდე მიახლოვება. ამათ შეხვედრაში გოლი არ გასულა, ჩვენ კი კახა კალაძის ტრავმამ დაგვაღონა. კალაძის ტრავმის სიმძიმეზე ექიმები დღეს იტყვიან ზუსტ პასუხს და იმედი გვაქვს, საგანგაშო არაფერი იქნება.

ქართველი ფეხბურთელი ვახსენეთ და, მეორე ქართველმა, შოთა არველაძემ კიდევ ერთი რეინჯერსული გოლი გაიტანა. ამ კვირაში შოთასკენაც გვექნება ყურადღება, ოღონდ სულ სხვა მიზეზით — მის რეინჯერსელობას ვადა გასდის და მალე ალბათ სხვა კლუბს მიაშურებს. ახსენებენ „გალათასარაის“, თუმცა არველაძისვე თქმით, „ტრაბზონის“ მერე სხვა თურქულ კლუბს ახლოს არ გაეკარება.

სხვა ევროპული ამბებიდან კი „ბარსელონასა“ და „ვალენსიას“ გაწევ-გამოწევაა გამოსარჩევი, თუმცა ამ ნაღდ ბრძოლაში გამარჯვებული არავინ დარჩენილა. „რეალმა“ კი ბოლო წუთის გოლით მოიგო სანტანდერში, არადა, ორჯერ ჩამორჩებოდა მასპინძელს.

ინგლისში ყველამ მოიგო, „ჩელსიმაც“, „არსენალმაც“ და „მანჩესტერმაც“. ანუ ჩვეულებრივი ტური იყო.

„რეინჯერსს“ გაშორებულ შოთა არველაძეს ჯერაც „რეინჯერსისთვის“ გააქვს

დინამომ ავიამშენს 88 იქით დაუშინა 85

„დინამოდან“ ორი წლის წინ გაშვებული და დიდ კალათბურთში „ავიამშენის“ მწვრთნელობით დაბრუნებული ლევან მოსეშვილი ვერ ახერხებს იმ გუნდის ჯავრის ამოყრას, რომელშიც ჯეელობიდან მოყოლებული ჯერ მოთამაშე იყო და შემდეგ თავკაცი. ახალგაზრდულმა „დინამომ“ წლეულს უკვე მეორედ აჯობა მის „ავიამშენს“, გუნდს, რომელიც სხვებზე წელგამართულიცაა და შემადგენლობითაც ყველა ქართულ კლუბს აღემატება. ნურავინ გვიწყენს და, ვფიქრობთ, ეს „დინამო“ იმ „დინამოს“ ჯობს, ფული რომ თავზე გადასდიოდა და უცხოელ მწვრთნელს ათასებს ახარჯავდა.

ჯანი გავარდეს, ისევ ჯანი იყოს

ვიტ ჭორჭია ეთამაშებოდა წარსულში ეძებს

ჯანი ჯარნევალის და „ვიტ ჯორჯიას“ გზები ისევ გადაიჯვეთა. გნებავთ, ასე ვთქვათ: ჯანი ჯარნევალი და „ვიტ ჯორჯია“ მესამე წრეზე წავიდნენ. თუმცა, გინდ ისე თქვი, გინდ ასე, მთავარი ერთია: ადრევე ნავარაუდევი გარიგება გუშინწინ ოფიციალურად გაფორმდა და ჩემპიონატის მეორე ეტაპზე საქართველოს ჩემპიონს იტალიელი გაწვრთნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტ ჯორჯიამ ორწრიული შეაჯახა

ბაბრი ჯიმილაძის ფოტო

თითქოს მოულოდნელიც არაფერი მომხდარა... იტრიალა „ვიტ ჯორჯიას" სამწვრთნელო ჯარუსელმა, იტრიალა და ის მოხდა, რასაც ყველა ელოდა – საქართველოს ჩემპიონის საჭე იტალიელ ჯანი ჯარნევალის ჩაბარდა...

ეს ამბავი ოფიციალურად გუშინწინ დამტკიცდა. წელიწადნახევრიანი განშორების შემდეგ კარნევალი „ვიტ ჯორჯიაში" დაბრუნდა და მერაბ კოჭლაშვილის წასვლით გამონთავისუფლებული ადგილი დაიკავა. წინასწარი შეთანხმებით, იგი სეზონის ბოლომდე გაწვრთნის გუნდს.

კარნევალი ვეტერინარებს 2003 წლის ივნისში, ინტერტოტოს თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ავსტრიულ „პაშინგთან" გავარდნის მერე გაეყარა, თუმც კლუბთან კავშირი არ გაუწყვეტია — სინიორ ჯანი აქამდე „ვიტ ჯორჯიას" მენეჯერად მუშაობდა.

დღეს კი კარნევალი მთავარი მწვრთნელია. ისევე, როგორც წელიწადნახევრის წინ, იტალიელის თანაშემწე ზურაბ ბერიძე იქნება, რომელიც ბოლოს ვეტერინართა ფარმაკლუბ „საგარეჯოს" წვრთნიდა.

საინტერესოა, რას ფიქრობს ძველი ახალი თავკაცი ძველ ახალ გუნდზე. ჯანი კარნევალის გუშინ გავესაუბრეთ, თუმც იტალიელმა ვრცელი ინტერვიუსგან თავი შეიკავა, ყველაფერში საბოლოოდ გაერკვევი და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთო...

— სინიორ ჯანი, გილოცავთ მთავარ მწვრთნელად დანიშვნას...

— დიდი მადლობა. გუშინ შევხვდი კლუბის პრეზიდენტს და ეს ამბავიც საბოლოოდ მაშინ გადაწყდა.

— კმაყოფილი ხართ?

— ყოველთვის ვამბობდი, რომ საქართველოში დაბრუნებაზე უარს არასოდეს ვიტყოდი. ახლა „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი ვარ, ეს კი ჩემთვის უცხო სულაც არაა. „ვიტ ჯორჯია" ჩემი გუნდია.

— რაც უნდა იყოს, მაინც ახალი მწვრთნელი ხართ და გუნდში ბევრ რამეს შეცვლით?

— ბოდიში, მაგრამ კონკრეტულად ვერ გიპასუხებთ. ჯერ ბიჭებს უნდა შევხვდე, ყველაფერი გავარკვიო და ამ კითხვისთვის მერე ვიქნები მზად. ჯერ საქმე ხეირიანად არც დამიწყია.

სინიორ ჯანის ამით დავემშვიდობეთ, ჩვენ კი გეტყვით, რომ „ვიტ ჯორჯია" მზადებას თბილისში დაიწყებს და მოგვიანებით ანთალიურ შეკრებაზეც გაემგზავრება, რა თქმა უნდა, კარნევალისთან ერთად.

კახა შალამბერიძე

სად წავა არველაძე რეინჯერსიდან?

შოთა სანაპრებო მარტსაც დაუცდის

გუშინ შოტლანდიის ჩემპიონატის მე-19 ტურში „რეინჯერსმა" სტუმრად „ჯილმარნოკს" 1:0 მოუგო და ეს ერთადერთი გოლი შოთა არველაძემ გაიტანა.

. არველაძეს გუშინვე დავურეკეთ შოტლანდიაში და გოლის გარდა სხვაზეც ვალაპარაკეთ – „სარბიელის" წინა ნომერში გაუწყეთ, რომ შოთა „რეინჯერსთან" კონტრაქტს არ გააგრძელებს.



ტრაბზონული სიყვარული არ გაიცვლება

— „ჯილმარნოკს" როგორი გოლი გაუტანე?

— ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი მკერდით ჩამოვიღე და თერთმეტმეტრიანის ნიშნულის სიახლოვიდან ცაციათი შევაგდე.

— ხიზანიშვილმა რატომ არ ითამაშა?

— მწვრთნელმა ის უბრალოდ დაასვენა.

— „ჯილმარნოკთანაც" ნახევარმცველად ითამაშე?

— 65-ე წუთამდე ფორვარდი ვიყავი, მერე ნამუში შეცვალეს და ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე გადავედი.

— გადაწყდა, რომ „რეინჯერსთან" კონტრაქტს არ გააგრძელებ...

— ეგრეა, ამ სეზონს „რეინჯერსში" ჩავამთავრებ და მერე აქედან წავალ — ამ გუნდში ოთხი სეზონი გამომივა ნათამაშევი.

— შენი მომავალი გუნდი ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გაირკვევა?

— ყოველ შემთხვევაში, ზამთრის სატრანსფერო დროს არსად გადავალ — ამ პერიოდში ჩემი აყვანა მეტწილად ისეთ გუნდებს სურთ, რომლებსაც უჭირთ, მე კი ასეთ გუნდში გადასვლა არ მსურს.

— კარიერის თურქეთში გაგრძელებაზე სერიოზულად ფიქრობ? შენს აგენტ ივან ბენეშს არაერთხელ უთქვამს, რომ შოთა არველაძე „გალათასარაის" სურს.

— თურქეთში თუ წავალ, მხოლოდ „ტრაბზონსპორში" — იქ იმდენი სითბო და სიყვარული მოვიპოვე, რომ სხვა თურქულ გუნდში თამაშში ამას ნამდვილად ვერ გავცვლი, თორემ მოწინავე თურქულ კლუბებში გადასვლა მართლაც შემიძლია.

— მაინც სად უფრო გირჩევნია თამაში?

— იქ, სადაც ჩემი ოჯახისთვის უკეთესი იქნება, მაგრამ აქ კიდევ ერთი ფაქტორია — ეროვნული ნაკრები. ძალიან ვგულშემატკივრობ და მხარს ვუჭერ ალენ ჟირესს, რადგან ხალხმა ახლა ჩვენი ნაკრები ირწმუნა. მოკლედ, თუ ნაკრებში თამაშს გავაგრძელებ, „რეინჯერსის" მერე სერიოზული საკლუბო კარიერის გაგრძელებაზეც უნდა ვიზრუნო.

— თუ ნაკრებში თამაშს გავაგრძელებ — ეს რას უნდა ნიშნავდეს?

— მარტში ორი მატჩი გვაქვს, ჯერ საბერძნეთთან და მერე თურქეთთან — ამ თამაშებში კარგად გამოჩნდება, რამდენად სერიოზულია ჩემი როლი ნაკრებში. ალბათ გახსოვთ, რომ ამ ციკლის დაწყების წინ ნაკრებში თამაშს ვყოყმანობდი, მაგრამ ჟირესმა დამარწმუნა, რომ გუნდისთვის საჭირო ვიყავი და ვფიქრობ, ნაკრებმა ოთხი ქულა რომ აიღო, ამაში მეც მიმიძღვის წვლილი.

— ხიზანიშვილის და „რეინჯერსის" საქმე როგორ იქნება?

— ზურა ალბათ გაგრძელებს კონტრაქტს „რეინჯერსთან".

დავით თავართქილაძე

კიევველების ხან ასე, ხან ისე

ამისულაშვილს დინამო იტოვებს

ჩვენ არ ვაპირებთ ალექსანდრე ამისულაშვილის, ანდრეი პროშინის, რუსლან ბიდნენკოს და სერგეი კორნილენკოს გაშვებას — ნათქვამია კიევის „დინამოს" განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ინფორმაციით, ამ ფეხბურთელებს რუსული „როსტოვი" უცხოურ შეკრებაზე წაყვანას და გასინჯვას სთავაზობდა. თითქოს კიეველებიც თანახმანი იყვნენ, მაგრამ საქმე თურმე სხვაგვარად ყოფილა. გუშინ გაირკვა, რომ „დინამომ" როსტოველთა წინადადება შორს დაიჭირა და სხვებთან ერთად ქართველი მცველიც გუნდში დაიტოვა.

აქვე იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ მოსკოვში ყოველწლიურ „თანამეგობრობის თასზე" კიეველები ძირითადი შემადგენლობით თამაშს არ აპირებენ, ალეკო ამისულაშვილის უახლოეს გეგმებსაც დავადგენთ — ჩვენებური იანვარში სწორედ მოსკოვურ ტურნირზე გაჰყვება გუნდს.

კახა შალამბერიძე

რას ეტყვიან ექიმები კალაძეს?

გუშინწინდელი „იუვენტუსი“ — „მილანი“ უიღბლო გამოდგა კახა კალაძისთვის. სტუმართა ქართველი მცველი მეორე ტაიმში მძიმედ დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.

არადა, მანამდე კალაძე მშვენივრად თამაშობდა — მილანელთა მარცხენა ფრთას უნარიანად პატრონობდა და არაერთი მწვავე შეტევაც წამოიწყო. უცხოური პრესაც აღნიშნავს, ქართველმა ტურინელ გარემარბებს გვარიანი პრობლემები შეუქმნაო.

ავბედით 62-ე წუთზე კი ჩვენებური მასპინძელთა ფრანგ ჯონათან ძებინას შეეჯახა და მარცხენა მუხლი დაიზიანა. შეგახსენებთ, რომ ამ მუხლის გამო კალაძეს სეზონის დასაწყისიც გაუცდა და ძლივს გამოჯანმრთელებულს ისევ უმტყუნა იღბალმა.

კალაძეს სრულ სამედიცინო გამოკვლევას დღეს ჩაუტარებენ. დღესვე გაირკვევა, საოპერაციოა თუ არა მილანელთა მარცხენა მცველი. წინასწარი დიაგნოზით, კახას მუხლის მყესები აქვს დაშავებული.

კახა შალამბერიძე

საახალწლო ბაზრობა შახტარში
ციმაკურიძეს იმედით უშვებენ

დონეცკის „შახტარმა“ ერთბაშად 19 ფეხბურთელი დააყენა ტრანსფერზე და მათ შორისაა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველი გიორგი ციმაკურიძეც, რომელიც „შახტარი 2“-ში თამაშობდა.

დონეცკელები აქამდეც ამბობდნენ, ციმაკურიძის გასხვისება გვინდაო, თუმც ჩვენებურის სანაცვლოდ მოთხოვნილი თანხის გადახდა არც ერთმა კლუბმა არ ისურვა.

— ჩვენ ამ ბიჭებს უნდა შევეღიოთ. იმედი მაქვს, ისინი სხვაგან უკეთესად წარმოაჩენენ თავს და შესაძლოა, ისევ დავიბრუნდნენ — განაცხადა „შახტარის“ სპორტულმა დირექტორმა ვიქტორ პროკოპენკომ.

შეგახსენებთ, რომ წინა სეზონში ციმაკურიძე უკრაინისვე პირველლიგელ ალჩევსკის „სტალში“ იყო განათხოვრებული და, სავარაუდოდ, ისევ იჯარის წესით გაუშვებენ. გავიგეთ, ჩვენებურით „სტალის“ გარდა პირველი ლიგის კიდევ რამდენიმე გუნდია დაინტერესებული.

კახა შალამბერიძე

ფოთის „კოლხეთი“ რომ საქართველოს ჩემპიონატის ეკვატორზე გასავარდნთა შორის არ იმყოფება, ეს დიდწილად სერგო გაბელაიას დამსახურებაა. გამოცდილმა მწვრთნელმა დაუძლურებული გუნდი მეორე წრის დასაწყისში ჩაიბარა და ქულების აღებასაც მიაჩვია. მართალია, ზღვისპირელებს საამსეზონოდ დიდი მიზნები არ აქვთ, მაგრამ ზამთრის შესვენებაზე რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერებას აპირებენ.

პირველი-მეორე წრეები ჩემპიონატის დონე, „კოლხეთის“ სუსტი და ძლიერი მხარეები — სერგო გაბელაია ამ ყველაფერზე...

გაბელაიამ კოლხეთი დაძრა, ჩემპიონატი კი მაგრად დგას


ბადრი ჯეიანების ფოტო

— 24 დეკემბერს კლუბის პრეზიდენტს უნდა შევხვდე. გადავწყვეტთ, რომელ ფეხბურთელებს შევიძენთ და ვისზე გვეჭირება თვალი. იქამდე კი სიახლეს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ახალი მოთამაშეები ნაღდად დაგვემატებიან.

— ზამთრის შესვენებაზე სად მიდიხართ შეკრებაზე?

— საქართველოშივე გვექნება ორი შეკრება. ვფიქრობ, ეს საკმარისია საიმისოდ, რათა გუნდმა ტონუსი შეინარჩუნოს.

— რატომ, „კოლხეთი“ ხომ თითქმის ყოველთვის საქართველოს გარეთაც ემზადებოდა?

— წარმოიდგინეთ, ავტობუსით წასვლა-წამოსვლას 5-6 დღე მოვუნდებოდით. ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ძალების აღდგენაში კი ერთი-ორი დღეც უნდა გასულიყო და, მგონი, ზედმეტად დაქანცვა არ ღირს...

— ლიცენზირების პროცესში „კოლხეთიცაა“ ჩართული. სტადიონის და ბაზის მხრივ პრობლემები გაქვთ და როგორ უნდა მოუაროთ ამ საკითხს?

— ცოტა რთულ სიტუაციაში ვიყავით. ფოთის ცენტრალურ სტადიონზე ჩვენ გარდა „კოლხეთის“ ფარმკლუბიც თამაშობდა, ჩვენც იქ ვვარჯიშობდით და ხომ წარმოგიდგენიათ, გაზონი რა დღეში იქნებოდა. 24 დეკემბერს ამ თემაზეც ვილაპარაკებთ. მათ იციან, რომ მინდორს გაფრთხილება სჭირდება და ამ პრობლემას მოგვიგვარებენ.

— ანუ გაისად სხვა სტადიონზე ივარჯიშებთ?

— დიახ. ცენტრალური სტადიონის გვერდით არის ერთი მინდორი, პორტის სიახლოვეს კიდევ ერთი სტადიონია. მოკლედ, ცენტრალურზე მხოლოდ ვითამაშებთ.

— ახლა პირველ-მეორე წრეებზეც ვთქვათ. რის ხარჯზე მოუმატა თამაშს „კოლხეთმა“?

— პირველი წრის შემდეგ გუნდს 3 ქულა ჰქონდა და მეორეში 16 ქულა ავიღეთ. ჩემ მისვლამდე რა ხდებოდა, ეს ცალკე თემაა და მე არ მეკითხება. რის ხარჯზე მოუმატეთ? გუნდში მთლიანად შევცვალე ყველაფერი, ნულიდან დაწყება მომიხდა. ფსიქოლოგიურადაც წელში გაიმართა „კოლხეთი“, ანუ თამაშს დაწყებამდე აღარ ვაგებდით. პირველ რიგში ბრძოლისუნარიანობა — ეს იყო ჩემი მოთხოვნა. ფეხბურთელებიც ამყვნენ და შედეგიც მივიღეთ.

— ტაქტიკურადაც გადააწყვეთ გუნდი?

— დიახ. ერთი ტაქტიკით არცერთი გუნდი არ თამაშობს, მწვრთნელს რამდენიმე სქემა უნდა ჰქონდეს და, მადლობა ღმერთს, გადაწყობა არ გვიჭირდა.

— თქვენი შეგირდებიდან ვის გამოარჩევდით?

— ყველამ იბრძოლა. ამიტომაც გამორჩევა მიძნელდება. ისე კი, ეს ნახევარი სეზონი 12-13 კაცით ვითამაშეთ. სათადარიგოებიანად სრული შემადგენლობით თითქმის არცერთ მატჩში არ გვითამაშია, ზოგჯერ 6-7 ფეხბურთელიც კი გვაკლდა. თანამედროვე ფეხბურთში მოკლე სკამით ძნელია თავის გატანა. ვოროზიამ და შალამბერიძემ ტრავმები უკვე მოიშუშეს და მათი გამოცდილება ძალიან შეეშველება გუნდს.

— თქვით, ფეხბურთელების დამატებას ვაპირებთო. უფრო რომელ რგოლს სჭირდება გაძლიერება?

— ნახევარდაცვას და თავდასხმას. უცხო თვალითაც ჩანდა, რომ დამამთავრებელ ფაზაში გვიჭირდა. საგოლე მომენტები უფრო კარგად უნდა გამოგვეყენებინა.

— ჩემპიონობის ფავორიტად ვინ მიგაჩნიათ?

— ჩემი აზრით, მთავარი ბრძოლა „დინამოსა“ და „ტორპედოს“ შორის იქნება. „თბილისიც“ ძლიერია, ვნახოთ...

— მთლიანად ჩემპიონატის დონეზე რას იტყვით, წინა წლებთან შედარებით ამაღლდა თუ დაეცა?

— 16 წელიწადია, მწვრთნელი ვარ და შედარება არ გამიჭირდება. — ჩვენი ჩემპიონატი წინ ვერ მიდის. ადრე უფრო რთული მატჩები იყო, ტემპიც მაღალი იყო და, ბოლოს და ბოლოს, გულშემატკივარიც მეტი დადიოდა სტადიონზე. ჩემპიონატმა ბევრი დაკარგა, რომ „ბათუმი“ და „კოლხეთი“ ველარ არიან ძველებურ დონეზე — როცა რეგიონებში ძლიერი გუნდებია, სულ სხვა აზარტი და ვითარება. თუმც, ტრადიცია რაღაც დონეზე შენარჩუნებულია, თორემ ფოთელებიც და ბათუმელებიც რამდენჯერ ყოფილან გავარდნის ზღვარზე და მაინც გადარჩენილან...

ილია ნანოგაშვილი

ბაბარა ფულენგაშვილის ფოტო

ფანიაშვილი ფანებს ეჩვევა
გავლენ ქართველი მსაჯები უეფას თასის ჯგუფიდან?

ლევან ფანიაშვილი ევროპას გაეჩვია და ბოლო ხანს საკმაოდ საპასუხისმგებლო მატჩები განსაჯა. ამ ცოტა ხნის წინ გერმანელთა და შოტლანდიელთა სანაკრებო შეხლას სჯიდა, 16 დეკემბერს კი უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მატჩზეც მიავლინეს: „ჰართსი“ — „ფერენცვაროში“ მოულოდნელად ხმაურიანი გამოდგა, თუმც ქართველი მსაჯი კმაყოფილია და სკოტ-მადიართა ჯახში მომხდარ ამბებზე გვიყვება...

— ვფიქრობ, ნორმალურად ვიმსაჯე. რა თქმა უნდა, იდეალური ვიყავით, არ ვამბობ, მაგრამ საპრეტენზიო არავისთვის მიმიცია.

— შეფასება უკვე მიიღეთ?

— არა, ჯერ ადრეა, შეფასებას ფედერაციაში გამოაგზავნიან და არა მგონია, რამე სახათაბალო ეწეროს. მატჩის მერე უეფას დელეგატმა გვითხრა, ყველაფერი კარგადაა, კმაყოფილი ვარო.

— თამაშისას რამდენიმე ინციდენტი მომხდარა...

— ეგ თამაშის მერე იყო. „ჰართსის“ და „ფერენცვაროშის“ მწვრთნელები ერომანეთს გაექაჩნენ. მათ შორის რა მოხდა, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ რაც დავინახე, ის კი ჩავწერე ოქმში. მწვრთნელები ბოლოს პოლიციამ გააშველა.

— „ჰართსის“ თავკაცს უთქვამს, მსაჯმა გოლი არ ჩაგვითვალაო...

— ჯარიმა იყო და რატომ ჩავუთვლიდი?! სადავო არაფერი ყოფილა, სიტყვა არ უთქვამს არავის.

— კეთილი. ამ თამაშამდე გერმანია — შოტლანდიის ნაკრებთა მატჩიც იმსაჯეთ...

— ის თამაში ამასთან არანაირ კავშირში არ იყო და ვერ ვიტყვი, გერმანია — შოტლანდია ძალიან კარგად ვიმსაჯე და იმიტომ დამნიშნეს უეფას თასზეო. უბრალოდ, ასე დაემთხვა და მოკლე ხანში ორი საერთაშორისო თამაში ვიმსაჯე.

— და რა განსხვავებაა საქართველოში და ევროპაში მსაჯობას შორის?

— მთავარი განსხვავება პუბლიკაა. ჩვენ არ ვართ გადაჭედილ სტადიონებზე მსაჯობას ჩვეულნი. თან იქ რაღაც სხვანაირად ხარ, ტემპი უფრო მაღალია, შესაბამისად, დატვირთვაც მეტია.

— არის შანსი, რომ მომდევნო ეტაპზეც იმსაჯოთ?

— ჯერ მაგაზე ლაპარაკი ადრეა. მომდევნო ეტაპებზე ალბათ უფრო მაღალრეიტინგიან მსაჯებს დანიშნავენ. სამწუხაროდ, მაგ დონეზე ჯერ არ ვართ.

— და როგორ უნდა მივიღეთ მაგ დონემდე? სადაც დაგნიშნავენ, კარგად უნდა იმსაჯო და დაგაწინაურებენ თუ სხვა რამაცაა საჭირო?

— მთავარი კარგი მსაჯობა კია, მაგრამ უეფაში სხვა რამეებსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მოედანზეც და მის გარეთაც ისე უნდა იმოქმედო, რომ უეფა შენით დაინტერესდეს.

კახა შალამბერიძე

ეს ბუნდესლიგაა: მუხლში ჩარჭობილი ჯხირები

იჩი, ლუდი და თავდამსხმელობა

დავით სირაძის (მარჯვნივ) პირველი ტრირული გოლის სიხარული

23 წლის დავით სირაძე საამსეზონოდ ბერლინის „უნიონიდან“ მეორე ბუნდესლიგის ტრირის „აინტრახტში“ გადავიდა, თუმც საქმეები მთლად კარგად ვერ აეწყო — სეზონის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე დაშავდა და პრობლემები შეექმნა.

მაგრამ სირაძე ალენ ჟირესისთვის კვლავაც საინტერესო ფეხბურთელია.

სირაძე ფართო დიაპაზონის მოთამაშეა, რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში, თუმც როგორც გუშინ გვითხრა, უკვე შეიგულა საკუთარი ამპლუა და სხვაგვარად აღარ სურს.

დათოსთან ინტერვიუში იმასაც ამოიკითხავთ, თუ რა სასტიკი და დაუნდობელია ბუნდესლიგა...

მანამდე კი გეტყვით, რომ იგი ახლა თბილისშია და გერმანიაში შობისთვის დაბრუნდება, 4 იანვრიდან „ტრირი“ ანთალიურ შეკრებაზე გადავა, ხოლო 21-ში ბუნდესლიგა განახლდება

— საამსეზონოდ ბერლინიდან ტრირში გადახვედი — სად უფრო მყუდროდ და უკეთ გრძნობდი თავს?

— ტრირს ძალიან შევეჩვიე, ქალაქი და ხალხი ისეთია, არაფერი მაკლია, გუნდშიც ძალიან კარგი ატმოსფეროა. მოკლედ, ტრირში ცხოვრებას უფრო კარგად შევეგუე, ვიდრე ბერლინს. ტრირი პატარა ქალაქია, გორზე ცოტა დიდი, მაგრამ ძველი და ლამაზი, მთელი ქალაქი გუნდის ქომაგობით ცხოვრობს.

— „ტრირში“ არცთუ წარმატებით დაიწყე გამოსვლა და ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ნაადრევად წახვედი საქართველოდან, ჯობდა, „დინამოში“ გადასულიყავი, საქართველოში დარჩენილიყავი — ეთანხმები ასეთ შეხედულებას?

— როცა საქართველოს ჩემპიონატიდან ბუნდესლიგაში მიდიხარ, ძალიან ძნელია იქაურ დონეზე უცბად დადგომა. მაგრამ როცა „ტრირში“ ბოლო მატჩი ვითამაშე და გოლი გავიტანე, დავრწმუნდი, რომ თუ სათანადოდ მომზადებული ხარ, მეორე ბუნდესლიგაში თამაში ძნელი არაა — ფიზიკური მომზადება აქ ძალიან ბევრს ნიშნავს, მეორე ბუნდესლიგაში გუნდები მეტწილად სირბილის და ჯანის ხარჯზე თამაშობენ, თუმც არის გამონაკლისიც, მაგალითად, „კიოლნი“.

— „ტრირში“ რომ ყველაფერი კარგად არ წაგივიდა, ამას მხოლოდ ტრავმას აბრალებ?

— ვფიქრობ, ყველაფერი სწორედ ამ ტრავმის ბრალია — მეორე ბუნდესლიგის დაწყებას ერთი კვირა უკლდა, როცა თანაგუნდელმა კლაუს გრეშკოვიაკმა ვარჯიშზე კოჭში ჩამარტყა. ახლა თავად გრეშკოვიაკი საავადმყოფოში წევს, მუხლზე მეექვსე ოპერაცია გაიკეთა. მან ტრავმა ასე მიიღო — „კოტბუსს“ ვეთამაშებოდით და კოტბუსელ მიხაელ ტურკს მუხლი თავში მიარტყა, ტურკი მაშინვე ცუდად გახდა, რამდენიმე კბილი მოსტყდა, გრეშკოვიაკმა კი ექიმებს დაუყვირა, ტურკს უშველეთო, მაგრამ როცა მუხლზე დაიხედა, აღმოჩნდა, რომ ტურკის კბილები ჰქონდა შერჭობილი — გრეშკოვიაკს გული წაუვიდა, ოპერაციაც ამ ტრავმის გამო გაუკეთეს.

— მეორე ბუნდესლიგაში მსგავს ეპიზოდებს კიდევ შეესწარი?

— როგორ არა, ზოგს ფეხი სტყდება და ზოგს რა — ბუნდესლიგა საშიში ლიგაა.

— ამ საშიშ ლიგაში „ტრირს“ რა გეგმები აქვს საამსეზონოდ?

— საშინაო თამაშებში ძალიან დასანანი ქულები დავკარგეთ, ახლა მე-11 ადგილზე ვართ და ისე ჩანს, არგავარდნისთვის უნდა ვიბრძოლოთ, მაგრამ მეორე ბუნდესლიგის ყველა გუნდის მწვრთნელი პირველში გადასვლაზე ფიქრობს — ასეა ჩვენს შემთხვევაშიც.

— „ტრირის“ მწვრთნელ პაულ ლინცთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— სულ შეცვლებზე მათამაშებდა და ბოლოსკენ უკვე დაველაპარაკე — სასტარტოში მათამაშეთ თავდამსხმელად და გოლს გავიტან-მეთქი. პირველი წრის ბოლო მატჩამდე, ვარჯიშებზე, მთელი კვირის განმავლობაში თავდასხმაში მაყენებდა და „ზაარბრუკენთანაც“ პირველად ვითამაშე სასტარტოში, თანაც თავდამსხმელად და პირველი ტრირული გოლიც გავიტანე. საერთოდ, „ტრირში“ ფორვარდად თამაში რთული არაა, რადგან ძალიან სწრაფი ფლანგელები გვყავს და ჩაწოდებების ნაკლებობა არაა.

— გამოდის, რომ ნახევარდაცვაში თამაშს თავდამსხმელობა გირჩევნია...

— მართლაც, აღარ მინდა ნახევარმცველად თამაში.

— საქართველოს ჩემპიონატში მეტწილად ნახევარმცველად თამაშობდი. ერთი ეგ იყო, ლუის ცაკარიასის გაწვრთნილ „ლოკომოტივში“ რამდენიმე მატჩი თავდამსხმელად ითამაშე — რატომ გადაწყვიტე ასე ხელაღებით თავდამსხმელობა?

— „ტრირის“ ნახევარდაცვის ცენტრში პეკოვიჩი ისე თამაშობს, მწვრთნელი მას სკამზე ვერ დასვამს, ნახევარდაცვის ცენტრში კიდევ გრეშკოვიაკი და რაისი თამაშობენ, საკმაოდ კარგი ფეხბურთელები, თავდასხმაში კი ლაბაკი და ზრდილიჩი, თუმც ზრდილიჩს გოლები ვერ გაჰქონდა და გუნდიდან უშვებენ. ამ ორ ფორვარდს პირველ ბუნდესლიგაში რამდენიმე სეზონი უთამაშია, მაგრამ ახლა მათგან ფაქტობრივად სახელებიღაა დარჩენილი. „ტრირი“ ახლა აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებს.

— „ტრირი“ აქცენტს ლეგიონერებზეც აკეთებს?

— „ტრირში“ ექს-იუგოსლავიელები უფრო მეტნი არიან, ვიდრე გერმანელები, გუნდში ყოველი მეორე ფეხბურთელის გვარი იჩით მთავრდება.

— ანაზღაურების მხრივ რა სიტუაციაა — მეორებუნდესლიგელის ხელფასი ბევრად ჩამოუვარდება პირველისას?

— მთლად ასეც არ არის. მაგალითად, ტრირელ ჰარი კოხს, შესაძლოა, ბევრ პირველბუნდესლიგელზე მეტი ხელფასი ჰქონდეს.

— თავდამსხმელად რომ აპირებ თამაშს, შენს კოზირად თავით თამაშს მიიჩნევ?

— ლინციც ასე ფიქრობს, თუმც, ასე ვთქვათ, კაცზე წასვლა და მოტყუებაც შემიძლია.

— ნაკრების კანდიდატი ხარ და, ესე იგი, ფორვარდების კონკურენტიც...

— ეგრე გამოდის.

— შენი ტრირული დღის გრაფიკი როგორია?

— ვარჯიშიან დილის ათ საათზე გვაქვს ან სამზე, ხან ორჯერადი წვრთნაცაა. თანაგუნდელები სულ ერთად ვართ და ტრირში სხვა მეგობრებიც გავიჩინე, ტრირიდან ლუქსემბურგში ან საფრანგეთშიც გადავდივართ, თუნდაც მეცში, ტრირთან ეს ქვეყნები ძალიან ახლოა.

— გერმანული გუნდების ერთ-ერთ ტრადიციას, ლუდის სმას როგორ გაუშინაურდი?

— ცოტა ლუდს მეც მივირთმევ, ისე კი, გუნდს კვირაში ერთი ისეთი დღე აქვს, ყველას რომ შეუძლია დათვრეს, სტუმრად თამაშის შემდეგ კი კლუბის ხელმძღვანელობას ამოაქვს ლუდი გუნდის ავტობუსში.

დავით თავართქილაძე

ალანია ხაზინის და გუნდის შევსებას ელის

ვიტალი დარასელია

დარასელია და გვაზავა ოსეთს დაუბრუნდნენ

ვლადიკავკაზის „ალანიაში“ ბოლოჟამს ისეთი ვითარება იყო, ძაღლი პატრონს რომ ვერ სცნობს. ოსურ კლუბს გასაჭირი წინა წლებიდანაც ახსოვს, თუმც, როგორც ჩანს, საქმე უკეთესობისკენ მიდის. „ალანიას“ შაბათს უნდა დაეწყო სეზონისწინა შეკრება, მაგრამ არეულ-დარეულ გუნდს მხოლოდ სამმა ფეხბურთელმა ჩააკითხა, მათგან ორმა ქართველმა — ვიტალი დარასელიამ და ლევან გვაზავამ. მიხეილ ყაველაშვილი კი „ალანიას“ რომ აღარ გაეკარება, ეს აქამდეც ცხადი იყო.

ვლადიკავკაზელთა შეკრება ხვალ დაიწყება, ხოლო გუშინ გუნდის მთავარ მწვრთნელად ბახვა თედეევი დაინიშნა. თბილისის „დინამოს“ ყოფილი ნახევარმცველი უკვე შესამედ მივიდა „ალანიას“ სათავეში“ და, წესით, ქართველებს მისი გათავკაცება უნდა წაადგეთ — ლევან გვაზავას „ზიმბრუდან“ ოსეთში გადასვლა ხომ სწორედ მისი ინიციატივით მოხდა.

სიახლეა ისიც, რომ „ალანიას“ პრეზიდენტი ალექსანდრ ალბეგოვი იქნება, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთში ალკოჰოლური სასმელების მაგნატია. და კიდევ, ამ დღეებში ალანიელებმა ლიცენზირების პირველი ეტაპი უნდა გაიარონ, რათა მომავალ სეზონში პრემიერლიგაში ადგილი შეინარჩუნონ. საქმე ისაა, რომ ვლადიკავკაზელებს ხაზინა დაუცარიელდათ და ამის შედეგარე კრასნოდარის „ყუბანი“ მეძებარი ძაღლივითაა დაგეშილი, ეგებ „ალანიას“ ადგილი პრემიერლიგაში ჩვენ ვიყიდოთო...

მოკლედ, გვაზავა და დარასელია ჯერ ისევ ოსურ კლუბში არიან. სხვა საქმეა, უღირთ კი ჩვენებურებს იმ კლუბში დარჩენა, სადაც ძირითადში თამაში სანატრელი გახდომიათ? ან სხვა გუნდის ვარიანტი თუ აქვთ? ჯერჯერობით ამ მხრივ ახალი და რეალური არაფერი ჩანს...

ილია ნანოგაშვილი



ლევან გვაზავა

რა იოლია იოლის ხელში

ინგლისი

პრემიერლიგა. XVIII ტური

ჩელსი 4:0 ნორვიჩი

1:0 დაფი (10), 2:0 ლამპარდი (34), 3:0 რობენი (44), 4:0 დროგბა (83)

ჩელსი: პ. ჩეხი, პ. ფერეირა, ტერი, გალასი, ბრიჯი, ტიაგუ (პარკერი 76), მაკელელე, ლამპარდი, დ. დაფი, რობენი (კეუმანი 78), გუდიონსენი (დროგბა 60)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

ნორვიჩი: რ. გრინი, ედვორთი, ფლემინგი, დოჰერტი, ჩარლტონი, მ. იოსონი, ჰელვეგი, საფრი (მაკვეიგი 70), ბენტლი, ჰაკერბი, მ. სვენსონი (მაკკენზი 8)

მწვრთნელი: ნაიჯელ უორზინგტონი

მსაჯი: დინი

42 071 მაყურებელი

მანჩესტერ იუნ. 5:2 კრ. პალასი

1:0 სქოულზი (22), 1:1 გრენვილი (27), 2:1 სმიტი (35), 2:2 ჯოლკა (46), 3:2 ბოისი (48სკ.), 4:2 სქოულზი (49), 5:2 ოში (90)

მანჩესტერ იუნ: კეროლი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, კ. ფორჩუნი (ოში 32), ფლეტჩერი, როი კინი, სქოულზი, გიგზი, რუნი, ა. სმიტი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

კრ. პალასი: კირალი, ბოისი, სოროდო, ჰალი, გრენვილი, რუტლეჯი (გ. ენდრიუსი 81), რიიჰილაჰტი (სუარესი 69), ბ. უოტსონი, მ. ჰიუზი (ლაკისი 69), ჯოლკა, ენდრიუ ჯონსონი

მწვრთნელი: იან დოუვი

გაფრთხილება: გრენვილი

მსაჯი: დანი

67 814 მაყურებელი

ბლეკბერნი 0:0 ევერტონი

ბლეკბერნი: ფრიდელი, ნაილი, ტოდი, შორტი (ნ. იოჰანსონი 21), დ. მატეო, ს. რიდი, ფლიტკროფტი, ბ. ფერგიუსონი, ემერტონი, დიკოვი, ბოტროიდი (ჰ. გალაჰერი 83)

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

ევერტონი: მარტინი, ჰიბერტი, ვეერი, სტაბსი, ჰისტონე, კარსლი, ოსმანი (მაკფადენი 64), გრავესენი, ჩეპილი (დ. ფერგიუსონი 63), კილბეინი, მ. ბენტი (ს. უოტსონი 87)

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

გაფრთხილება: ტოდი, ჰიბერტი, კარსლი

მსაჯი: ჰალსი

25 191 მაყურებელი

მიდლსბრო 3:0 ასტონ ვილა

1:0 ჰასელბაინკი (20), 2:0 დეზირე-უობი (68), 3:0 რაიციგერი (88)

მიდლსბრო: შვარცერი, მაკმაჰონი, საუთგეიტი, რიგოტი (კ. კუპერი 38), რაიციგერი, ნემეტი (დორივა 62), ბოატენგი, ზენდენი, დაუნინგი, ჰასელბაინკი, ვიდუკა (დეზირე-უობი 46)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

ასტონ ვილა: სორენსენი, დე ლა კრუზი, მელბერგი, დილანი, ჯ. სამუელი, სოლანო, ს. დევისი, გ. მაკკანი (კ. კოული 76), ბერი, უიტინგემი (ბერსონი 46), ჰ. ანხელი

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

გაფრთხილება: უიტინგემი

მსაჯი: დურსო

31 338 მაყურებელი

ტოტენჰემი 5:1 საუთჰემპტონი

1:0, 2:0 დეფო (8, 27), 3:0 კანუტი (44), 3:1 კრუჩი (47), 4:1 დეფო (61), 5:1 კინი (88)

ტოტენჰემი: ჰ. რობინსონი, ჰამარო, ე. გარდნერი, ჯინგი, ატუბა, რ. რიკეტსი (ჰ. მენდეში 66), კარიკი, მ. ბრაუნი, ციგლერი (რობი კინი 83), დეფო, კანუტი

მწვრთნელი: მარტინ იოლი

საუთჰემპტონი: ნიემი, დოდი (ფოლი 46), ლუნდეკვამი, კენტონი, ჰიგინბოთემი, მ. ნილსონი (იაკობსონი 46), ტელფერი, პრატონი, ა. სვენსონი, ფილიპსი, კრუჩი

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

გაფრთხილება: ლუნდეკვამი, პრატონი

მსაჯი: დოუდი

36 054 მაყურებელი

ბოლტონი 0:1 მანჩესტერ სიტი

0:1 ბარტონი (52)

ბოლტონი: იასკელაინენი, ჟულიო სეზარი, ბენ ჰაიმი, ნგოტი, ბერნესი, ნოლანი, ოკოჩა (ვაზ ტე 64), სპიდი, იანაკოპულოსი, კ. დევისი, ჰ. პედერსენი (ლ. ფერდინანდი 75)

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

მანჩესტერ სიტი: ჯეიმსი, მილსი, დისტინი, რ. დანი, ჯორდანი, შ. რაიტ-ფილიპსი, ბოსველტი, ჯ. ბარტონი, სიბიერსკი, ანელკა, ფაულერი

მწვრთნელი: კევინ კიგანი

მსაჯი: რენიე

27 274 მაყურებელი

ბირმინგემი 4:0 ვესტ ბრომვიჩი

1:0 სევიჯი (43), 2:0 მორისონი (23), 3:0 ჰესკი (30), 4:0 ანდერტონი (80)

ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, ტებილი, კანინგემი, აპსონი, ლაზარიდისი, დ. ჯონსონი (ანდერტონი 78), სევიჯი (კლეპამი 87), კარტერი, დ. დანი, კ. მორისონი, ჰესკი (გრეი 83)

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, ბ. ჰაასი (უოლვორკი 75), შიმეკა, პარსი, კლემენტი, გერა (ერნშოუ 46), კუმასი, გაარდსო, ენდი ჯონსონი, ჯ. გრინინგი, კანუ

მწვრთნელი: ბრაიან რობსონი

გაფრთხილება: კუმასი, ჰაასი, გრინინგი, გაარდსო

მსაჯი: რაილი

28 880 მაყურებელი

ლივერპული 2:1 ნიუკასლი

0:1 კლუივერტი (32), 1:1 ბრამბლი (35სკ.), 2:1 მელორი (38), 3:1 ბაროში (61)

ლივერპული: დუდეკი, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ლუის გარსია (ა. ნუნიესი 73), ჯერარდი, ხაბი ალონსო, კიუელი (ჯ. ტრაორე 85), ბაროში, მელორი (სინამა-პონიოლი 75)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ნიუკასლი: გიენი, რ. ელიოტი, ე. ობრაიენი, ბრამბლი, ბერნარი, კ. დაიერი (ამბროზი 80), ბოიერი, ჯენასი, მილნერი (ნზოგბია 72), კლუივერტი (რობერი 58), ამეობი

მწვრთნელი: გრეგ სუნესი

გაფრთხილება: ბოიერი, ელიოტი, ბოიერი, ბერნარი

გაძევება: ბოიერი (77)

მსაჯი: პოლი

43 856 მაყურებელი

პორტსმუთი 0:1 არსენალი

0:1 კემპბელი (75)

პორტსმუთი: ეშდოუნი, დე ზეუვი, გრიფინი, პრიმუსი, მეთიუ ტეილორი, ბერგერი, ფეიე (ბერკოვიჩი 83), გონილი, სტოუნი, ფულერი (აიეგბენი 55), ლუა ლუა

მწვრთნელი: ველიმირ ზაიჩი

არსენალი: ალმუნია, ლორენი, კ. ტურე, ს. კემპბელი, ეშლი კოული, პირესი, ვიეირა, ფლამინი, კლიჩი, ვან პერსი (ბერხკამპი 68), ანრი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: კოული

მსაჯი: ვები

20 170 მაყურებელი

ჩარლტონი — ფულემი

დღეს გაიმართება

REUTERS ლივერპულიდან

გუშინ მილან ბაროშმა და „ლივერპულმა“ „ნიუკასლი“ შინ უქულოდ გაუშვეს

მგონი, საბოლოოდ დადგა ფეხზე „ტოტენჰემი“, რომელიც მარტინ იოლის ხელში იგებს და იგებს. თუ ადრე „ტოტენჰემს“ გოლები უჭირდა, ახლა აღარაფრით: აი, შაბათსაც ჯერმენ დეფომ ჰეთ თრიქი შეასრულა და ჯაში „დეზებმა“ 5:1 მოუგეს გაჭირვებულ „საუთჰემპტონს“.

იოლი ხელებს იფშვნეტდა: „დეფოს უკვე ცხრა გოლი აქვს გატანილი. რაც უნდა იყოს, ის აქედან არ გადავა. ჩვენ მდიდარი კლუბი ვართ და წლეულსვე უნდა მოვმაგრდეთ ცხრილის ზედა ნაწილში, რათა თანდათან დავიბრუნოთ ძველი სახელი და დიდება“.

საერთოდ კი, ამ მე-18 ტურში ბევრი გოლი გავიდა: შაბათს გოლი არ გასულა მხოლოდ „ბლექბერნ“ — „ევერტონის“ თამაშში, რის შემდეგაც პირველებს 8 თამაშში მეექვსე ფრე გამოუვიდათ, მეორეებს კი ცხრილში „ჩელსის“ მადევრობა გაუჭირდათ. პირველი ოცი წუთი „ბლექბერნმა“ ისე ითამაშა, რომ ძნელად იტყოდი, ეს გუნდი მე-16 ადგილზეაო. „ევერტონის“ მენეჯერმა დევიდ მოიესმა კი თქვა: „პირველად იყო ამ სეზონში, რომ თამაში არ გამოგვივიდა“.

ამასობაში კი „ჩელსიმ“ სულ იოლად მოსპო „ნორვიჩი“ და ჟოზე მაურინიუსაც სალაპარაკო მიეცა: „ეგებ სეზონის მეორე ნახევარში კიდეც წავაგოთ თამაშები, მაგრამ ახლა ვერავინ გვჯობია“. 4 უპასუხო გოლი ნორვიჩელთა კარში, რა თქმა უნდა, არ არის გადამწყვეტი, მაგრამ ინგლისში ხშირად იტყვიან ხოლმე, საშობაო ჩემპიონი სეზონსაც იგებსო, თუმცა ეს წესი „არსენალსაც“ დაურღვევია და „მანჩესტერსაც“, რომელმაც უდაცვო თამაშში 5:2 მოუგო „კრისტალ პალასს“. „მანჩესტერი“ თავიდან ორჯერ იგებდა და ლონდონელებმა ორჯერ გაუთანაბრეს, მაგრამ თამაშის მეტჯერ შემოტრიალება კი ვეღარ შეძლეს. პოლ სქოულზმა კვლავ გაიტანა და თანაც ორი. სერ ალექსი ახლაღა გამოტყდა, სქოულზი ადრე იმიტომ ვერ თამაშობდა, რომ ტრავმის მოშუშება არ ვაცალე, ბოლო სამი კვირაა კი ძველ პოლს ვხედავთ, გიგზი კი ფანტასტიკური იყო.

„მანჩესტერი“ კვლავაც ცხრა ქულით ჩამორჩება „ჩელსის“, სერ ალექსი კი თავისი ყოფილი თანაშემწის, სტივ მაკლარენის სუნთქვას გრძნობს: „მიდლსბრომ“ კვლა ულაპარაკოდ მოიგო, სამბურთიანი უპირატესობით დაამარცხა „ასტონ ვილა“ და აგრძელებს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას. ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა პირველად გაიტანა თამაშიდან 16 ოქტომბრის შემდეგ, მიხაელ რაიციგერმაც კი ჩაიწერა პრემიერლიგური გოლი.

„ბირმინგემმა“ 4 უპასუხო გაუტანა მეზობელ „ვესტ ბრომს“, „მანჩესტერ სიტიმ“ კი ბოლტონში მოუგო იქაურებს ჯოი ბარტონის სეზონში პირველი გოლით. „ბოლტონმა“ ზედიზედ მესამედ წააგო, კევინ კიგანი კი სწორედაც წაგებულთა ქებას მოჰყვა: „ძალიან ძნელად დასამარცხებელი გუნდია“. თუმც, „ბოლტონს“ ხალხი აკლდა. საკვირველი კი ის არის, რომ „სიტიმ“ ბურთებით გადაუსწრო „ბოლტონს“ და მეათე ადგილზე გამაგრდა. ერთი თვის წინათ, ამას ვერავინ წარმოიდგენდა.

ირაკლი გამყრელიძე

ჩემპიონატი. XXIV ტური

ძიერნმერი 1:0 უოტფორდი

1:0 მაკშეფრი (45)

ჯილინგემი 3:1 როტერჰემი

1:0 ჰოპი (70), 2:0 ფერვისი (80), 2:1 ჰოსკინსი (89), 3:1 ვერნაცა (90სკ.)

პლიმუთი 0:2 დერბი ძაუნთი

0:1 კაფლანი (9სკ.), 0:2 პეშისოლიდო (62)

პრესტონი 2:1 ვესტ ჰემი

1:0 ლუისი (9), 2:0 ონილი (45), 2:1 რეოკოკერი (50)

რედინგი 1:0 ძუინზ პარკი

1:0 შორი (64)

შეფილდ იუნ. 2:1 კარდიფი

0:1 ჰარისი (41), 1:1 ლიდელი (69), 2:1 გრაი (79)

სანდერლენდი 2:1 ბარნლი

1:0 არკა (35), 1:1 ბრენჩი (36), 2:1 ლოურენსი (52)

ვულვერჰემპტონი 1:1 ქრიუ

0:1 ლესკოტი (38სკ.), 1:1 კორტი (90)

ბრაიტონი 0:1 სტოკი

0:1 აკინბაი (85)

ნოტინგემი 1:1 ლესტერი

1:0 დოუსონი (57), 1:1 კონოლი (90)

ლიდსი 1:1 მილუოლი

1:0 ოსტერი (43), 1:1 ჯ. მორისი (86პ)

იფსვიჩი — უიგანი

ხვალ გაიმართება

უიგანი	23	13	8	2	43:15	47
იფსვიჩი	23	13	7	3	46:27	46
სანდერლენდი	24	14	4	6	33:18	46
რედინგი	24	13	5	6	33:22	44
შეფილდი	24	10	9	5	32:31	39
ვესტ ჰემი	24	11	5	8	30:27	38
სტოკი	24	10	7	7	18:17	37
დერბი	24	10	6	8	36:30	36
მილუოლი	24	10	6	8	25:22	36
ქუინზ პარკი	24	11	3	10	34:36	36
ქრიუ	24	9	6	9	43:43	33
ბარნლი	24	8	9	7	21:21	33
ლესტერი	24	7	11	6	27:23	32
პრესტონი	24	9	5	10	30:36	32
უოტფორდი	24	6	11	7	29:26	29
ვულვზი	24	7	8	9	33:33	29
პლიმუთი	24	8	5	11	28:33	29
ქოვენთრი	24	7	8	9	29:36	29
ლიდსი	24	6	9	9	26:25	27
ბრაიტონი	24	7	4	13	17:32	25
კარდიფი	24	5	7	12	25:33	22
ნოტინგემი	24	4	9	11	23:35	21
ჯილინგემი	24	6	3	15	22:43	21
როტერჰემი	24	1	9	14	16:35	12

პირველი ლიგა

XXII ტური: ჰადერსფილდი — ბრედფორდი 0:1; ბარნსლი — პიტერბრო 4:0; ბორნმუთი — სუინდონი 2:1; ბრენტფორდი — კოლჩესტერი 1:0; ბრისტოლი — ლუტონი 1:2; ჩესტერფილდი — ტორკი 1:1; ჰალი — ტრანმერი 6:1; პორტ ვეილი — ოლდემი 3:1; სტოკპორტი — დონსი 3:1; უოლსოლი — ბლეკპული 3:2; რექსემი — ჰარტლპული 1:5; დონკასტერი — შეფილდ უენსდი 0:4

მეორე ლიგა

XXII ტური: გრიმსბი — ოქსფორდი 1:1; საუთენდი — ჩესტერი 1:0; შრიუსბერი — მენსფილდი 0:2; ბოსტონი — დარლინგტონი 3:1; კემბრიჯი — ბერი 1:1; ჩელტენემი — კიდერმინსტერი 2:0; ლეიტონი — იოვილი 2:3; მაკლსფილდი — ნორთჰემპტონი 1:3; როჩდეილი — როვერსი 0:0; რაშდენი — სკანთორპი 1:3; სუონსი — ნოტსი 4:0; უიკომბი — ლინკოლნი 1:0

კონფერენსლიგა

XXII ტური: აკრინგტონი — დაგენმი 2:3; ალდერშოტი — ლეი 2:0; ბარნეტი — ტემუორთი 0:3; ბარტონი — სტივენეიჯი 0:3; ქონვი — ფარნბორო 1:1; კარლაილი — უოქინგი 2:1; ექსეტერი — სკარბორო 3:1; ფორესტ გრინი — ჰალიფაქსი 0:0; ჰერეფორდი — გრეიცსენდი 1:0; მორეკემბი — ნორსვიჩი 3:1; იორკი — ქროული 3:1

№		სულ							შინ							სტუმრად						
		თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	ჩელსი	18	13	4	1	37:8	29	43	9	7	2	0	19:3	16	23	9	6	2	1	18:5	13	20
2	არსენალი	18	11	5	2	45:22	23	38	9	5	4	0	25:11	14	19	9	6	1	2	20:11	9	19
3	ევერტონი	18	11	4	3	21:14	7	37	9	6	1	2	11:9	2	19	9	5	3	1	10:5	5	18
4	მანჩესტერი	18	9	7	2	28:13	15	34	9	6	3	0	17:5	12	21	9	3	4	2	11:8	3	13
5	მიდლსბრო	18	9	5	4	32:22	10	32	9	5	3	1	16:9	7	18	9	4	2	3	16:13	3	14
6	ლივერპული	18	8	4	6	28:20	8	28	9	7	1	1	19:7	12	22	9	1	3	5	9:13	-4	6
7	ტოტენჰემი	18	7	4	7	21:18	3	25	9	3	2	4	16:13	3	11	9	4	2	3	5:5	0	14
8	ასტონ ვილა	18	6	7	5	22:22	0	25	9	5	3	1	15:6	9	18	9	1	4	4	7:16	-9	7
9	ჩარლტონი	17	7	3	7	19:27	-8	24	8	4	2	2	12:8	4	14	9	3	1	5	7:19	-12	10
10	სიტი	18	6	5	7	22:18	4	23	9	3	3	3	10:6	4	12	9	3	2	4	12:12	0	11
11	ბოლტონი	18	6	5	7	26:26	0	23	9	4	2	3	12:9	3	14	9	2	3	4	14:17	-3	9
12	პორტსმუთი	18	6	5	7	23:25	-2	23	9	5	1	3	15:12	3	16	9	1	4	4	8:13	-5	7
13	ნიუკასლი	18	5	6	7	29:35	-6	21	9	3	3	3	16:16	0	12	9	2	3	4	13:19	-6	9
14	ბირმინგემი	18	4	8	6	18:19	-1	20	9	2	4	3	9:7	2	10	9	2	4	3	9:12	-3	10
15	ფულემი	17	5	3	9	19:28	-9	18	9	3	1	5	9:16	-7	10	8	2	2	4	10:12	-2	8
16	ბლეკბერნი	18	2	9	7	16:30	-14	15	9	1	6	2	10:14	-4	9	9	1	3	5	6:16	-10	6
17	ნორვიჩი	18	2	9	7	17:32	-15	15	9	2	4	3	12:15	-3	10	9	0	5	4	5:17	-12	5
18	კრ. პალასი	18	3	5	10	19:29	-10	14	9	2	2	5	8:11	-3	8	9	1	3	5	11:18	-7	6
19	საუთჰემპტონი	18	2	7	9	18:31	-13	13	9	2	5	2	13:13	0	11	9	0	2	7	5:18	-13	2
20	ვესტ ბრომვიჩი	18	1	7	10	15:36	-21	10	9	1	4	4	7:14	-7	7	9	0	3	6	8:22	-14	3

ბომბარდირები

ანრი (არსენალი)	15
ენდრიუ ჯონსონი (კრ. პალასი)	9
პირესი (არსენალი)	9
დეფო (ტოტენჰემი)	9
ბაროში (ლივერპული)	8
ჰასელბაინკი (მიდლსბრო)	8

XIX ტური

26-27 დეკემბერი

ჩელსი	:	ასტონ ვილა
არსენალი	:	ფულემი
ბლეკბერნი	:	ნიუკასლი
კრ. პალასი	:	პორტსმუთი
ევერტონი	:	სიტი
მანჩესტერი	:	ბოლტონი
ნორვიჩი	:	ტოტენჰემი
საუთჰემპტონი	:	ჩარლტონი
ბირმინგემი	:	მიდლსბრო
ვესტ ბრომვიჩი	:	ლივერპული

ნეარვეზის თამაში მთავარ თამაშებში

ესპანეთი

პრიმერადივიზიონი. XVI ტური

ბარსელონა 1:1 ვალენსია

0:1 ფიორე (62), 1:1 რონალდინიო (79პ)
ბარსელონა: ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, ინიესტა, ხავი (რუბენი 75), რ. მარკესი, დეკო, რონალდინიო, ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, მ. კანეირა, მარჩენა, მორეტი, ფიორე (აიმარი 86), ბარახა, დ. ნავარო, ვისენტე (ხისკო 87), ანგულო, კორადი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ხავი, ნავარო, მარჩენა, დეკო, ფიორე
გაძევება: ვალდესი (74)
მსაჯი: პუენტეს ლეირა
75 000 მაყურებელი

რასინგი 2:3 რეალი

1:0 ბენაიუნი (24), 1:1 ოუენი (35), 2:1 ხავი გერერო (51), 2:2 რაული (60), 2:3 ზიდანი (90)
რასინგი: აუატე, ორიოლი (ხუანმა 70), პედრო ლოპესი, მორატიონი, ნაფტი (პარი 74), მორანი, რეგუეირო (კიკე ალვარესი 82), ანდერსონ სილვა, ბერტინი, ხავი გერერო, ბენაიუნი
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
რეალი: კასილიასი, სალგადო, ი. ელგერა, ვ. სამუელი, რაულ ბრავო, ფიგუ, ხავი გარსია (სელადესი 77), გუტი, ზიდანი, რაული (პავონი 90), ოუენი (მორიენტესი 86)
მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი
გაფრთხილება: ნაფტი, მორატიონი, ხავი გერერო, სამუელი, აუატე, ბერტინი
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
15 000 მაყურებელი

ნუმანსია 0:0 ესპანიოლი

ნუმანსია: ხუანმა, გრაფი, პინიოლი, ოჩოა, ანტონიო, პაბლო სასსი, პალასიოსი, ხუან მორენო, ტევენეტი (მიგელ ნუნიესი 65), ჩ. ლი (მერინო 73), ოსორიო (პინედა 80)
მწვრთნელი: მაქსიმო ერნანდესი
ესპანიოლი: კამენი, დავიდ გარსია, ლოპო, პოჩეტინიო, მინამბრესი, ხარკე (მარტინ პოსე 60), დე ლა პენია (ფრედსონი 85), იტო, მაქსი როდრიგესი, დანი (ოსკარ სერანო 44), ტამუდო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: პალასიოსი, ანტონიო, ხუან მორენო, პაბლო სასსი, ტევენეტი, ოსკარ სერანო, ჩ. ლი, დავიდ დგარსია
მსაჯი: ველასკო კარბალიო
7 500 მაყურებელი

ატლეტიკო 1:0 დეპორტივო

1:0 ანტონიო ლოპესი (28)
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, ველასკო (აგილერა 66), ანტონიო ლოპესი, სერხი, პერეა, პაბლო, მარსელო სოსა, იბაგასა (ხორხე 87), ლუქსენი, ფ. ტორესი, სალვა (პაუნოვიჩი 74)
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
დეპორტივო: მოლინა, რომერო, მ. სესარი, ჟორჟე ანდრადე, მაურო სილვა, სერხიო (ფრანი 74), სკალონი, ვიქტორი (მუნიტისი 57), ვალერონი, პანდიანი (ტრისტანი 58), ლუკე
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: სერხიო, სქალარი, პაუნოვიჩი
მსაჯი: მორენო დელგადო
55 000 მაყურებელი

სარაგოსა 0:2 ბილბაო

0:1, 0:2 ესკერო (53, 78)
ირაოლამ ვერ გაიტანა პენალტი (35, მეკარე)
სარაგოსა: ლუისი, ალვარო, გ. მილიტო, ტოლედო, გალეტი (ხავი მორენო 64), სავიო, პონციო, ოსკარი (ჩანი 64), მოვილია, სალტერი (სორიანო 72), ვილა
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
ბილბაო: არანსუბია, კასასი, ლუის პრიეტო, ორბაისი, მურილიო, იესტე (სოლაბარიეტა 90), ირაოლა, გურპეგი, ტიკო, ესკერო (ურსაისი 80), ეჩებერია (ხონანი 84)
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
გაფრთხილება: ტიკო, ეჩებერია, მილიტო, პონციო, ტოლედო, ორბაისი, ალვარო, სავიო
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
33 000 მაყურებელი

სევილია 2:1 ბეტისი

1:0 დანიელ ალვესი (3), 1:1 ფერნანდო (43), 2:1 ხავი ნავარო (47)
სევილია: ესტებანი, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, აიტორ ოსიო, სერხიო რამოსი, დანიელ ალვესი (რედონდო 90), ბაპტისტა, რენატო, ხესული (ხორდი 75), მარტი, კარლიტოსი (ანტონიტო 59)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ბეტისი: დობლასი, ხუანიტო, რივასი, ტაისი (ლუის ფერნანდესი 81), მელი, ფერნანდო, კანიასი (ბენზამინი 62), ხოაკინი, მ. ასუნსაო, რ. ოლივეირა, ედუ
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
გაფრთხილება: ხესული, ასუნსაო, ტაისი, აიტორ ოსიო, დავიდ კასტედო, ლუის ფერნანდესი, ლუის ფერნანდესი
გაძევება: ლუის ფერნანდესი (90)
მსაჯი: ტეიშეირა ვიტიენესი
45 000 მაყურებელი

სოსიედადი 1:1 ხეტაფე

1:0 ნიჰათი (71), 1:1 პერნია (80პ)
სოსიედადი: რიესგო, ლუის ალბერტო, ლაბაკა, ზუბიაურე, არანბურუ, გაბილონდო (გარი ურანგა 75), ალკისა (მიკელ ალონსო 60), პრიეტო, გარიდო, კოვაჩევიჩი, ნიჰათი (ალბერტო 78)
მწვრთნელი: ხოსე ამორორტუ
ხეტაფე: სანჩეს ბროტო, მ. პერნია, ნანო, პულიდო (პაჩონი 75), ბელენგერი, დ. რივასი, გაბი, ვივარ დორადო, გალიარდო (მარიო კოტელო 68), კრაიოვიანუ (მიჩელი 88), რიკი
მწვრთნელი: კიკე ფლორესი
გაფრთხილება: რივასი, პულიდო, მარიო კოტელო
გაძევება: რიესგო (78)
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
27 000 მაყურებელი

მალიორკა 1:2 ოსასუნა

0:1, 0:2 ვალდო (33, 40), 1:2 პერერა (80)
მალიორკა: მოია, რამისი, ფ. ნინო, დავიდ კორტესი, პოლი, პერეირა (ჯ. მიულერი 53), კამპანო (პერერა 63), არანგო, ხორხე ლოპესი (ტუნი 46), ლუის გარსია, დელიბაშიჩი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ოსასუნა: ელია, კრუჩაგა, ხოსეჩო, ექსპოზიტო, კორალესი, პაბლო გარსია, პუნიალი, ვალდო (ორტისი 83), დელპორტი (მოა 67), ვებო (ალოზი 78), ჩენგე მორალესი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
17 000 მაყურებელი

ვილიარეალი 3:0 მალაგა

1:0 პენია (45), 2:0 რიკელმე (66), 3:0 ფორლანი (88)
ვილიარეალი: რეინა, გონსალო, არუაბარენა, კიკე ალვარესი, პენია, არმანდუ სა, კაზორლა (ექტორ ფონტი 78), ხოსიკო (არზო 85), რიკელმე, გიარე (ფორლანი 65), ფიგეროა
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
მალაგა: კალატაიუდი, ფ. სასსი, ისნატა, ხუანიტო, ხერარდო, ი. ლეკო (ხავი როდრიგესი 73), დუდა, მიგელ ანხელი, ამოროზო, ედგარი (პაკო ესტებანი 60), ვანჩოპე (გეიხო 85)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: ხუანიტო, ედგარი, ვანჩოპე, არმანდუ სა
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
18 000 მაყურებელი

ლევანტე 1:1 ალბასეტე

0:1 გასპარი (29), 1:1 კულებრასი (42)
ლევანტე: მორა, ჰარტი, პინილიოსი, ხესულე, კულებრასი, ეტიენი, ჟოფრე, სელესტინი, სანდრო (კამაჩო 74), მანჩევი (კონგო 79), რეგი (სერხიო გარსია 67)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
ალბასეტე: გასპერჩიჩი, გასპარი (ოსკარ მონტიელი 52), რუბენი, პაკო პენია, ბუადესი, ხაიმე (დავიდ სანჩესი 78), რედონდო, ალვარო, მომო (ფრანსისკო 61), ჰაჩეკო, მიკელი
მწვრთნელი: ხოსე გონსალესი
გაფრთხილება: ხესულე, ბუადესი, მანჩევი, რუბენი, გასპარი, ჰარტი, რეგი, პაკო პენია, პინილიოსი, მიკელი
მსაჯი: მეხია დავილა
19 000 მაყურებელი

მთავარი ამბები ესპანეთში შაბათს დატრიალდა. მოკლედ ასე შეგვიძლია ვთქვათ: კაცნაკლულმა „ბარსელონამ" პირველი საშინაო ქულები დაკარგა, „რეალმა" კი ბოლო წამებზე გამოგლეჯა გამარჯვება „რასინგს". თუმცა ამ მატჩებს უფრო ვრცლად მიმოხილვა ერგებათ.

კაცს ენა არ მოუბრუნდება, თქვას, „ბარსელონა" გამარჯვებას არ იმსახურებდაო, იმდენი უნაღდესი მომენტი ჰქონდა. მეორე მხრივ, ქულები გოლების რაოდენობით ითვლება, „ბარსამ" კი „ვალენსიაზე" მეტი ვერ გაიტანა და ამას საკუთარ თავს თუ დაბრალებს. ისე კაზალონიელებს სანტიაგო კანისარესის „დადანაშაულებაც" შეუძლიათ, შესაშურად რომ იცავდა კარს, თუმცა მთავარი მაინც თავად ბარსელონელთა მეტისმეტად სახიფათო, მაგრამ არაზუსტი დარტყმები იყო. კანისარესივით ვერ შეეაქებთ მასპინძლთა მეკარე ვიქტორ ვალდესს, რომლის სულელურმა შეცდომამაც „ბარსელონა" კაცნაკლული დატოვა — ბურთის უხეიროდ მოგერიების მერე, სიტუაციის გამოსასწორებლად, ვალდესმა საკარიმო მოედნის გარეთ ხელით ითამაშა, რისთისაც სავსებით სამართლიანად გაძევეს. თუმცა მსაჯის გადაწყვეტილებების მიმართ სხვა ეპიზოდებში ბევრი უკმაყოფილება გაჩნდა. ორჯერ, ჯერ ბელეტის, მერე კი სამუელ ეტოოს წაქცევისთვის, მასპინძლები, ვფიქრობთ, სამართლიანადდ, თუმც უშედეგოდ ითხოვდნენ პენალტს, რომელიც მაშინ მიიღეს, როცა ალბათ ნაკლებად ეკუთვნოდათ — რონალდინიო ვალენსიელთა საკარიმოში საეჭვო სიტუაციაში წაიქცა. ამ პენალტმა „ბარსელონა" მარცხისგან იხსნა. იქამდე, ერთ-ერთი იშვიათი კონტრიერიშისას, ფიორე მეკარესთან პირისპირ დარჩა, ბურთი თავზე გადაუგდო და გაუტანა. სხვა მხრივ კი, ეს მატჩი ძალიან ნერვული გამოდგა, რისი დასტურიც, ნახსენები წითელი ბარათის გარდა 7 ყვითელი ბარათის აფრიალებაცაა.

სანტანდერში „რეალის" თამაშის ყურებისას კი თქვენს მიმომხილველს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ „რეალს" იმდენი გოლის გატანა შეეძლო, რამდენსაც მოინდომებდა, თუმცა სწორედ ეს მონდომება აკლდა.

„რეალი" ორჯერ აგებდა და ორჯერვე სწრაფად შეძლო გათანაბრება. თითქოს მადრიდელები იმას ელოდებოდნენ, მეტოქე როდის გაგვიტანს, თამაშს ინტერესი რომ მიეცესო.

ამ თამაშ-თამაშში კი „რეალს" გამარჯვების გოლი დაუგვიანდა და მაშინ გაიტანა, 94-ე წუთი რომ მიდიოდა. ეს გოლი ლოგიკურიც იყო — რაკი დედაქალაქელები დიდ უპირატესობას ფლობდნენ და ალოგიკურიც. ზინედინ ზიდანმა კუთხურიდან ჩაწოდებულს დაჭრა თავი და ისე გაიტანა, მაგრამ საქმე ის არის, კუთხური როგორ დაინიშნა — ნაფტიმ სრულიად უწყინარ სიტუაციაში ბურთი რატომღაც კუთხურზე გადააგდო, რომელსაც ზიდანის გოლი მოჰყვა. ამიტომაც მოვიხსენიეთ ეს გოლი ალოგიკურად.

სხვა მატჩებიდან უთუოდ ჩასენების ღირსია სევილიური დერბი, რომლის გმირადაც იქცა ხავი ნავარო, „სევილიას" გამარჯვების გოლის ავტორი. ისე კი, ეს თამაში უხეში გამოდგა, მსაჯმა, ბარსელონური მატჩისა არ იყოს, შვიდჯერ ამიღო ყვითელი ბარათი და ერთხელ წითელიც ააფრიალა. თუმცა ამ უხეშობაში გასაკვირი არაფერია, რაკი სევილიური დერბის მთავარი ნიშანიც ოდითგან ეს არის — უხეშობა.

ცხრილში მეორე ადგილი შეინარჩუნა „ესპანიოლმა", თუმცა, ვერ ვიტყვით, პატარა კატალონიელები კმაყოფილები დარჩნენო, რადგან ჩადარული „ნუმანსია" ვერ დაამარცხეს. ეს მატჩიც სარეკორდო იყო გაფრთხილებებით — რვა ყვითელი ბარათი.

ამასობაში სტუმრად პირველი მატჩი მოიგო „ბილბაომ", „მალიორკა" კი ყვინთვას განაგრძობს და ჩანს, ექტორ კუპერიც არ არის კუნძულელია მშველელი. „მალიორკა" სახლში დამარცხდა „ოსასუნასთან".

კოტე კეკელია

„ბარსელონას" ქულა რონალდინიომ გადაურჩინა

სვეუნდადივიზიონი

XVII ტური

მურსია 0:1 ტერასა

0:1 მოლისტი (67)

უელვა 1:0 ხერესი

1:0 უჩე (83)

კადისი 4:1 ტენერიფე

1:0, 2:0 ხონათანი (7, 9), 3:0 პასი (46), 4:0 ხესუსი (68ს.კ.), 4:1 კეკო (71)

ფეროლი 4:0 სიუდად მურსია

1:0 ფლავიო (2), 2:0 ხაიო (24), 3:0 მარიო (44), 4:0 ვაკასი (59)

ხიმნასტიკი 2:1 ლეიდა

1:0, 2:0 პინილია (35, 44), 2:1 ლესაუნი (57ს.კ.)

პოლი ეხიდო 2:0 კორდობა

1:0 საბინო (40), 2:0 პედრო ვეგა (47)

სპორტინგი 0:0 ეიბარი

მალაგა B 0:2 ვალიადოლიდი

0:1 ადურიცი (42), 0:2 ორნოსი (64)

სელტა 2:0 პონტევედრა

1:0 ვრიზასი (48), 2:0 სანჩესი (89)

სალამანკა 2:0 ელჩე

1:0 ლუპიდიო (73პ), 2:0 ბრიტი (88)

ალავესი 2:1 ალმერია

1:0 ბოდიპო (17), 2:0 ნენე (20პ), 2:1 გალკა (90)

კადისი	17	11	3	3	28:10	36
ალავესი	17	9	5	3	30:19	32
ეიბარი	17	9	4	4	23:17	31
ელჩე	17	8	4	5	23:19	28
ვალიადოლიდი	17	7	6	4	23:19	27
სელტა	17	6	9	2	20:16	27
ხიმნასტიკი	17	8	3	6	17:16	27
ხერესი	17	7	6	4	15:14	27
ფეროლი	17	6	8	3	22:15	26
ლეიდა	17	7	4	6	19:18	25
პოლი ეხიდო	17	6	6	5	19:14	24
უელვა	17	6	6	5	13:11	24
ალმერია	17	6	5	6	16:14	23
ტენერიფე	17	5	7	5	16:19	22
ტერასა	17	6	3	8	20:20	21
სპორტინგი	17	5	6	6	16:17	21
სალამანკა	17	5	5	7	17:20	20
მალაგა B	17	5	4	8	14:22	19
სიუდად მურსია	17	2	8	7	20:30	14
მურსია	17	3	4	10	12:25	13
პონტევედრა	17	2	5	10	16:28	11
კორდობა	17	1	3	13	6:22	6

		სულ							შინ							სტუმრად						
№		თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	ბარსელონა	16	12	3	1	33:10	23	39	8	7	1	0	20:3	17	22	8	5	2	1	13:7	6	17
2	ესპანიოლი	16	9	3	4	18:9	9	30	8	5	2	1	9:5	4	17	8	4	1	3	9:4	5	13
3	რეალი	15	9	2	4	24:11	13	29	7	6	0	1	16:2	14	18	8	3	2	3	8:9	-1	11
4	ვალენსია	16	8	5	3	24:12	12	29	8	5	2	1	12:5	7	17	8	3	3	2	12:7	5	12
5	სევილია	16	8	4	4	20:18	2	28	8	7	1	0	14:4	10	22	8	1	3	4	6:14	-8	6
6	ატლეტიკო	16	7	4	5	18:13	5	25	8	6	2	0	12:4	8	20	8	1	2	5	6:9	-3	5
7	ბეტისი	16	6	6	4	21:20	1	24	8	4	3	1	12:11	1	15	8	2	3	3	9:9	0	9
8	ოსასუნა	16	7	3	6	25:25	0	24	8	5	2	1	17:10	7	17	8	2	1	5	8:15	-7	7
9	დეპორტივო	16	5	7	4	20:22	-2	22	8	2	4	2	10:14	-4	10	8	3	3	2	10:8	2	12
10	ვილიარეალი	16	5	6	5	19:12	7	21	8	4	3	1	12:2	10	15	8	1	3	4	7:10	-3	6
11	ბილბაო	16	6	3	7	20:20	0	21	8	5	2	1	13:7	6	17	8	1	1	6	7:13	-6	4
12	ლევანტე	16	6	3	7	17:22	-5	21	8	4	2	2	9:6	3	14	8	2	1	5	8:16	-8	7
13	სოსიედადი	15	5	4	6	16:18	-2	19	8	4	2	2	9:8	1	14	7	1	2	4	7:10	-3	5
14	სარაგოსა	16	5	4	7	21:24	-3	19	8	5	0	3	16:12	4	15	8	0	4	4	5:12	-7	4
15	რასინგი	16	4	4	8	15:23	-8	16	8	2	4	2	9:9	0	10	8	2	0	6	6:14	-8	6
16	ხეტაფე	16	4	3	9	14:21	-7	15	8	4	0	4	9:9	0	12	8	0	3	5	5:12	-7	3
17	ალბასეტე	16	3	6	7	13:22	-9	15	8	2	3	3	4:6	-2	9	8	1	3	4	9:16	-7	6
18	მალაგა	16	4	3	9	11:22	-11	15	8	3	2	3	8:8	0	11	8	1	1	6	3:14	-11	4
19	მალიორკა	16	3	4	9	15:24	-9	13	8	1	2	5	9:14	-5	5	8	2	2	4	6:10	-4	8
20	ნუმანსია	16	3	3	10	10:26	-16	12	8	3	3	2	7:8	-1	12	8	0	0	8	3:18	-15	0

ბომბარდირები

ეტოო (ბარსელონა)	12
რ. ოლივეირა (ბეტისი)	9
ურსაისი (ბილბაო)	8
რონალდო (რეალი)	8
მაქსი როდრიგესი (ესპანიოლი)	7
ფ. ტორესი (ატლეტიკო)	7
ბაპტისტა (სევილია)	7

XVII ტური

22-23 დეკემბერი

ალბასეტე	:	ვილიარეალი
ბილბაო	:	მალიორკა
ბარსელონა	:	ლევანტე
ბეტისი	:	ატლეტიკო
დეპორტივო	:	სარაგოსა
რეალი	:	სევილია
ვალენსია	:	ესპანიოლი
ხეტაფე	:	რასინგი
ოსასუნა	:	ნუმანსია
მალაგა	:	სოსიედადი

ფიორეს ფრე ეეწარა

სტეფანე ფიორეს გოლის შემდეგ კლაუდიო რანიერის „ვალენსიას“ „ბარსასთან“ საგარეო მატჩში გამარჯვების დიდი შანსი გაუჩნდა, თუმც რონალდინიოს პენალტის მერე „კამპ ნოუს“ ტაბლოზე 1:1 აინთო და მატჩიც ასე დასრულდა. ნამატჩევს კი ფიორე ესპანურ „ლიბრედირეკტოს“ ესაუბრა

— ვალდესის კარში ლამაზი გოლი გაიტანეთ...

— დიახ, მართლაც ლამაზი გოლი გამოვიდა. იმ დარტყმის მერე ვფიქრობდი, რომ შეხვედრას მოვიგებდით, თუმც, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

— ალბათ თქვენ თანაგუნდელებსაც მსგავსი შეგრძნება ჰქონდათ. თქვენი გოლის შემდეგ ვალენსიელებმა სამი ქულა აშკარად სათავისოდ ჩათვალეს...

— მთელი მატჩის განმავლობაში უზარმაზარი სამუშაო შევასრულეთ, მაგრამ „ბარსასნაირი“ გუნდისთვის წინააღმდეგობის გაწევა ყოველთვის ძნელია და მეტოქის შეტევებს ერთნაირად ზუსტად ვეღარ ვიგერიებდით. საერთო ჯამში კონტრიერიშებმა გაგვიმართლა — გოლის მერეც ორჯერ სახიფათოდ შევუტიეთ და კატალონიელებისთვის მეორის გატანაც შეგვეძლო.

— მეტოქის გოლზე რას გვეტყვით?

— ცუდია, რომ გოლი პენალტით გაგვიტანეს. ასეთ ფრეს მწარე გემო აქვს ხოლმე...

— თქვენი აზრით, კატალონიელმა ქომაგებმა მსაჯზე ზეგავლენა მოახდინეს?

— მეორე ტაიმში მსაჯი მასპინძელთა ფანობამ აშკარად დააბნია. ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან თამაშის წესები რამდენჯერმე დაირღვა და პუენტეს ლეირას თამაში არ გაუჩერებია. პენალტიც, ვფიქრობ, არბიტრმა ძალზე საეჭვოდ დანიშნა.

— თქვენი თამაშით კმაყოფილი დარჩით?

— დიახ, კმაყოფილი ვარ, მაგრამ შედეგზე ეს არ ითქმის. „ვალენსიას“ მოგება შეეძლო.

— კლაუდიო რანიერის თქვენი ოსტატობა დაუმტკიცეთ. ალბათ მას თქვენთვის უფრო მეტი სათამაშო წუთების მიცემა მართებს...

— ამჟამად კარგ ფორმაში ვარ, ჩემი თამაში დღითიდღე უმჯობესდება და იმედია, რანიერიც უფრო ხშირად მანდობს ადგილს ძირითადში.

თავისუფლება პორტუში დავტოვე

დეკო შვილიშვილებს ლეგენდებს უგროვებს

მოდით, ნუ ჩამოვთვლით დამსახურებათა ნუსხას, რომელიც დეკოს ევროპული ფეხბურთის წინაშე აქვს. ეს ის საკითხია, რომელზეც ფეხბურთის გულშემატკივარს „შპარგალკის“ გარეშეც შეუძლია პასუხის გაცემა. ერთადერთი, რაც გულშემატკივარმა შეიძლება არ იცოდეს, ან ვერ გაიხსენოს, მისი სრული სახელი და დაბადების ადგილია. დეკოს სრული სახელი ასე ჟღერს: დეკუ ანდერსონ ლუის დე სოუზა. მისი დაბადების ადგილი კი პატარა ბრაზილიური ქალაქი სან ბერნარდუ დე კამპუ გახლავთ.

ქვემოთ კი გაპორტუგალიელებულ ბრაზილიელთან ინტერვიუს წარმოგიდგენთ, რომელიც „კამპ ნოუს“ ახალ გმირს კატალონიელმა ჟურნალისტმა ჩამოართვა.

— თქვენ ამით კმაყოფილი ხართ?

— მე მსიამოვნებს, რომ გუნდისთვის საჭირო სამუშაოს ვასრულებ. რა თქმა უნდა, სრული თავისუფლების შეგრძნებას არაფერი სჯობს, მაგრამ „ბარსელონაში“ მეტი პასუხისმგებლობა მაკისრია და ესეც ძალიან საინტერესოა. ფაქტობრივად, „ბარსელონაში“ და პორტუგალიის ნაკრებში ერთნაირი ფუნქციები მაკისრია.

— მაურინიუსგან რა ისწავლეთ?

— ძალიან ბევრი რამ. საერთოდ, მაურინიუ ჩემთვის მწვრთნელის ეტალონია. ის უაღრესად ამბიციურია, მაგრამ მის ამბიციურობას საფუძვლად ღრმა ცოდნა და შრომისმოყვარეობა უდევს.

— მაურინიუს ხასიათს უწუნებენ...

— ასე არ არის, უბრალოდ ის პიროვნებაა და ძლიერი ნებისყოფა აქვს. ის არასდროს კმაყოფილდება მიღწეული შედეგით და ამიტომაც ზოგი თვლის, რომ მასთან მუშაობისას ბევრი პრობლემა ექმნება.

— როგორ ფიქრობთ, „ჩელსი“ მაურინიუს მეთაურობით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწევს?

— მჯერა, რომ მიაღწევს, თუმცა ძნელი იქნება. „ჩელსიში“ მისგან გაცილებით მეტს მოითხოვენ, ვიდრე „პორტუში“. შესაბამისად, ახლა მას ბევრად მეტი პასუხისმგებლობა აკისრია.

— თქვენთვის ოდესმე თუ უყვირია?

— არასოდეს.

— რატომ?

— ყვირილით საქმე არ კეთდება. თუნდაც შარშანდელი ფინალის შესვენებისას მან მე და დერლეის უბრალოდ გვისაყვედურა, რომ ასეთი თამაშით თასს ვერ მოვიგებდით. სულ ეს იყო.

— აი, თურმე რატომ ითამაშეთ ფინალის მეორე ტაიმი უკეთესად...

— არა, უკეთესად იმიტომ ვითამაშე, რომ ბუცები გამოვიცვალე.

— რაიკარდი არაფრით ჰგავს მაურინიუს?

— რაიკარდი უფრო თავშეკავებულია. სამწვრთნელო თვალსაზრისით მაურინიუ უფრო ანალიტიკოსია, რაიკარდი კი — პრაქტიკოსი. ეს ბუნებრივია, რადგან რაიკარდი დიდი ფეხბურთელი იყო.

— „ბარსელონას“ ძლიერი და სუსტი მხარეები დაასახელეთ...

— თითოეულ ბარსელონელს ბრწყინვალე ტექნიკა აქვს და ჩვენი ძალაც უპირველესად ამაშია. ამას უზარმაზარი ამბიციაც დაუმატეთ და ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბს მიიღებთ. სუსტი მხარე? ალბათ ფსიქოლოგიაში, თუმცა მე ჯერ არ ვიცი, რამდენი დრო სჭირდება გუნდს წაგების მერე გონზე მოსასვლელად.

— ახლანდელ „პორტუზე“ რას ფიქრობთ?

— წინა სეზონის მერე გუნდიდან არავინ რომ არ წავსულიყავით, პრობლემები მაინც შეიქმნებოდა. უბრალოდ შეუძლებელია, ზედიზედ ორი წელი ყველაფერს იგებდე.

— „რეალის“ მიზანი ამ სეზონში ყველაფრის მოგება იყო. „ბარსელონას“ მიზანიც იგივეა?

— რამდენადაც მე ვიცი, არა. პირადად მე კმაყოფილი იმითაც დავრჩები, ერთი ჯილდოც რომ მოვიგოთ. თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენნაირი სუპერკლუბები მიზნად ყველა ტურნირის მოგებას უნდა ისახავდნენ მიზნად, მაგრამ მეორე მხრივ, ეს ურთულესი საქმეა, შეიძლება ვერაფერი მოიგო.

— სანაკრებო ფეხბურთზეც ვთქვათ. რატომ ვერ გახდა პორტუგალია ევროპის ჩემპიონი?

— იმიტომ, რომ ერთი გოლი დაგვაკლდა. ვაღიარებ, რომ ფინალში შთამბეჭდავად ვერ ვითამაშეთ, თუმც ჩემპიონობა, ალბათ, ჩვენ უფრო გვერგებოდა. უბრალოდ, არ გაგვიმართლა.

— ევროპის ჩემპიონატზე თქვენ სტაბილურად ვერ ითამაშეთ...

— დიახ, ასეა. გადაღლილი ვიყავი. „პორტუში“ ურთულესი და ძალიან მომქანცველი სეზონი მქონდა.

— თავს პორტუგალიელად უფრო თვლით თუ ბრაზილიელად?

— მე ბრაზილიელი ვარ. ბრაზილია ჩემი სამშობლოა. მეორე მხრივ, პორტუგალიამ მომცა ის, რაც ღღეს მაქვს და რასაც მივაღწიე.

— ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგაც გითამაშიათ...

— მაშინ ძალიან უცნაური გრძნობა მქონდა. ღღეს იმ განცდის აღწერა არ შემიძლია, მაგრამ ოდესმე შვილიშვილებს აუცილებლად ვუამბობ.

ლუიშ ფიგუ ერთხანს დეკოს გაპორტუგალიელებას აპროტესტებდა

— ევროპის ჩემპიონატის მერე ამბობდნენ, რომ შესაძლოა „რეალში“ გადასულიყავით. თქვენ კი „ბარსელონა“ არჩიეთ. რატომ?

— სიმართლე გითხრათ, ამის ახსნა არ შემიძლია. „ბარსელონაში“ თამაში ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო, მაგრამ მიზეზებს ვერ ვასახელებ.

— ეგებ იმიტომ, რომ სანახაობრივად „ბარსელონას“ თამაშის სტილი ძალიან ლამაზია?

— გეთანხმებით. ყოველთვის აღფრთოვანებული ვრჩებოდი, როცა „ბარსელონას“ თამაშს ვუყურებდი. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ბარსელონური პუბლიკა ყველასგან გამორჩეულია.

— მაგრამ „რეალიც“ ძალიან ლამაზად თამაშობს...

— ლამაზად, მაგრამ განსხვავებულად. ამასთანავე ევროპის ჩემპიონატის მერე კონკრეტული წინადადებები მხოლოდ „ჩელსისგან“, „ბაიერნისგან“ და „ბარსელონასგან“ მივიღე. „რეალი“ ერთი წლით ადრე, 2003-ში შემეხმიანა და მაშინვე ვუთხარი, რომ „ბარსელონაში“ თამაში მერჩივნა.

— „ბაიერნსაც“ იგივე უთხარით?

— დიახ. მიუხედავად იმისა, რომ მიუნხენელები ოთხჯერ თუ ხუთჯერ შემხვდნენ და ძალიან მიმზიდველი ვარიანტი შემომთავაზეს.

— ფრანკ რაიკარდის სტილი ძალიან განსხვავდება ჟოზე მაურინიუს სტილისგან?

— „პორტუში“ მეტი თავისუფლება მქონდა, „ბარსელონაში“ კი ფეხბურთელი, რომელსაც სრულ თავისუფლებას აძლევენ, რონალდინიოა.

იტალია

სერია A. XVI ტური

იუვენტუსი 0:0 მილანი

იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა, ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ბლაზი (ტკაჩენკო 80), ნედვედი, დელ პიერო (ზალაიეტა 46), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, კოსტაკურტა, კალაძე (პანჯარო 62), გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, კრესპო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ტურამი
მსაჯი: ბერტინი
55 000 მაყურებელი

უდინეზე 3:0 ლაციო

1:0 პიზარო (14პ), 2:0 დი მიკელე (17), 3:0 იაკინტა (37)
უდინეზე: დე სანქტისი, ბერტოტო, სენსინი, ფელიპე, პინცი, დ. პიზარო, შუნტარი (პაზიენცა 62), იანკულოვსკი (ბელერი 70), დი მიკელე, იაკინტა (ფავა 79), დი ნატალე
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ლაციო: კაზაცა, ოდო, სერიჩი, ტალამონტი, სივილია, ე. ფილიპინი, ჯანიკედა, დაბო, პანდევი (ლეკი 11), დი კანიო (კ. მანფრედინი 54), როკი
მწვრთნელი: დომენიკო კაზო
გაფრთხილება: დი კანიო, პაზიენცა
გაძევება: სივილია (7)
მსაჯი: ტომბოლინი
15 000 მაყურებელი

ინტერი 1:0 ბრეშა

1:0 მიხაილოვიჩი (25)
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, ი. კორდობა, მიხაილოვიჩი (მატერაცი 57), პასკუალე (ბურდისო 62), ემრე (კ. ძანეტი 22), კამბიასო, დ. სტანკოვიჩი, რეკობა, ადრიანო, ვიერი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

ბრეშა: კასტელაცი, ძობოლი, დი ბიაჯო, მარეკო (დელ ნერო 72), ჟ. მარტინესი (სკული 78), მილანეტო, გუანა, დალამანო, შოპი (მანინი 72), სტანკევიჩიუსი, კარაჩოლო
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
გაფრთხილება: დი ბიაჯო, კორდობა, მილანეტო
მსაჯი: კოლინა
50 000 მაყურებელი

ლეჩე 1:4 სამპდორია

0:1, 0:2 ფლაკი (38პ, 50), 1:2 ვუჩინიჩი (54), 1:2 ტონეტო (61), 1:3 კუტუზოვი (90)
ლეჩე: სიჩინიანო, კ. სილვესტრი, დიამუტენე, სტოვინი, რულო, მარიანინი (პაჩი 43), კ. ლედესმა, დალა ბონა, ბაბუ (კონანი 68), ბოჟინოვი, ვუჩინიჩი (პინარდი 83)
მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი
სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, მ. კასტელინი, ფალკონე (პავანი 46), პიზანო, დიანა (დონი 60), პალომბო, დონადენი, ტონეტო, ფლაკი (კუტუზოვი 85), როსინი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: კასტელინი, პიზანო, ფლაკი
გაძევება: დიამუტენე (37)
მსაჯი: აიროლდი
12 730 მაყურებელი

რომა 5:1 პარმა

1:0 კასანო (10), 2:0 ტოტი (29), 2:1 ბოვო (45), 3:1 კასანო (50), 4:1 მონტელა (52), 5:1 ტოტი (58)
რომა: კურჩი, მექსეში (დე მარტინო 79), დელასი, პანუჩი, აკილარი, დე როსი, კუფრე, ტოტი (კორვია 86), მონტელა, ა. კასანო (სკურტო 79)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
პარმა: ს. ფრეი, ფერონტი, კარდონე (ბ. კანავარო 16), ბოვო, დეგანო, პიზანუ, გრელა, სიმპლისიო, ბონერა (კონტინი 46), მორფეო (ბუდელი 56), ჯილარდინო
მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი
გაფრთხილება: მონტელა, ტოტი, პიზანუ, პიზანუ, კონტინი
გაძევება: პიზანუ (80)
მსაჯი: რაკალბუტო
45 000 მაყურებელი

ფიორენტინა 2:0 კიევო

1:0 რიგანო (45), 2:0 პორტილიო (70)
ფიორენტინა: როკატი, უიფალუში, ვიალი, დაინელი, მაჯო, მარესკა, ობოდო, კიელინი, ნაკატა (დელი კარი 90), პორტილიო (დ. ვალდესი 76), რიგანო
მწვრთნელი: სერჯო ბუზო
კიევო: მარკეჯანი, ფ. მორო, მანდელი, დანა, ს. ლანა, ლუსიანო (ტირიბოკი 67), ბარონიო (ძანკეტა 46), ბრიგი, დ. ფრანჩესკინი, ამაური, ფ. კოსატო (პელესიერი 54)
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფრთხილება: ლუსიანო, მაჯო, მარესკა, ბარონიო, მაჯო
გაძევება: ლანა (69), მაჯო (89)
მსაჯი: რიცოლი
27 133 მაყურებელი

ბოლონია 2:0 რეჯინა

1:0 ბელუჩი (53), 2:0 მეგნი (63)
დიონიჯიმ ვერ გაიტანა პენალტი (74, აცილა)
ბოლონია: პალიუკა, ჟუარესი, ტორიზი, პეტრუცი (გამბერინი 33), სუსი, ზაგორაკისი, ჯუნტი (ლოვიზო 75), კ. ამორუზო, ბელუჩი, მეგნი (ლოკატელი 75), ჩიპრიანი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
რეჯინა: სოვიერო, კანარზა, დე როზა, ძამბონი, მესტო, ტედესკო (პავარინი 82), პარედესი, მოცარტი, ბალესტრი, ჯ. კოლუჩი (განჩი 67), ბორიელო (დიონიჯი 65)
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: ჩიპრიანი, ბორიელო, ძამბონი, კანარზა, ამორუზო, ტორიზი
გაძევება: სოვიერო (81)
მსაჯი: როზეტი
18 000 მაყურებელი

სიენა 1:1 ლივორნო

1:0 ვერგასოლა (43), 1:1 ა. ლუკარელი (56)
სიენა: ფორტინი, ნიკოლა, ჩირილო, კოლონეზე, ფალზინი (ფოლიო 80), ტადეი (კიუმიენტო 74), პეკია (სერაფინი 78), დი დონატო, ვერგასოლა, ტ. ფლო, კიეზა
მწვრთნელი: ლუიჯი სიმონი
ლივორნო: ამელია, გალანტე, ხ. ვარგასი, ა. ლუკარელი, ბალერი (პფერცელი 80), ვიჯანი (ვიდიგანი 70), პასონი, დოგა, ჯალლომბარდო, დანილევიჩუსი (პროტი 70), კ. ლუკარელი
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: ბალერი, ვარგასი
მსაჯი: პაპარესტა
10 000 მაყურებელი

პალერმო 3:0 კალიარი

1:0 ძაული (33), 2:0 ბრიენძა (38), 3:0 ტონი (39)
პალერმო: გუარდალბენი, ძაკარდო, ბიავა, ბარძალი, გროსო, მუტარელი, ბარონე, კორინი, ძაული (დ. გონსალესი 85), ბრიენძა (გასბარონი 73), ტონი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
კალიარი: იეკო, დ. ლოპესი, მალტალიატი, ლორია (პისანო 27), აგოსტინი, აბეიბონი, კონტი, გობი, მ. ესპოზიტო (სუაცო 56), ძოლა (ბიანკი 72), ლანგელა
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
გაფრთხილება: ბარძალი, გროსო, კორინი, ძაული, პისანო, აბეიბონი, კონტი
მსაჯი: ფარინა
30 000 მაყურებელი

მესინა — ატალანტა

1:0-ზე ძლიერი წვიმის გამო შეწყდა

არ შინდოდათ და არ წაბეზეს

ARCHIVE

რა იყო იტალიურ დერბიში ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი? ქართველი ქომაგის პოზიციიდან თუ ვიმსჯელებთ, ის, რომ 63-ე წუთზე საქართველოს ნაკრების კაპიტანმა, კახა კალაძემ იუვენტუსელ ჯონათან ძებინას ჩაწოდებაში ზედმეტი თავდადებით შეუშალა ხელი, თუ არ ვცდებით, მოჭეულ ფეხს მუხლი შეუშვირა და შესაცვლელი შეიქნა. იმედი ვიქონიოთ, რომ კახას ტრავმა სერიოზული არ არის და კიდევ იმას ვიტყვით, რომ კალაძემ, სანამ მოედანზე იყო, ჩინებულად ითამაშა.

სხვა მხრივ „სტადიო დელე ალპიზე" ყველაფერი ლოგიკურად მოხდა. როგორც მოსალოდნელი იყო, უტევდა ის გუნდი, რომელიც დეკემბერში ათამაშდა ბრწყინვალედ — „მილანი", ხოლო მასპინძლები, რომლებიც სექტემბერ-ოქტომბერში თამაშობდნენ კარგად, უფრო კონტრშეტევაზე ფიქრობდნენ. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, ეს იყო შეხვედრა, რომელშიც როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდისთვის იყო ერთი ძალიან უსიამოვნო შესაძლებლობა — წაგება. სხვა ყველაფერი მისალები გახლდათ და ვინაიდან ორივე მხარეს უპირატესად არწაგება აძლევდა ხელს, არც წაგეს.

„ძალიან კმაყოფილი დავრჩი ჩვენი თამაშით. პირველიდან ბოლო წუთამდე ტემპს ჩვენ ვკარნახობდით. მართალია, არ გაგვიმართლა, მაგრამ ვიმეორებ, თამაშის ხარისხით ძალიან კმაყოფილი დავრჩი" — განაცხადა „მილანის" თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ — „იუვენტუსს" ევროპაში საუკეთესო დაცვა ჰყავს. ამიტომაც ვერ შევქმენით ბევრი საგოლე მომენტი. ხოლო დამაგვირგვინებელ მომენტში უბრალოდ არ გაგვიმართლა. ერთი სიტყვით, დღეს ჩვენ დიდ გუნდზე უკეთ ვითამაშეთ და ეს მოსალოცი ამბავი მგონია. რაც შეეხება მსაჯობას, პოლო ბერტინიზე ორჯერ გავბრაზდი, მეორედ, როდესაც ლილიან ტურამმა კაკას წინააღმდეგ თამაშის წესი დარღვია და მან დამნაშავის სასარგებლო ვითარებაში დაუსტვინა, და პირველად, როდესაც ჯონათან ძებინამ ერნან კრესპო საჯარიმოში წააქცია, მან კი პენალტი არ დანიშნა. აქ მინდა ძებინა შევაქო, საკმაოდ სხარტად დაარღვია წესი, თორემ კრესპო უეჭველ გოლს გაიტანდა."

„იუვენტუსის" მწვრთნელი ფაბიო კაპელო: „ძალიან ბევრი პასი გადავაწოდეთ ერთმანეთს არასწორად და ვინაიდან ამას ჩემი ყველა მოთამაშე მთელ მოედანზე სჩადიოდა, კონკრეტულად ვეღარავის შეეუძახე. ასე თამაშით 0:0-ს გადარჩენა დიდი წყალობა იყო. მეორე ტაიმში დაცვა კი გამოვაყოჩაღეთ, მაგრამ მაინც ძალიან ნელი და ცუდი პასებით განვაგრძეთ თამაში."

შაბათსვე დიდძალი წვიმის გამო 22-ე წუთზე შეწყდა „მესინა" — „ატალანტას" თამაში. არტურო დი ნაპოლის პენალტით მასპინძლები იგებდნენ, მაგრამ რად გინდა, მსაჯმა მორგანტიმ ჩათვალა, რომ ბურთი აღარ დახტოდა და თამაში შეწყვიტა.

გუშინ კი „ინტერმა" სინიში მიხაილოვიჩის მიერ 24-ე წუთზე გატანილი გოლით „ბრეშა" დაამარცხა. ამ შეხვედრაში ტრავმის გამო ვერ ითამაშა ედგარ დავიდსმა, რომლის ნაცვლადაც მწვრთნელმა, რობერტო მანჩინიმ აქამდე შერისხული ალვარო რეკობა შეუშვა მოედანზე — ერთი სიტყვით, მწვრთნელი და უროგვაელი შერიგდნენ. მიხაილოვიჩს კი — რომლის „ბანაც" ანგრევს ძირიანად ბოლ მადგენლობაში მარკო მატერაცი ჯერ ღარ ხვდება — გოლი 30 მეტრიდან ძლიერი საჯარიმო დარტყმით შეაგდო.

„რომამ" 5:1 სძლია „პარმას", რაც იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელი პიეტრო კარმინიანი თავის სადებიუტო შეხვედრაში განადგურდა. თამაშის დასასრულამდე 15 წუთით ადრე მეორე ყვითლის გამო მეოდნიდან გაადგეს პარმელი პისანუ. აღსანიშნავია, რომ რომაელთაგან ორი გოლი გაიტანა ანტონიო კასანომ, ორი ფრანჩესკო ტოტიმ და ერთიც ვინჩენცო მონტელამ. ტოტისთვის ეს გახლდათ ისტორიული შედეგი, რადგან „რომას" რეკორდი დაამყარა — 107-ე და 108-ე გოლები შეაგდო.

„ლაციოს" მწვრთნელმა მიმო კაზომ კი კარგად იცოდა, რომ თუ „უდინეზესთან" წაგებდა, მოხსნიდნენ — „ლაციომ" 0:3 წაგო, ხოლო უდინელებმა უკვე ზედიზედ მესამე მატჩი მოიგეს და კვლავ მესამეზე არიან.

პაპუნა კედია

REUTERS ტურინიდან

„იუვენტუსი" — „მილანი". ჯაჯგურ-ძიძგილაობა ბევრი იყო

სერია B

XVIII ტური

ალბინოლეფე 3:0 პიაჩენცა
1:0 კრისტანტე (34ს.კ.), 2:0, 3:0 პოსანციინი (47, 48)

არეცო 1:2 პერუჯა
0:1 მასკარა (14), 0:2 დო პრადო (42), 1:2 დე ძერბი (65)

ბარი 2:2 მოდენა
0:1 ფაბრინი (23), 0:2 სომეზე (32), 1:2 სანტორუვო (40), 2:2 ბრიოსკი (84)

კატანია 2:1 სალერნიტანა
1:0 რუსო (10), 2:0 ვუგრინეცი (25), 2:1 პალადინო (74)

კროტონე 1:0 ვენეცია
1:0 გუიმანი (9)

ჯენოა 3:2 ემპოლი
0:1 ვანუკი (33), 1:1 დ. მილიტო (41), 2:1 ტედესკო (43), 3:1 ძანინი (66), 3:2 ვანუკი (74)

ტერნანა 0:0 პესკარა

ტრევიზო 2:0 კატანძარო
1:0 ბარეტო (67), 2:0 დალ აკუა (78)

ტრიესტინა 0:1 ტორინო
0:1 მარაცინა (47)

ვერონა 5:3 ვიჩენცა
0:1, 0:2 ბონანი (21, 46), 1:2 გერვაზონი (52), 2:2 იუნკო (60), 3:2 იტალიანო (67), 4:2 ბოგდანი (74), 4:3 რიგონი (79), 5:3 ბოგდანი (90)

ასკოლი — ჩეზენა
დღეს გაიმართება

ჯენოა	18	11	6	1	39:17	39
ემპოლი	18	10	4	4	30:17	34
ტორინო	18	10	4	4	23:14	34
პერუჯა	18	9	5	4	27:18	32
ვერონა	18	8	5	5	35:25	29
ტრევიზო	18	7	5	6	22:22	26
ასკოლი	17	7	5	5	20:21	26
პიაჩენცა	18	8	2	8	24:28	26
კატანია	18	6	7	5	19:22	25
ალბინოლეფე	18	6	6	6	25:21	24
ტრიესტინა	18	6	5	7	22:26	23
ვიჩენცა	18	7	1	10	29:31	22
სალერნიტანა	18	6	4	8	23:30	22
არეცო	18	4	9	5	26:23	21
ჩეზენა	17	5	6	6	23:25	21
ტერნანა	18	5	6	7	16:21	21
მოდენა	18	7	3	8	20:22	20
პესკარა	18	4	7	7	17:24	19
ბარი	18	4	7	7	16:20	18
კროტონე	18	4	6	8	18:24	18
კატანძარო	18	4	4	10	17:30	16
ვენეცია	18	3	5	10	13:23	14

„მოდენას" დაკლებული აქვს 4 ქულა, „ბარის" — 1

სერია C1/A

XVI ტური

პიზა — ს. ტორესი 2:2; კომო — პრატო 0:0; გროსეტო — ნოვარა 1:0; ლუმეცანე — ფროზინონე 2:1; მანტოვა — ფ. ანდრია 0:0; პისტოიეზე — ლუკეზე 2:1; პროპატრია — აკრეალე 2:1; სანჯოვანეზე — პავია 2:1; ვიტორია — სპეცია 1:1

სერია C1/B

XVI ტური

ფერმანა — ჩიტადელა 0:1; ფოჯა — კიეტი 0:0; ჯულიანოვა — ბენევენტო 0:0; მარტინა — სამბენედეტეზე 2:0; პადოვა — ტერამო 0:1; რიმინი — ნაპოლი 2:1; სორა — აველინო 1:1; სპალ — რეჯანა 2:1. ლანჩანო — პეზარო დღეს გაიმართება

№	სულ თ	სულ მ	სულ ფ	სულ წ	სულ ბ	სულ ს	სულ ქ	შინ თ	შინ მ	შინ ფ	შინ წ	შინ ბ	შინ ს	შინ ქ	სტუმრად თ	სტუმრად მ	სტუმრად ფ	სტუმრად წ	სტუმრად ბ	სტუმრად ს	სტუმრად ქ
1 იუვენტუსი	16	12	3	1	28:7	21	39	8	6	2	0	13:3	10	20	8	6	1	1	15:4	11	19
2 მილანი	16	10	5	1	27:9	18	35	8	4	3	1	18:7	11	15	8	6	2	0	9:2	7	20
3 უდინეზე	16	9	4	3	25:13	12	31	8	4	2	2	13:6	7	14	8	5	2	1	12:7	5	17
4 ინტერი	16	4	12	0	33:24	9	24	8	3	5	0	17:9	8	14	8	1	7	0	16:15	1	10
5 პალერმო	16	6	6	4	16:11	5	24	8	5	2	1	10:3	7	17	8	1	4	3	6:8	-2	7
6 სამპდორია	16	7	3	6	15:12	3	24	8	3	1	4	4:6	-2	10	8	4	2	2	11:6	5	14
7 რომა	16	6	5	5	30:23	7	23	8	3	4	1	18:12	6	13	8	3	1	4	12:11	1	10
8 ფიორენტინა	16	5	7	4	16:17	-1	22	8	4	3	1	11:5	6	15	8	1	4	3	5:12	-7	7
9 კალიარი	16	6	4	6	24:28	-4	22	8	5	2	1	14:8	6	17	8	1	2	5	10:20	-10	5
10 ლეჩე	16	5	6	5	31:30	1	21	8	4	1	3	18:15	3	13	8	1	5	2	13:15	-2	8
11 ლივორნო	16	5	5	6	18:20	-2	20	8	4	1	3	9:8	1	13	8	1	4	3	9:12	-3	7
12 კიევო	16	5	5	6	14:20	-6	20	8	3	3	2	7:7	0	12	8	2	2	4	7:13	-6	8
13 რეჯინა	16	5	4	7	14:19	-5	19	8	4	1	3	10:10	0	13	8	1	3	4	4:9	-5	6
14 მესინა	15	4	6	5	18:24	-6	18	7	3	3	1	12:10	2	12	8	1	3	4	6:14	-8	6
15 ლაციო	16	4	5	7	19:23	-4	17	8	2	3	3	12:12	0	9	8	2	2	4	7:11	-4	8
16 ბრეშა	16	5	2	9	13:21	-8	17	8	2	1	5	4:10	-6	7	8	3	1	4	9:11	-2	10
17 ბოლონია	16	4	4	8	15:18	-3	16	8	3	2	3	9:8	1	11	8	1	2	5	6:10	-4	5
18 სიენა	16	2	7	7	11:24	-13	13	8	1	5	2	7:13	-6	8	8	1	2	5	4:11	-7	5
19 პარმა	16	2	6	8	16:29	-13	12	8	2	4	2	10:9	1	10	8	0	2	6	6:20	-14	2
20 ატალანტა	15	0	7	8	11:22	-11	7	8	0	5	3	7:10	-3	5	7	0	2	5	4:12	-8	2

ბომბარდირები

ადრიანო (ინტერი)	14
მონტელა (რომა)	12
შევჩენკო (მილანი)	11
ტოტი (რომა)	10
ბოჟინოვი (ლეჩე)	9
კ. ლუკარელი (ლივორნო)	9

XVII ტური
5-6 იანვარი, 2005

ატალანტა	:	ფიორენტინა
ბრეშა	:	ბოლონია
კალიარი	:	მესინა
კიევო	:	სიენა
ლაციო	:	რომა
ლივორნო	:	ინტერი
მილანი	:	ლეჩე
პარმა	:	იუვენტუსი
რეჯინა	:	პალერმო
სამპდორია	:	უდინეზე

„ოსერი“ — „ნიცა“. მასპინძელთა მეკარე ფაბიენ კულმა ამჯერზე იყოჩაღა

გოლთაყრა ოსერში

კანტი სტრასბურში გაცოცხლდა

საფრანგეთი

I დივიზიონი. XIX ტური

მონაკო 1:1 ბორდო

0:1 დარშევილი (8), 1:1 კალონი (42)

პსჟ 3:0 მეცი

1:0 მენირი (41ს.ჯ.), 2:0 პაულეტა (60პ), 3:0 პანკრატი (75)

აიაჩო 0:0 ლილი

ოსერი 4:3 ნიცა

1:0 ბოლფი (45), 1:1 ს. ტრაორე (47), 2:1 მვარუვარი (55), 2:2 ვაირუა (57), 3:2 ბ. კალუ (58), 3:3 ეშუაფნი (62), 4:3 მვარუვარი (63)

კაენი 0:2 ტულუზი

0:1 პსომე (27), 0:2 დ. მორეირა (57)

ისტრი 0:2 სენტ ეტიენი

0:1 საბლე (32), 0:2 ფ. მენდი (45)

ლანსი 2:1 ბასტია

1:0, 2:0 კუზინი (37, 68), 2:1 ვერელი (81)

სტრასბური 1:0 რენი

1:0 კანტი (15)

ლიონი 1:1 მარსელი

0:1 ლუინდულა (4), 1:1 გოვუ (39)

ნანტი 2:2 სოშო

1:0 სავინო (19), 1:1, 1:2 ილანი (27, 45), 2:2 ფაი (86)

„ლიონმა“ უკან მოიტოვა 19 წაუგებელი მატჩი და ზამთრის ჩემპიონი გახდა. პირველ წრეში ბოლო გოლი „ლიონს“ პეგი ლუინდულამ გაუტანა, რომელიც გასულ ზაფხულს პოლ ლე გუენმა „მარსელს“ დაუთმო. ლუინდულამ მეოთხე წუთზე მასპინძელი მცველის ფეშქაშ-პასით ისარგებლა, პიუდებუასთან პირისპირ აღმოჩნდა და ანგარიში გახსნა. პირველი ტაიმის მიწურულს ვილტორდის კარგი თამაშის წყალობით სიდნეი გოვუმ გაათანაბრა. გოვუს მეტოქისგან ასხლეტილი ბურთი ფეხში მოხვდა და სამიოდ მეტრიდან კარში შეეგარდა.

მილანის „ინტერის“ ფრანგულმა ალი-კვალმა „ბორდომ“ მეთორმეტე ფრე გააგორა. მერვე წუთზე ჟულიენ ფობერმა „მონაკოს“ მცველი გააბითურა, მარჯვენა ფლანგიდან ბურთი კარის წინ ჩააწოდა და „გაფრენილმა“ დარშევილმა თავური დარტყმით გაიტანა.

შესვენებამდე სამი წუთით ადრე მოჰამედ კალონმა გაქვითა, ამის შემდეგ კი ჩევანტონმა და სავიოლამ ორ-ორი ხელსაყრელი მომენტი გააცუდეს.

„ჩვენ უკეთესს შედეგს ვიმსახურებდით — განაცხადა დიდიე დეშანმა — მეორე გოლი უნდა გაგვეტანა, რადგან მეორე ტაიმში მეტოქეს თამაშით ვაჯობეთ, თუმც „ბორდო“ საკმაოდ სოლიდური გუნდია“.

ოსერში თვალსაჩინო მატჩი გამოვიდა. მასპინძლები სამჯერ დაწინაურდნენ, მაგრამ კაცნაკლულმა „ნიცამ“ სამჯერვე გაათანაბრა, თუმც ბენჟანინ მვარუვარის მეოთხე გოლს „ლაჟვარდოვანებმა“ ველარ უპასუხეს.

ნიცელებს მეგოლე ვიქტორ აგალი პირველი ტაიმის მიწურულს უხეშობისთვის გაუძევეს, ბოლფმა კი ექვსი მეტრიდან თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. მეორე ნახევრის დასაწყისშივე სემი ტრაორემ თავითვე გაათანაბრა, მვარუვარიმ კვლავ „ოსერი“ დააწინაურა, მაგრამ სტუმრებმა პენალტით მალევე აღადგინეს წონასწორობა. ამას მოჰყვა ბუნავენტურე კალუს გოლი და 3:2, თუმც ეშუაფნმ ისევ გაქვითა. მერე კი კვლავ მვარუვარის შორეული დარტყმა და სამი ქულა ოსერში დარჩა.

„სენტ ეტიენმა“ წაუგებელ მატჩთა სერია შვიდამდე გაზარდა. „მწვანეებმა“ მაჩანჩალა „ისტრს“ სტუმრად სძლიეს. ჟულიენ საბლემ ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმო დარტყმით დააწინაურა სტუმრები, ფრედერიკ მენდიმ კი პირველი ტაიმის მიწურულს მეორე შეაგდო. „სენტ ეტიენის“ ზუმანა კამარა მეორე ნახევარში გააძევეს, მაგრამ „ისტრმა“ კაცმეტობით ვერ ისარგებლა.

ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის პსჟ-მ მიჯრით მეორე შეხვედრა მოიგო და ბოსნიელი მწვრთნელის გათავისუფლების საკითხიც მოიხსნა. „მეცის“ მცველმა მეჰდი მენირიმ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და ანგარიშიც გაიხსნა. პედრო პაულეტამ პენალტით მეორე შეაგდო, ხოლო მისი პასით პანკრატმა მესამე მიითვალა.

„სტრასბურმა“ კი „რენს“ სედრიკ კანტის კინკილა გოლის წყალობით სძლია და მეთვრამეტე ადგილიდან სამი საფეხურით დაწინაურდა.

ვაჟა ხუციშვილი

ლიონი	19	10	9	0	23:8	39
ლილი	19	10	6	3	23:11	36
ოსერი	19	9	5	5	26:19	32
მონაკო	19	7	9	3	24:18	30
მარსელი	19	8	5	6	22:18	29
ტულუზი	19	7	7	5	21:17	28
ბორდო	19	5	12	2	21:10	27
სოშო	19	7	6	6	24:19	27
სენტ ეტიენი	19	6	8	5	26:19	26
პსჟ	19	6	8	5	23:22	26
ნიცა	19	6	7	6	24:25	25
ლანსი	19	5	9	5	21:20	24
რენი	19	6	5	8	19:23	23
მეცი	19	5	8	6	17:26	23
სტრასბური	19	4	7	8	18:25	19
კაენი	19	4	7	8	15:30	19
ნანტი	19	4	6	9	16:22	18
ბასტია	19	4	5	10	14:25	17
აიაჩო	19	2	10	7	16:23	16
ისტრი	19	1	9	9	10:23	12

II დივიზიონი. XIX ტური

ლორიანი — ბრესტი 3:0; ამიენი — ლე მანი 0:0; ანჟე — სედანი 2:2; კლერმონი — რეიმსი 0:0; დიჟონი — მონპელიე 1:0; გენგამი — ლე ავრი 1:0; ლავალი — კრეტეი 0:0; ნანსი — გრენობლი 2:0; ნიორი — გენიონი 1:1; ტრუა — შატორუ 5:5

ნანსი	19	12	3	4	29:16	39
ტრუა	19	9	4	6	32:27	31
სედანი	19	8	6	5	18:16	30
გენიონი	19	6	10	3	15:11	28
ბრესტი	19	7	7	5	20:20	28
დიჟონი	19	7	6	6	20:18	27
მონპელიე	19	7	5	7	18:15	26
შატორუ	19	5	11	3	21:19	26
ლე მანი	19	7	5	7	20:19	26
ამიენი	19	6	8	5	18:17	26
ლორიანი	19	8	2	9	26:26	26
ლავალი	19	7	5	7	21:23	26
გენგამი	19	7	4	8	22:24	25
რეიმსი	19	6	7	6	19:25	25
კლერმონი	19	5	9	5	25:21	24
გრენობლი	19	5	8	6	21:25	23
ანჟე	19	4	8	7	17:20	20
ნიორი	19	6	1	12	18:25	19
კრეტეი	19	4	6	9	16:22	18
ლე ავრი	19	4	5	10	12:19	17

ჯლაზგოშრი თითო-თითო

შოტლანდია

პრემიერლიგა. XIX ტური

სელტიკი 1:0 დანდი იუნ.

1:0 სატონი (18)

დანდი 1:0 აბერდინი

1:0 ბარეტი (57)

ჰიბერნიანი 2:1 დანფერმლაინი

1:0 გლასი (66), 1:1 ტოდი (68), 2:1 რიორდანი (90)

მოზერუელი 1:2 ინვერნესი

0:1 ჰარტი (17), 0:2 ბეინი (42), 1:2 კლერკსონი (65)

კილმარნოკი 0:1 რეინჯერსი

0:1 არველაძე (16)

რეინჯერსი: შ. კლოსი, მ. ენდროუსი, ბუმსონგი, ჰატონი, მლადენოვიჩი, რიკსენი, ვინალი, ნამუში (ს. ტომპსონი 69), ა. რაე, არველაძე, პრსო (ბარკი 79)

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაფრთხილება: რაე

მსაჯი: მაკდონალდი

11 156 მაყურებელი

ლივინგსტონი — ჰართსი

გადაიდო

ამ წლის ბოლოსწინა ტურში ჩემპიონატის ვეშაპებმა მსგავსი ანგარიშებით მოიგეს და მათ შორის სხვაობა კვლავ ერთი ქულაა.

„სელტიკმა“ ათიდან მეცხრე საშინაო შეხვედრაში იმარჯვა — მასპინძლებმა „დანდი იუნაიტედს“ კრის სატონის გოლით სძლიეს. სატონმა კუთხურიდან ალან ტომპსონის ჩაწოდებულ ბურთს თავი საგოლედ დაუხვედრა და ანგარიში გახსნა, მანამდე კი „დანდი იუნაიტედის“ მცველმა არჩიბალდმა ბურთი კარის ხაზიდან ორჯერ გამოაძევა.

„სელტიკმა“ შაბათს მოიგო, „რეინჯერსს“ კი თანაქალაქელთან სხვაობის შესანარჩუნებლად „კილმარნოკთან“ სტუმრად მოგება სჭირდებოდა. „ჩაფრებმა“ შოთა არველაძის საპირველტაიმო გოლის წყალობით აჯობეს მეტოქეს და ალექს მაკლიშის გუნდი მარტინ ონილისას კვლავ „ფეხზე აზის“. არველაძემ დაახლოებით საპენალტედან ძლიერი დარტყმით კარის შუაში გაუტანა „კილმარნოკის“ მეკარეს.

„ვეშაპთა“ მორიგი ზეობის ფონზე საინტერესო ის იყო, რომ „დანდიმ“ მესამე ადგილზე გამოჭიმულ „აბერდინს“ სამი ქულა დაატოვებინა, ხოლო „ინვერნესმა“ ახალი მწვრთნელის, კრეიგ ბრეკსტერის ხელქვეით პირველი მატჩი „მოზერუელს“ მოუგო.

ვაჟა ხუციშვილი

სელტიკი	19	15	2	2	45:18	47
რეინჯერსი	19	14	4	1	38:8	46
აბერდინი	19	10	4	5	23:19	34
ჰიბერნიანი	19	10	3	6	31:27	33
მოზერუელი	19	9	2	8	27:23	29
ჰართსი	18	7	6	5	19:14	27
კილმარნოკი	19	6	2	11	24:35	20
ინვერნესი	19	4	6	9	20:29	18
დანფერმლაინი	19	4	4	11	17:29	16
დანდი	19	4	4	11	18:35	16
დანდი იუნ.	19	3	6	10	18:29	15
ლივინგსტონი	18	4	3	11	16:30	15

I დივიზიონი. XIX ტური

ფოლკირკი — ქუინი 4:0; პარტიკი — ჰამილტონი 0:1; რეითი — ერდრი 0:2; როსი — კლაიდი 0:1; სენტ ჯონსტონი — სენტ მირენი 1:0

II დივიზიონი. XIX ტური

ალოა — არბროთი 4:2; ეარი — სტირლინგი 3:2. *ბერვიკი — სტრანრარი, დამბარტონი — ბრეჩინი და ფორფარი — მორტონი გადაიდო*

III დივიზიონი. XIX ტური

ალბიონი — კოუდენბითი 2:3; გრეტნა — სტენჰაუზმური 3:0; პიტერჰედი — ქუინზ პარკი 2:2. *ისტ ფაიფი — ელგინი და მონტროუზი — ისტ სტირლინგი გადაიდო*

ასოციაციის თასი

II ეტაპი. გადათამაშება

ბერვიკი — დამბარტონი 3:1; ისტ ფაიფი — ჰანტლი 3:3დ.დ.(პენ.4:3, 2:2)

„სელტიკის“ გამარჯვებისა კრის სატონმა (№9) გაიტანა

კლინსმანის პირველი კორეაში ჯაჭვორეს

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲝᲠᲔᲐ 3:1 ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

1:0 დ. კიმი (16), 1:1 ბალაკი (24), 2:1 დ. ლი (71), 3:1 ჟ. ჩო (87)

ბალაკმა ვერ გაიტანა პენალტი (85, მეკარე)

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲝᲠᲔᲐ: ვ. ლი (ი. კიმი 88), ჯ. პარკი, კ. კიმი, დ. პარკი, დ. ჟ. კიმი, დ. ჰ. კიმი (ჟ. კიმი 46), ს. კიმი, კ. ს. პარკი (იოო 90), დ. ლი (ჩო 81), დ. კიმი (ნამი 62), ჩა

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ: კანი, ჰინკელი (ოვომოიელა 46), ვიორნსი (ბრდარიჩი 86), ა. ფრიდრიხი, ლამი, ბ. შნაიდერი, ფ. ერნსტი, შვაინსტაიგერი (პოდოლსკი 63), ბალაკი, კლოზე, კურანი (ასამოა 76)

გაფრთხილება: ს. კიმი

მსაჯი: მოჰდ სალეჰი (ტაილანდი)

45 775 მაყურებელი



ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲛ იურგენ კლინსმანის ხელქვეით პირველი მატჩი წააგო. ბუნდესნაკრები პუსანში სამხრეთ კორეასთან დამარცხდა. გავიხსენოთ, რომ ეს გუნდები მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ევროპელებმა აზიელებს აჯობეს.

დონ ჟინ კიმმა, დონ გუკ ლიმ და ჟაე ვინ ჩომ სამჯერ დაამწუხრეს ოლივერ კანი, რომელმაც იაპონიასთან მატჩში საუცხოოდ ითამაშა.

85-ე წუთზე, როცა კორეელები 2:1-ს იგებდნენ, ბალაკმა პენალტი ვერ გაიტანა — სტუმართა კაპიტანს მეკარემ აუღო. „ჩვენ, რა თქმა უნდა, მარცხი ძალიან გვეწყინა — განაცხადა იურგენ კლინსმანმა — თუმც მასპინძლებმა უკეთესად ითამაშეს და თავისი შანსები გამოიყენეს“.

ანგარიში კიმმა ცაციით მეთექვსმეტე წუთზე გახსნა — ოლივერ კანი ამაოდ დაშვრა. მიხაელ ბალაკმა მალევე გაათანაბრა. ბუნდესნაკრების კაპიტანმა ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმით იხეირა. მიროსლავ კლოზემ ამის შემდეგ ხელსაყრელი მომენტი გააცუდა, ხოლო ბალაკმა მორიგი საჯარიმო დარტყმით შეტოქის კარის ხარიხა შეატოკა, მასპინძელმა ლიმ კი დაახლოებით საპენალტედან კვლავ აზიელები დააწინაურა.

შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე დამხვდურთა კარში პენალტი დანიშნეს, მაგრამ ვონ ლიმ ბალაკის დარტყმული პენალტი მოიგერია, ხოლო შეცვლაზე შესულმა ჩომ მესამე შეაგდო.

„ჩვენ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მსოფლიო დონის ნაკრებს ვძლიეთ — თქვა კორეელთა მწვრთნელმა ბონფრერემ — ასეთი ბრძოლის შედეგად გამარჯვება ალბათ დავიმსახურეთ“.

გერმანიის ნაკრებს აზიური ტურნეს ბოლო მატჩი ბანკოკში ტაილანდთან ელის.

ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

კევინ კურანი წელში გაწყვიტეს

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

ᲘᲣᲠᲘᲚᲔᲠᲚᲘᲒᲐ. XVII ᲢᲣᲠᲘ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ 2:1 ᲛᲣᲡᲙᲠᲝᲜᲘ
1:0 კულეკი (73), 1:1 დავოლიო (80), 2:1 მაკასი (90)

ᲚᲣᲕᲘᲔ 3:2 ᲚᲘᲔᲠᲡᲘ
0:1 ტუჰუა (11), 1:1 მარსი (33), 2:1 იშიაკუ (46), 3:1 მარსი (50), 3:2 ე. სოლარი (85)

ᲚᲝᲙᲔᲠᲔᲜᲘ 1:1 ᲨᲐᲠᲚᲔᲠᲣᲐ
0:1 კრაუჩი (6), 1:1 დოლი (11)

ᲒᲔᲜᲙᲘ 2:1 ᲡᲔᲠᲙᲚ ᲑᲠᲘᲣᲒᲔ
1:0 ჰარუნი (10), 1:1 კ. ვანდენბერგი (78), 2:1 როია (82)

ᲕᲔᲡᲢᲔᲠᲚᲝ 2:1 ᲒᲔᲜᲢᲘ
0:1 ტ. მატისი (15), 1:1 პაასი (60), 2:1 მენსი (74)

ᲑᲔᲕᲔᲠᲔᲜᲘ 1:0 ᲑᲔᲔᲠᲡᲮᲝᲢᲘ
1:0 სანოგო (89)

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲓᲘ 5:0 ᲝᲡᲢᲔᲜᲓᲔ
1:0 ბანგურა (6), 2:0 სერჟიუ კონსეისაუ (40), 3:0 ბანგურა (63), 4:0 კუბრელო (68), 5:0 სერჟიუ კონსეისაუ (90პ)

ᲑᲠᲘᲣᲒᲔ 5:1 ᲡᲔᲜᲢ ᲢᲠᲣᲘᲓᲔᲜᲘ
1:0 ვერჰეინი (10), 2:0 ტ. სიმონსი (13), 3:0 ბლონდელი (30), 3:1 ბუვენსი (33), 4:1 ვერჰეინი (57), 5:1 ლანგე (62)

ᲛᲝᲜᲡᲘ — ᲐᲜᲓᲔᲠᲚᲔᲮᲢᲘ

გადაიდო

ბრიუგე	17	14	2	1	45:9	44
ანდერლეხტი	16	12	1	3	35:16	37
შარლერუა	17	10	3	4	26:19	33
სტანდარდი	17	9	3	5	28:20	30
გენკი	17	8	6	3	23:17	30
ლუვიე	17	9	2	6	28:17	29
გენტი	17	9	2	6	26:23	29
ლიერსი	17	7	3	7	30:28	24
ლოკერენი	17	6	5	6	18:21	23
ვესტერლო	17	7	2	8	17:27	23
ბევერენი	17	6	4	7	23:21	22
მუსკრონი	17	6	3	8	26:23	21
ბეერსხოტი	17	6	2	9	17:16	20
სერკლი	17	6	2	9	26:43	20
სენტ ტრუიდენი	17	4	4	9	17:25	16
ბრიუსელი	17	4	2	11	17:35	14
ოსტენდე	17	1	5	11	15:35	8
მონსი	16	1	3	12	14:34	6

II ᲙᲚᲐᲡᲘ. XVII ᲢᲣᲠᲘ

რუზელარე — სენტ ჟილი 0:0; დესელი — ვიზეტი 0:3; დაინცე — პატრო 1:0, ვაასლანდი — ვარეგემი 3:3; ვირტონი — ანტვერპენი 1:0, როსი — ეუპენი 4:0; ტუბიცე — ჰეუსდენი 0:0; აალსტი — გეელი 0:0; კორტრაიკი — ვიგორი 2:1

ვარეგემი	18	10	5	3	38:23	35
ანტვერპენი	18	11	2	5	29:16	35
როსი	18	10	4	4	25:16	34
გეელი	18	9	3	6	30:21	30
რუზელარე	18	8	5	5	22:15	29
ვაასლანდი	18	8	5	5	29:26	29
ვირტონი	18	7	7	4	24:23	28
პატრო	18	7	5	6	24:27	26
ჰეუსდენი	19	6	7	6	21:19	25
დაინცე	18	7	4	7	29:37	25
ტუბიცე	18	6	4	8	27:26	22
დესელი	18	5	6	7	17:24	21
კორტრაიკი	18	6	2	10	25:31	20
ეუპენი	18	4	7	7	27:33	19
სენტ ჟილი	18	5	4	9	17:23	19
ვიგორი	19	4	6	9	23:28	18
აალსტი	18	4	6	8	21:29	18
ვიზეტი	18	3	4	11	21:32	13

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ

ᲡᲔᲠᲘᲐ A. XLVI ᲢᲣᲠᲘ

სანტოსი — ვასკუ და გამა 2:1, ატლ. პარანენსე — ბოტაფოგო 1:1, კორინთიანსი — ფიგეირენსე 5:2, კრისიუმა — კურიტიბა 3:3, ფლამენგო — კრუზეირო 6:2, ფლუმინენსე — პალმეირასი 1:1, გოიასი — სან პაულუ 2:0, გუარანი — გრემიო 2:0, ინტერნასიონალი — პარანა 2:1, ფლენტუდე — პაისანდუ 1:2, ატლ. მინეირო — სან კეტანო 3:0, ვიტორია — პონტე პრეტა 1:2

ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

სანტოსი	46	27	8	11	103:58	89
ატლ. პარანენსე	46	25	11	10	93:56	86
სან პაულუ	46	24	10	12	78:43	82
პალმეირასი	46	22	13	11	72:47	79
კორინთიანსი	46	20	14	12	54:54	74
გოიასი	46	21	9	16	81:68	70
ჟუვენტუდე	46	20	10	16	60:66	70
ინტერნასიონალი	46	20	7	19	66:59	67
ფლუმინენსე	46	18	13	15	65:68	67
პონტე პრეტა	46	19	7	20	43:73	64
ფიგეირენსე	46	17	12	17	57:59	63
კურიტიბა	46	15	17	14	53:48	62
კრუზეირო	46	16	8	22	69:81	56
პაისანდუ	46	14	14	18	56:76	56
ფლამენგო	46	13	15	18	51:53	54
ვასკუ და გამა	46	14	12	20	64:68	54
პარანა	46	15	9	22	52:73	54
სან კეტანო	46	23	8	15	65:49	53
ატლ. მინეირო	46	12	17	17	60:66	53
ბოტაფოგო	46	11	18	17	62:71	51
კრისიუმა	46	13	11	22	61:78	50
გუარანი	46	11	16	19	43:55	49
ვიტორია	46	13	9	24	68:87	48
გრემიო	46	9	12	25	59:80	39

„სან კეტანოს“ დაკლებული აქვს 24 ქულა

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ

I ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XVII ᲢᲣᲠᲘ

ᲐᲯᲐ ᲔᲘᲜᲓᲰᲝᲕᲔᲜᲘ 0:2 ᲠᲝᲓᲐ
0:1 ბოდნარი (45), 0:2 სერჟიო (80)

ᲠᲝᲖᲔᲜᲓᲐᲚᲘ 0:2 ᲐᲚᲙᲛᲐᲐᲠᲘ
0:1 ნელისე (24), 0:2 ლანძაატი (62)

ᲕᲐᲚᲕᲐᲘᲙᲘ 1:0 ᲤᲘᲚᲒᲣᲠᲒᲘ
1:0 ჰუგენდორპი (77)

ᲤᲕᲔᲜᲢᲔ 0:0 ᲑᲠᲔᲓᲐ

ᲕᲘᲢᲔᲡᲘ 3:1 ᲒᲠᲐᲐᲤᲡᲮᲐᲠᲘ
0:1 მაგნო (1), 1:1, 2:1 შაარსი (53, 60), 3:1 ვ. ამოა (78)

ᲓᲔᲜ ᲰᲐᲐᲒᲘ 2:0 ᲤᲔᲘᲔᲜᲝᲝᲠᲓᲘ
1:0 დენ ოუდენი (2), 2:0 პოლაკი (63)

ᲜᲐᲘᲛᲔᲒᲔᲜᲘ 3:2 ᲰᲔᲠᲔᲜᲕᲔᲜᲘ
1:0 ველაერტი (33), 1:1 ჰესტადი (16), 2:1, 3:1 დენებოომი (47, 74), 3:2 ვაირინენი (90)

ᲣᲢᲠᲔᲮᲢᲘ 1:0 ᲓᲔᲜ ᲑᲝᲡᲮᲘ
1:0 ჰ. ვან დერ ჰაარი (55)

ᲒᲠᲝᲜᲘᲜᲒᲔᲜᲘ 0:4 ᲐᲘᲐᲫᲡᲘ
0:1 სნეიდერი (58), 0:2 მიტია (64), 0:3, 0:4 რ. ბაბელი (74, 78)

ალკმაარი	17	13	3	1	44:12	42
პსვ	17	13	3	1	42:10	42
აიაქსი	17	11	4	2	41:17	37
ფეიენოორდი	17	9	4	4	42:23	31
უტრეხტი	17	8	4	5	23:19	28
ჰერენვენი	17	8	4	5	30:28	28
ვიტესი	17	8	3	6	28:23	27
როდა	17	7	5	5	32:26	26
ბრედა	17	7	5	5	27:33	26
ტილბურგი	17	6	4	7	22:25	22
ვალვაიკი	17	5	6	6	21:23	21
გრონინგენი	17	5	4	8	24:33	19
ტვენტე	17	5	3	9	19:25	18
ნაიმეგენი	17	4	5	8	20:24	17
დენ ჰააგი	17	4	3	10	21:28	15
დენ ბოსხი	17	2	3	12	10:43	9
გრაფშაპი	17	1	5	11	17:43	8
როზენდალი	17	2	2	13	17:45	8

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XVIII ᲢᲣᲠᲘ

კამბური — ჰაარლემი 1:0; დორდრეხტი — აპელდორნი 2:1; ზვოლე — ექსელსიორი 1:1; მაასტრიხტი — ემენი 0:0; სპარტა — იგლსი 2:2; ტელსტარი — სიტარდი 5:2; ოსი — ვოლენდამი 1:1; ვეენდამი — ჰერაკლესი 0:1; ვენლო — ჰელმონდი 1:1

სპარტა	18	10	6	2	46:23	36
ჰერაკლესი	18	11	3	4	29:18	36
ვოლენდამი	18	10	4	4	29:17	34
ვენლო	18	9	6	3	31:18	33
დორდრეხტი	18	9	4	5	26:24	31
ჰელმონდი	18	8	5	5	30:24	29
ზვოლე	18	8	5	5	28:22	29
ჰაარლემი	18	8	3	7	30:26	27
ტელსტარი	18	6	6	6	25:22	24
ვეენდამი	18	7	3	8	32:31	24
იგლსი	18	6	5	7	23:28	23
აპელდორნი	18	7	1	10	28:28	22
ოსი	18	6	4	8	29:37	22
ექსელსიორი	18	6	3	9	27:27	21
სიტარდი	18	5	5	8	31:40	20
კამბური	18	5	5	8	15:26	20
მაასტრიხტი	18	3	5	10	16:27	14
ემენი	18	3	5	10	19:34	14
ეინდჰოვენი	18	2	6	10	20:42	12

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲒᲐ. XVII ᲢᲣᲠᲘ

დენიზლი — გალათასარაი 0:0, ანკარაგიუჯუ — რიზე 0:0, გაზიანთეფი — გენჩლერი 1:0, ტრაბზონი — ისთანბული 1:1, ფენერბაჰჩე — კონია 3:0, ანკარა — ქაისერი 4:1, დიარბაქირი — სამსუნი 3:0, საქარია — მალათია 4:1, ბუშიქთაში — სებათი 6:1

ფენერბაჰჩე	17	14	1	2	42:9	43
გალათასარაი	17	12	3	2	30:11	39
ტრაბზონი	17	11	4	2	33:12	37
დენიზლი	17	9	3	5	23:18	30
ბეშიქთაში	17	8	5	4	40:25	29
რიზე	17	8	5	4	22:11	29
მალათია	17	7	4	6	25:22	25
გაზიანთეფი	17	7	3	7	25:24	24
გენჩლერი	17	6	4	7	21:23	22
კონია	17	4	8	5	31:36	20
ანკარა	17	5	4	8	23:25	19
დიარბაქირი	17	5	4	8	18:28	19
ანკარაგიუჯიუ	17	5	4	8	13:25	19
სამსუნი	17	5	3	9	23:34	18
საქარია	17	5	1	11	20:35	16
ისთანბული	17	3	6	8	16:25	15
ქაისერი	17	3	2	12	20:38	11
სებათი	17	1	6	10	20:44	9

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ

ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲒᲐ. XV ᲢᲣᲠᲘ

ᲑᲠᲐᲒᲐ 3:0 ᲑᲝᲢᲐᲤᲝᲒᲝ
1:0 ოლიერეირუ (8), 2:0 ტანუ (13 პ.), 3:0 ბაბა (62)

ᲑᲔᲜᲤᲘᲙᲐ 1:0 ᲞᲔᲜᲐᲤᲘᲔᲚᲘ
1:0 არეელი (22)

ᲞᲝᲠᲢᲣ 1:0 ᲛᲝᲠᲔᲘᲠᲔᲜᲡᲔ
1:0 მანიშე (26)

ᲟᲘᲚ ᲕᲘᲡᲔᲜᲢᲔ 2:0 ᲔᲣᲢᲝᲠᲘᲚᲘ
1:0 როვერსიუ (78), 2:0 კარლიტუში (88)

ᲛᲐᲠᲘᲢᲘᲛᲣ 1:1 ᲠᲘᲣ ᲐᲕᲔ
1:0 ბინუ (31), 1:1 ნიკინია (83)

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲐ 1:1 ᲑᲔᲘᲠᲐ ᲛᲐᲠᲘ
1:0 ლუსიანუ (35), 1:1 ტ. სილვა (61)

ᲜᲐᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ 2:0 ᲑᲔᲚᲔᲜᲔᲜᲡᲔᲨᲘ
1:0 ფიდალგუ (8), 2:0 ადრიანუ (82)

ᲡᲔᲢᲣᲒᲐᲚᲘ 1:1 ᲚᲔᲘᲠᲘᲐ
1:0 ჟორჟინიუ (57), 1:1 კაიკუ (84)

ᲒᲘᲛᲐᲠᲐᲔᲨᲘ — ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲜᲒᲘ

დღეს გაიმართება

პორტუ	14	8	4	2	20:8	28
ბენფიკა	15	8	4	3	23:16	28
ბოავიშტა	15	8	3	4	18:16	27
ბრაგა	15	7	5	3	20:12	26
სპორტინგი	14	7	4	3	29:17	25
სეტუბალი	15	7	3	5	20:17	24
ლეირია	15	5	7	3	18:15	22
რიუ ავე	15	4	9	2	20:18	21
მარიტიმუ	14	5	6	3	16:14	21
გიმარაეში	14	5	4	5	13:12	19
ბელენენსეში	15	5	3	7	25:23	18
პენაფიელი	15	5	2	8	17:29	17
ჟილ ვისენტე	15	4	4	7	17:18	16
ეშტორილი	15	4	3	8	17:21	15
ნასიონალი	15	4	3	8	16:24	15
ბეირა მარი	15	3	5	7	18:29	14
აკადემიკა	15	3	3	9	14:22	12
მორეირენსე	15	2	6	7	14:24	12

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XV ᲢᲣᲠᲘ

მაია — ავეში 2:0; ლეიშოეში — ოვაირენსე 2:0; მარკუ — ოლიალენსე 2:1; შავეში — გონდომარი 1:0; ვარზიმი — ალვერკა 3:0; პორტიმონენსე — სანტა კლარა 1:0; ფელგეირაში — ესპინიუ 1:0; ნავალი — ფეირენსე 4:2; ამადორა — ფერეირა 2:2

ამადორა	15	8	5	2	23:12	29
ნავალი	15	8	4	3	24:12	28
ფერეირა	15	7	6	2	23:16	27
მაია	15	8	3	4	19:12	27
ოვაირენსე	15	7	4	4	22:20	25
მარკუ	15	6	6	3	22:18	24
ლეიშოეში	15	6	4	5	17:13	22
ავეში	15	7	1	7	18:15	22
ოლიალენსე	15	6	4	5	17:16	22
გონდომარი	15	5	4	6	13:15	19
პორტიმონენსე	15	5	3	7	18:21	18
სანტა კლარა	15	5	2	8	16:21	17
ფელგეირაში	15	4	4	7	13:14	16
ვარზიმი	15	4	4	7	16:21	16
ესპინიუ	15	4	4	7	14:19	16
ფეირენსე	15	4	3	8	15:26	15
შავეში	15	3	5	7	5:14	14
ალვერკა	15	4	2	9	6:16	14

ᲡᲐᲑᲔᲭᲜᲔᲗᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲚᲘ�გᲐ. XII ᲢᲣᲠᲘ

კერკერა — არისი 0:0; ერგოტელისი — აპოლონი 4:1; ირაკლისი — ქსანთი 1:1; ეგალეო — ოლიმპიაკოსი 2:2; პაოკ — იონიკოსი 3:0; აეკ — ოფი 1:1; ხალკიდონა — პანათინაიკოსი 0:2; პანიონიოსი — კალითეა 1:1

ოლიმპიაკოსი	12	8	3	1	24:7	27
პანათინაიკოსი	12	8	2	2	20:5	26
აეკ	12	6	6	0	17:7	24
ეგალეო	12	3	8	1	10:8	17
ქსანთი	12	4	5	3	15:14	17
ოფი	12	4	4	4	18:16	16
პაოკ	12	4	4	4	14:17	16
პანიონიოსი	12	4	4	4	8:11	16
ხალკიდონა	12	4	3	5	13:14	15
იონიკოსი	12	4	3	5	8:14	15
ირაკლისი	12	4	2	6	12:16	14
კალითეა	12	3	4	5	16:18	13
კერკერა	12	3	3	6	10:14	12
არისი	12	1	7	4	9:14	10
აპოლონი	12	2	4	6	8:15	10
ერგოტელისი	12	2	2	8	10:22	8

ᲙᲝᲞᲐ ᲡᲣᲓᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲜᲐ 2004

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲑᲝᲙᲐ ᲯᲣᲜᲘᲝᲠᲡᲘ (ᲐᲠ�გᲔᲜᲢᲘᲜᲐ) 2:0 ᲑᲝᲚᲘᲕᲐᲠᲘ (ᲑᲝᲚᲘᲕᲘᲐ) (0:1)

1:0 პალერმო (14), 2:0 ტევესი (28)

ᲑᲝᲙᲐ ᲯᲣᲜᲘᲝᲠᲡᲘ: აბონდანსიერი, ხ. კალვო, სკიავი, ტრავერსო, მატელანი, კასკინი, კანია (პ. ლედესმა 67), გულიელმინპიეტრო (ნ. კარდოზო 87), გილერმო ბაროს შელოტო, პალერმო, ტევესი (ფ. ვარგასი 77)

ᲑᲝᲚᲘᲕᲐᲠᲘ: მაჩადო, ო. სანშესი, ხ. ფერეირა, მ. სანდი, კოლკე (რ. სუარესი 46), ლ. პიზარო, ტუფინო, რ. გარსია, გალინდო, ლ. გუტიერესი, კიორაცო

მსაჯი: კარლოს კანდია (ჩილე)

55 000 მაყურებელი

ქალბატონი მარინა აიჯანზე

რობინიოს დედა დაუბრუნდა

ბრაზილიელი ფეხბურთელის, რობინიოს დედა გატაცებიდან 40 დღის შემდეგ გაათავისუფლეს. მარინა დე სოუზა სან პაულუს პერუს რაიონში გამოჩნდა. მოგვიანებით რობინიო და დედამისი „სანტოსის“ ოფისის აივანზე გამოვიდნენ და იქ თავშეყრილ ხალხს მიესალმნენ. დედა-შვილს ტაშითა და ავტომობილების საყვირებით შეხვდნენ

„არაფერია იმაზე უკეთესი, როცა საკუთარ მშობელს ბედნიერს და გალიმებულს ხედავ — თქვა რობინიომ — ახლა შობას ოჯახთან ერთად შევხვდები და სულ ერთია, ჩემპიონი გავხდები თუ არა. 40 დღე ვიტანჯებოდი, ყელში ლუკმა არ გადამდიოდა, რადგან მხოლოდ დედაზე ვფიქრობდი“.

დეტექტივმა ალბერტო კორაზამ განაცხადა, რომ გამტაცებლებთან რობინიოს მამა ჟილსონ სოუზა აწარმოებდა მოლაპარაკებას. „დამნაშავეები საკმაოდ გამოცდილები არიან, რადგან ქალი ასე დიდხანს დააკავეს — აღნიშნა დეტექტივმა — გამოძიებას ოჯახის თხოვნით დავიწყებთ, თუმც ბატონ ჟილსონთან ჯერ არ მისაუბრია და არ ვიცი, გამოსასყიდი თანხა გადაიხადა თუ არა“.

დედის გატაცების დღიდან რობინიოს „სანტოსში“ აღარ უთამაშია და მხოლოდ ვარჯიშით ინარჩუნებდა ფორმას. ფეხბურთელის აგენტმა ვაგნერ რიბეირომ განაცხადა, სანამ მარინა დე სოუზა არ დაბრუნდება, ევროპაში რობინიოს ტრანსფერზე ნულარაფერს მკითხავთო, ახლა კი ეგებ მოლაპარაკებები კვლავ განახლდეს.

„ღმერთი მოწყალეა, რადგან რობინიოს დედა დაუბრუნა — თქვა „სანტოსის“ პრეზიდენტმა მარსელო ტეიშეირამ — ფეხბურთელი დეპრესიაში იყო და ჩვენ მისი ღიმილი დაგვავიწყდა. ამჟამად ყველანი ბედნიერები ვართ“.

შეგახსენებთ, რომ 43 წლის მარინა დე სოუზა 6 ნოემბერს არაია გრანდიდან ორმა შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა გაიტაცა. რობინიომ ამის შემდეგ განმარტოება ისურვა და მედიასთან ურთიერთობა შეწყვიტა. 43 წლის ქალბატონი გასულ ხუთშაბათს გაათავისუფლეს და იგი ჰოსპიტალში ექიმებთან შესამოწმებლად მივიდა. მიუხედავად იმისა, რომ მარინა დე სოუზამ ოთხი კილო დაიკლო, ჯანმრთელობას არ უჩივის.

ბრაზილიაში ადამიანთა გატაცება იშვიათი ხილი არაა, მაგრამ გამომძალველთა სამიზნე უმეტესწილად ჯიბესქელი ბიზნესმენები არიან და არა ფეხბურთელები ან მათი მშობლები.

რობინიომ ანუ რობინიო დე სოუზამ „სანტოსისთვის“ ბოლოს 31 ოქტომბერს ითამაშა „ფლუმინენსეს“ წინააღმდეგ და ორი გოლი გაიტანა. იგი ორი წლის წინ მისი ბრწყინვალე თამაშის წყალობით „სანტოსი“ ჩემპიონი გახდა, ბრაზილიის ჩემპიონატი კი გუშინ დასრულდა და „სანტოსს“ ოქროს დასაუფლებლად „ვასკუ და გამას“ დამარცხება ჰყოფნიდა. „მოოქროვდა“ თუ არა რობინიო, დღეს თავად შეიტყობთ.

ვაჟა ხუციშვილი

და ის ატირდა

იან რაიტი ჯიხურში ზის და რასისზმს ებრძვის

ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ ყოფილი ვარსკვლავი იან რაიტი რასიზმზე საუბრობს. იგი იგონებს, რომ როდესაც მადრიდში „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ესპანეთისა და ინგლისის ნაკრებების შეხვედრის დროს მასპინძელმა ქომაგებმა მისი შვილობილის, შონ რაიტ-ფილიპსის გამოსაჯავრებლად მაიმუნის მიბაძვა დაიწყეს, მას ცრემლები წასკდა

„თავიდან სიამაყის გრძნობით ვიყავი... მიხაროდა შონი ესპანელების წინააღმდეგ ინგლისის ნაკრებს რომ წარმოადგენდა, მაგრამ ის საღამო ჩემი ცხოვრების უარეს საღამოდ იქცა. როდესაც მაიმუნურ შეძახილებს ვისმენდი, ვტიროდი, ეს სწორედ ის გახლდათ, რაც არ მინდოდა ჩემს ბიჭს ცხოვრებაში გადახდენოდა“.

და კიდევ, რაიტმა გაიხსენა ინგლისელი მწვრთნელის, რონ ატკინსონის შეძახილი, როდესაც ატკინსონს ერთ-ერთი მატჩის ტელეტრანსლაციის დროს მიკროფონი გამორთული რომ ეგონა და მარსელ დესაის შესახებ შესძახა: შეხედეთ ამ FACKING ზანგს, როგორ ზარმაცობს“.

„მაშინ ატკინსონმა უამრავ ადამიანს დასწყვიტა გული, მათ შორის მეც“ — ბრძანა რაიტმა.

იან რაიტი და მისი შვილობილი შონ რაიტ-ფილიპსი



იან რაიტი რონ ატკინსონსაც შემოსწყრა



დღეს ოდინდელი ბომბარდირი 41 წლისაა, ტელეწამყვანად მუშაობს და ანტირასისტულ მოღვაწეობას ეწევა, რადგან თავისი ფეხბურთელობის დღეებიდანაც ახსოვს როგორ უხდებოდა მწარე სიტყვების მოსმენა და გულში ჩაკვლა, თუმც თვით ასეთმა გამოცდილმა ადამიანმაც ვერ შეიკავა თავი, როდესაც „სანტიაგო ბერნაბეუს“ ამბავი იხილა.

„წესით კომენტატორის ჯიხურში უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან შონის თამაშებს მინდა მამის პოზიციიდან ვუყურო. ამიტომაც დავრჩი სახლში და ტელევიზორი ჩავრთე. შონი ინგლისის ნაკრების ღირსებას იცავდა, თან მსოფლიოს ერთ-ერთ უდიადეს სტადიონზე და... რა დარჩება ასეთი დღის მოსაგონებლად? ის, რომ ხალხი მაიმუნს ეძახდა?!

ჩემმა ბიჭმა, რაც ხდებოდა თავშეკავებით მიიღო და იმისგან განსხვავებულად მოიქცა, მე რომ მოვიქცეოდი. მის ადგილზე მე, ალბათ, ემოციებს ვერ მოვთოკავდი.

შემდეგ უეფამ მადრიდული კლუბი მხოლოდ 6 ათასით დასაჯა. რას ნიშნავს ეს? განა „რეალისთვის“ ცარიელი ტრიბუნების წინაშე თამაში არ უნდა მიესაჯათ? უეფას ხომ ბრწყინვალე შესაძლებლობა მიეცა მთელი მსოფლიოსთვის ეჩვენებინა, რომ რასისტულ გამოხტომებს სასტიკად სჯის. ახლა გამოვიდა, რომ მისი აზრით რასიზმი სულაც არ არის დიდი დანაშაული.“

ხოლო ატკინსონზე რაიტის აზრი ასეთია:

„იგი ვალდებულია ყველას აჩვენოს, რომ მართლა გული დაწყდა, მომავალში კი ფრთხილად უნდა ბრძანდებოდეს! კი ბატონო, დაბრუნდეს ტელევიზიაში, მაგრამ გულწრფელი ბოდიშით. ატკინსონი რასისტულ ხუმრობაზე სხვა დროსაც გამომიჭერია: ერთხელ, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში, იაპონიაში მან იშაყირა 70-იანი წლების „ვესტ ბრომვიჩის“ სამ ფერადკანიან ფეხბურთელზე, ბასტონზე, რეჯისზე და კანინგემზე, რომელთაც იმხანად წვრთნიდა. მე აღვშფოთდი და ბოდიშის მოხდა მოვთხოვე. მან მოიბოდიშა, მაგრამ მე ეს ძალიან არ მომეწონა“.

პაპუნა კედია

საქართველოს ჩემპიონატი







ლევან მოსეშვილის „ავიამშენი“ წლეულს მეორედ დაამარცხა შიო ხეცურიანის „დინამო“

ასე ვერ გავფრინდებით

დინამომ ავიატორებს მიწაზე დატოვა

ირაკლი პერტაია

„დინამო“ — „ავიამშენს“ ფინალი ჰქონდა, უკეთესს ვერ ინატრებდა კაცი, მაგრამ მარტო ეს ხომ არაა, მთლიანად თამაში იყო მეტად შეუხედავი და ავიატორებს რომ ჰკითხო, ეს მსაჯების ბრალია.

ლევან მოსეშვილის „ავიაცია“ „დინამოს“ ამ სეზონში მეორედ შეხვდა და ისევ დამარცხდა, მაგრამ თუ პირველ წაგებას ავიატორები ვერავის დააბრალებენ, გუშინდელ მარცხის შემდეგ ისინი მხოლოდ მსაჯებისკენ იშვერდნენ ხელს.

ძნელია, ვინმეს არაობიექტურობა დაბრალო და ამას მტკიცებულების გარეშე ვერც გაკეთებ, ხოლო რაც ტრიბუნიდან ჩანდა, ის იყო, რომ მსაჯები თითოეულ შეხებაზე უსტვენდნენ და ამას შედარებით ხშირად დინამოელთა სასარგებლოდ აკეთებდნენ. მსაჯი ადამიანია და საკუთარი შეხედულება გააჩნია, ის ან დაგაჯარიმებს ან არა, მაგრამ რაც უნდა მოხდეს, მოთამაშის მაგივრად კალათში ბურთს ვერ ჩააგდებს.

„დინამომ“ კი, უფრო სწორად, მისმა ლიდერმა შიო ხეცურიანმა თამაშის ბოლო წამზე უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო და მერე მოხდა ის, რასაც ჩემპიონობის მოპოვებისას აკეთებენ ხოლმე გამარჯვებულები. შიომ გამარჯვებისა ჩააგდო და მთელი გუნდი მას აედევნა. ბოლოს, როგორც იქნა, დაიჭირეს და „დინამომ“ გრანდიოზული ზედახორა მოაწყო.

აი, ასე იზეიმა გამარჯვება ზურაბ ტომარაძის გუნდმა, რომელსაც წესით და რიგით ასე სათუოდ არ უნდა გაეხადა თავისი უპირატესობა და საქმე ხეუცრიანის სროლამდე არ უნდა მიეყვანა. რატომ? „დინამომ“ საწყისი სამი მეოთხედი საკმაოდ გამართულად ითამაშა, მეტოქეს თითქმის ყველაფერში აჯობა და გადამწყვეტი ათწუთიანის დაწყებამდე 15-ქულიანი ლიდერობაც დაიბევა. ყველაფერ ამის შემდეგ დინამოელებმა ყური არ ათხოვეს თავიანთ მწვრთნელს, რომელმაც მცირე შესვენებაზე მათ უთხრა, ტემპის დაგდება არ გაბედოთ, პირიქით, მოუმატეთო. მიუმატეს კი არა, აშკარად დაიჯაბნენ და რომ არა ხეცურიანი, „საარაკო“ მარცხსაც იწვნევდნენ.

თამაში „ავიამშენის“ დაბნეულობით და დინამოელთა მობილიზებით დაიწყო. მოედანზე რომ გაიხედავდი, პირველ რიგში ორი რამ გეცემოდა თვალში: ავიატორთა უპირატესობა გამოცდილებაში და „დინამოს“ შეთამაშებულობა. თუ ლევან მოსეშვილის გუნდს მეტი დრო სჭირდებოდა ქულების საგროვებლად და ამას ხშირ შემთხვევაში გრძელი, გაწელილი შეტევის შედეგად ახერხებდა, დინამოელები სწრაფი გარღვევებით თვალის დახამხამებაში აქუჩებდნენ ქულებს.

„ავიამშენმა“ თავიდან ფარზე უპირატესობის მოპოვებით სცადა ფონს გასვლა და სანამ კახა შენგელია სამწამიანში პოზიციებს გაიმყარებდა, „დაბლების“ ფრონტზე დაიჯაბნა. ლაშა ლოსაბერიძისა და ლაშა გამყრელიძის ფეხმარდობამ „დინამო“ 11:4 დააწინაურა, მაგრამ შენგელიამ ფარქვეშ არავინ გაახარა, ბურთს ბურთზე აგდებდა და პირველი მეოთხედის გასრულებამდე ორი წუთით ადრე ანგარიში გათანაბრდა — 16:16. მცირე შესვენებამდე დარჩენილ დროში კი ამ მატჩის მომავალმა გმირმა შიო ხეცურიანმა იკისრა წინამძღოლობა და ავიატორთა დაცვაში შედეგიანად ძრომიალის შემდეგ „დინამო“ 25:19 დააწინაურა.

პირველ წრეში „დინამოსთან“ დამარცხების შემდეგ „ავიაციის“ თავკაცმა ლევან მოსეშვილმა განაცხადა, რომ ლაშა გამყრელიძეს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა და სცადა კიდეც ამის გაკეთება, მაგრამ... ვერცხლისწყალივით მოძრავმა გამყრელიძემ ისევ არ დაინდო მეტოქე და თუ წინა წრეში საჯარიმო აუტალახა, ახლა ძირითადად შორიდან დაბომბა „ავიაცია“.

სწორედ მეორე ათწუთეულიდან ამოქმედდა გამყრელიძე და თუ თვითონ არ აგვირგვინებდა შეტევას, გონივრულ კომბინაციებს უდებდა სათავეს. მისი გამოზომილი პასები ხშირად პოულობდნენ ადრესატს „ავიამშენის“ ფარქვეშ და „დინამოს“ უპირატესობაც იზრდებოდა.

ტაიმი ტომარაძის გუნდმა ცხრა ქულით მოიგო და შესვენების შემდეგ, როცა ყველა „ავიამშენის“ აფეთქებას ელოდა, კიდევ უფრო ყოჩაღად ათამაშდა. შენგელიას ნაცვლად მოედანზე გამოსულმა დავით ბერძენიშვილმა თითქოს ალღო აუღო „დინამოს“ დაცვას, მიჯრით რამდენიმე ბურთი ჩააგდო, მაგრამ „დინამომ“ სანაცვლოდ შორი სამიზნე გამართა და უმეტესად უმართლებდა.

გაიჭირვებდნენ ავიატორები, 4-5 ქულით მიუახლოვდებოდნენ მეტოქეს, მაგრამ ხან გამყრელიძე და ხან ლოსაბერიძე ზუსტი სამქულიანით „დინამოს“ მყარ ლიდერობას უნურჩუნებდნენ.

მესამე მეოთხედის ბოლო წამზეც ზუსტად გაისროლა ლოსაბერიძემ და თითქმის ყველაფერსაც აქ დაესვა წერტილი — 71:56 „დინამოს“ სასარგებლოდ. ბოლო შესვენების შემდეგ, როცა ყველა „დინამოს“ გამარჯვებას ვარაუდობდა, „ავიაცია“ აბობოქრდა. გამყრელიძემ თამაშის დასრულებამდე 9 წუთით ადრე თავისი ბოლო სამქულიანი ჩააგდო ამ მატჩში, დინამოელთა უდიდესი უპირატესობა (74:57) დააფიქსირა და... იმ წამიდან მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი — „ავიამშენი“ დარჩა.

ერთი წუთის განმავლობაში ზურაბ ტომარაძემ ორჯერ აიღო წუთშესვენება, მაგრამ „ავიაციის“ შეჩერება მაინც ვერ შეძლო. ორწუთიანი მონაკვეთი მოსეშვილის გუნდმა 11:0 მოიგო და საფინალო სირენამდე 7 წუთით ადრე ექვს ქულასღა აგებდა — 70:76. თამაში და, რა თქმა უნდა, მოთამაშეთა ნერვები დაიძაბა. ერთ ეპიზოდში ხეცურიანი და ნიკოლაძე წაკამათდნენ კიდეც და ხალხი შუაში რომ არ ჩამდგარიყო, ვინ იცის, რა მოხდებოდა.

„ავიამშენის“ უპირატესობა ეჭვს აღარ იწვევდა და სწორედ ამ ეპიზოდს დაემთხვა მსაჯების საეჭვო გააქტიურებაც. ბოლო მეოთხედში „ავიამშენს“ ოთხწუთიანი ბურთაობის შედეგად ჯარიმა არ მიეღო და „დინამოს“ ერთი შეტევისას ერთბაშად ოთხჯერ დაჯარიმდა. დინამოელთა ეს შეტევა კი ლამის სამ წუთს გაიწელა და საბოლოოდ ხეცურიანმა ანგარიში 80:70 გახადა.

თამაშის დასრულებამდე ხუთიოდ წუთი რჩებოდა, მოედანზე გამოცდილი ამროსი ორმოცაძე რომ დაბრუნდა, რომელმაც შენგელიას ფარქვეშ შეაშველა ხელი და ხოშტარიამ და თორთლაძემ თითო სამქულიანიც რომ ჩაგდეს, „ავიამშენს“ ორ წუთში 3 ქულის გაბათილებაღა ესაჭიროებოდა.

ზურაბ ტომარაძემ თამაშიდან გაიხმო ერთადერთი ტანმაღალი დინამოელი ვალერი კილაძე და სულ მსროლელები დატოვა მოედანზე. ლოსაბერიძემ კი ჩააგდო ორქულიანი, მაგრამ შენგელიას შემჩერებელი ფარქვეშ აღარავინ დარჩა. დინამოელებს ხუთქულიანი უპირატესობა ეპყრათ და თამამად დაჯარიმდნენ შენგელიაზე, რომელმაც მხოლოდ ერთი ქულა მოიხვეჭა საფინალო სირენამდე 110 წამით ადრე.

...დინამოელთა შეტევა ლექსო ლაფანაშვილმა გაანიავა და ორმოცაძის სამქულიანმა „ავიაცია“ მეტოქეს ქულით მიაახლოვა — 84:85. 55 წამი რჩებოდა და დინამოელთა შეტევის მე-20 წამზე ლოსაბერიძემ უნებლიედ აუტში დადგა ფეხი. ბურთი „ავიამშენმა“ შემოიტანა და ხოშტარიაზე უმალ დაჯარიმდნენ — ირაკლიმ მხოლოდ ერთი ჩაგდო და ანგარიში გაათანაბრა. „დინამოს“ ზუსტად იმდენი წამი დარჩა შესატევად, რამდენიც წესით არის განკუთვნილი (24). ჰოდა, დინამოელებმაც ბოლომდე გაათამაშეს ბურთი, პერიმეტრზე უყურადღებოდ დარჩენილი შიო ხეცურიანი მონახეს და... დიდ მატჩებს რომ უხდება, ისეთი ეპიზოდი გამოვიდა.

19 დეკემბერი. ვერის ბაღი

სტუ 95:76 ბურჯი

24:23 29:21 23:12 19:20

სტუ-ჯეოსელი: გაგნიძე (5), მიქაძე (9), დავითულიანი (2), კეიდია (11), მათიაშვილი (14); ჯაფარიძე (12), მარკოიშვილი (11), კოხრეიძე (9), ჩხეტია (9), დ. ბერიშვილი (6), შანიძე (4), პირველაშვილი (3)

ბურჯი: პაპუნაშვილი, აკოლაშვილი (13), დოლიძე (17), ნუცუბიძე (10), დოლმაზაშვილი (9); იაგორაშვილი (14), ქისტაური (10), ქუჯაიძე (2), შერმადინი (1)

მსაჯები: ხათუნა გაბედავა, მალხაზ ანდღულაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

დინამო 88:85 ავიამშენი

25:19 18:15 28:22 17:29

დინამო: გამყრელიძე (23), ხეცურიანი (18), ლოსაბერიძე (20), ბ. ბერიშვილი (8), კილაძე (10); სუხიშვილი (5), ლაფანაშვილი (4), ბექაური

ავიამშენი: თორთლაძე (5), ნიკოლაძე (8), ხოშტარია (16), ორმოცაძე (12), შენგელია (28); ბერძენიშვილი (9), ბ. ნოზაძე (4), წოწელია (3), აბრამიძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

მაკაბი 64:78 თუჯი

18:22 18:36 21:15 7:15

მაკაბი: ბადრიძე (9), გვარამაძე (6), კოტრკოტაძე (5), კოჯაბარია (10), ვაშაკიძე (23); ერგემლიძე (8), ფიცხელაური (3)

თუჯი: ლიპარტელიანი (9), ბოისა (2), ჩაჩუა (7), ტყეშელაშვილი (7), დანელიანი (8); ჭოჭუა (20), მურჯიკნელი (12), არწივიძე (7), ფაიქრიძე (3), გოგილაშვილი (2), გოგსაძე (1)

მსაჯები: ოავით ბერეკაშვილი, ლიკა ქაჯაია

კომისარი: როლანდ გელოვანი

თსუ 92:73 სსუ

22:18 21:17 34:17 15:21

თსუ: მარხვაშვილი (16), მაისურაძე (16), ბერაია (28), ფანჩულიძე (10), კოკოლიშვილი (8); გაფრინდაშვილი (5); ბაქრაძე (5), ლომიძე (4), ხიზანიშვილი

სსუ: პატარაია (8), ზანგურაშვილი (2), ონიკაშვილი (16), ოქროპირიძე (6), გოლეთიანი (9); ჭოველიძე (8), იმედაშვილი (7), გ. ნოზაძე (5), ქვილითაია (10), ჯიქია (2)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

სტუ	9	8	1	+173	17
დინამო	9	7	2	+184	16
თბილავიამშენი	9	7	2	+148	16
თსუ	9	5	4	+79	14
თუჯი	9	5	4	+29	14
მაკაბი	9	2	7	-135	11
ბურჯი	9	1	8	-256	9
სსუ	9	1	8	-222	9

NBA რეგულარული ჩემპიონატი

წადი, წადი, გზებიც დაგვილოცნია

ტორონტო ვინს კარტერს შეეღლია

უამრავი კრიტიკული წერილის გამოცხობის და კიდევ მეტი ჭორაობა-განქიქების შემდეგ ტორონტოში მოსახდენი მოხდა: „რეპტორზმა" ბევრი იფიქრა თუ ცოტა, შემდეგ კი ბევრიც ეძება და ბევრთან ილაპარაკა — აიღო და თვის 9-წლიან ისტორიაში საუკეთესო მოთამაშე და ერთადერთი ოლსტარელი ვინს კარტერი „ნიუ ჯერსიში" გაცვალა.

ნბა-ს ერთადერთ კანადურ ქალაქში კარტერზე უკვე კარგს აღარაფერს ლაპარაკობდნენ. ალბათ ის მეზობელი ბავშვებისთვისაც ველარ იყო კერპი. ჰოდა, სულ თავიდან, ამ ზაფხულს, კლუბის ბოსებს თავად ჩამოუგდო სიტყვა გაცვლაზე.

გრიგება შუა დეკემბერში შედგა: „ნიუ ჯერსი ნეთსმა" ძვირი გადაიხადა ტრავმებისა და ჭორების გადამკიდე თამაშის ხალისდაკარგულ 27 წლის ბიჭში — კარტერის სანაცვლოდ „ტორონტოს" დაუთმო ბებერი ცენტრი ალონზო მურნინგი, ფრთა ერიკ უილიამსი, თავდამსხმელი აარონ უილიამსი და ხურდად 2005 წლის დრაფტის პირველი წრის ორი არჩევანის უფლებაც გააყოლა. კარტერს კი „ტორონტოდან" არავინ გამოყოლია და არავინ იცის, რამდენად გაუმართლებს ის ნიუჯერსელებს მასზე გაცემულ ავანსებს.

მისი ახალი შეფი როდ თორნი მაინც მომავლის იმედით ივსება — ჯეისონ კიდი გამოგვიჯანმრთელდა, რიჩი ჯეფერსონი ისედაც ფარებს ლეწავს და თუ კარტერმაც აკრიფა ძველი ფორმა, ეს ტრიო ცაში დაგვაბრუნებსო. ცისა და ფრენისა რა მოგახსენოთ, კარტერმა თავისებურად, ლაზათიანად მგონი ბოლოს შარშან ჩატენა და კიდის ტრავმიანობასაც თუ გავითვალისწინებთ, ამ ტრიოს სუპერს ჯერ ვერაფრით ვუწოდებთ. თანაც გუნდს ხეირიანი სხვაც არავინ ჰყავს, ასე რომ, თორნის ოპტიმიზმი ყურებჩაყრილი ქომაგებისა და ჰა, ჰა, თანამშრომლების გამხნევებაზე თუა გათვლილი.

ისე, ამ ოპტიმიზმს თავად კარტერიც `იზიარებს — არ შეიძლება, ჯეისონ კიდის გვერდით თამაშმა არ გარგოს, მას ხომ იშვიათი ნიჭი აქვს, მის ირგვლივ მოთამაშენი კიდევ უკეთესები გახადოსო.

კარტერს და კიდს ოდესღაც ერთადაც უთამაშიათ. ეს იყო 2000 წელს სიდნეის ოლიმპიადაზე, როცა კარტერი მართლა მფრინავი დინოზავრი იყო და მატჩში საშუალოდ ლამის 30 ქულას იხვეჭდა. ახლა მისი შედეგიანობა 15 ქულას ძლივს აღემატება.

კოტე ყორღია



ტორონტოელმა ვინს კარტერმა და ნიუჯერსელმა ალონზო მურნინგმა გუნდები გაცვალეს

სამუდამო ვარსკვლავი

ჩინეთმა მინგს ოლ სტარი გამოუწერა

3 თებერვლამდე კიდევ ბევრი კვირა დარჩა, მაგრამ აქედანვე დაუჭვებლად ვიტყვით: ამ დღეს დენვერის „პეპსი სენთერში" ყველა ვარსკვლავის მატჩში აუცილებლად ითამაშებს ჩინური კედელივით გრძელი იაო მინგი. მესამე წელია, მინგი ნბა-შია, საოლსტარო გამოკითხვაში ყოველ სეზონში ყველა დასავლელ ცენტრზე მეტ ხმას აგროვებს და მომავალ შოუშიც დასავლეთის დამწყებ ხუთეულში ვიხილავთ. შეგახსენებთ, რომ აღმოსავლეთის და დასავლეთის სასტარტო ხუთეულს ირჩევს ხალხი — ბოლო წლებში ეს საინტერნეტო გამოკითხვით ხდება — 7-7 სათადარიგოს კი ნბა-ს გუნდების მთავარი მწვრთნელები ასახელებენ.

იაო მინგი კი სულ ხუთეულშია. ის მაშინაც კი მეტ ხმას იღებდა, როცა ცენტრთა შორის ყველაზე ზარდამცემი შაკილ ონილი დასავლეთში თამაშობდა. მინგის პოპულარობას მარტივი ახსნა აქვს — მას მხარს უჭერს და ხმას აძლევს ლამის მილიარდნახევრიანი ჩინეთის ყველა ინტერნეტიანი მოქალაქე. ასე რომ, სანამ მოედანზე სირბილის და ბურთის ჩაგდების თავი ექნება, ყველა ვარსკვლავის შოუ-მატჩში მონაწილეობაც გარანტირებული აქვს.

წელს არც შაკილ ონილს ელის ოლ სტარის გარეთ დარჩენის საშიშროება. ის აღმოსავლელ ცენტრებს ჯობს გამოკითხვაში, თან უზარმაზარი უპირატესობით და ორი წელი იაოს სათადარიგოდ ყოფნის შემდეგ, 3 თებერვალს მას ახლა უკვე მოწინააღმდეგედ შეხვდება.

წინა სეზონში უოლსტაროდ დარჩენილი ვუნდერბიჭუნა ლებრონ ჯეიმსი წელს ალბათ თავიდანვე გავა მოედანზე სხვა დიდი ვარსკვლავების გვერდით. 19 წლის 203-სანტიმეტრიანი მსროლელ-ფრთა ჯეიმსი ჯერჯერობით ყველა აღმოსავლელ უკანახაზელებში პირველობს და ხალხის მხარდაჭერა და აღიარება მასზე ალალიცაა.

ბოლოს გაცნობებთ, რომ გამოკითხვაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან და აღმოსავლეთის თუ დასავლეთის გუნდში მოხვდებიან ყველაზე მეტი ხმის მიმღები ორ-ორი უკანახაზელი და ფორვარდი და თითოც ცენტრი.

კოტე ყორღია



იაო მინგს ხალხის ხმა არ აკლია

აღმოსავლეთი		
უკანახაზელები		
ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)	557 538	ხმა
ალენ აივერსონი (ფილადელფია)	521 245	
დუეინ ვეიდი (მაიამი)	414 763	
სტივ ფრენსისი (ორლანდო)	362 043	
ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი)	190 608	
ფორვარდები		
ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი)	696 652	
გრანტ ჰილი (ორლანდო)	552 328	
ჯერმენ ონილი (ინდიანა)	477 250	
რაშიდ ვოლესი (დეტროიტი)	323 820	
ანთაუნ ჯემისონი (ვაშინგტონი)	128 514	
ცენტრები		
შაკილ ონილი (მაიამი)	854 930	
ბენ ვოლესი (დეტროიტი)	266 891	
ჟიდრუნას ილგაუსკასი (კლივლენდი)	81 006	

დასავლეთი		
უკანახაზელები		
ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი)	680 373	
კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)	673 665	
სტივ ნეში (ფინიქსი)	330 577	
რეი ალენი (სიეტლი)	305 147	
ემანუელ ჯინობილი (სან ანტონიო)	182 532	
ფორვარდები		
კევინ გარნეტი (მინესოტა)	751 586	
ტიმ დანკანი (სან ანტონიო)	570 090	
დირკ ნოვიცკი (დალასი)	321 177	
კარმელო ენტონი (დენვერი)	232 844	
ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი)	174 735	
ცენტრები		
იაო მინგი (ჰიუსტონი)	881 223	
ბრედ მილერი (საკრამენტო)	130 824	
ერიკ დამპიე (დალასი)	109 763	

17 დეკემბერი

ტორონტო 107:100 დენვერი

მაიამი: ვეიდი (25), ონილი (20 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი)
დენვერი: მილერი (24), მარტინი (21)
ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

ატლანტა 84:100 პორტლენდი

ატლანტა: სმიტი (14)
პორტლენდი: რენდოლფი (23), მილზი (20)
სტეფანია განაცხადში არ იყო

ფილადელფია 107:113 ნიუ იორკი

ძირითადი დრო 100:100
ფილადელფია: ტომსი (26), აივერსონი (24)
ნიუ იორკი: მარბერი (27)

ინდიანა 89:86 ტორონტო

ინდიანა: ტინსლი (22), ჰარისონი (22)
ტორონტო: როუზი (23)

ბოსტონი 114:106 იუტა

ბოსტონი: პეიტონი (27)
იუტა: ბუზერი (25), ოქური (21)

მემფისი 89:84 ნიუ ჯერსი

მემფისი: უილიამსი (27)
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (26)

ნიუ ორლეანი 67:83 სან ანტონიო

ნიუ ორლეანი: ნეილონი (22)
სან ანტონიო: დანკანი (19 ქულა, 12 მოხსნა)

მინესოტა 113:86 კლიპერსი

მინესოტა: შერბიაკი (29), გარნეტი (28 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი)
კლიპერსი: ბრენდი (17)

ჰიუსტონი 100:83 გოლდენ სტეიტი

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (27), სურა (24)
გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (25)

ლეიკერსი 116:120 ვაშინგტონი

ძირითადი დრო 104:104
ლეიკერსი: ბრაიანტი (36 ქულა, 14 პასი, 10 მოხსნა), ეტკინსი (23), ბატლერი (17)
ვაშინგტონი: არენასი (37), პიუზი (33), ჯემისონი (22)

სიეტლი 110:112 ფინიქსი

სიეტლი: ალენი (32), ლუისი (26)
ფინიქსი: ჯონსონი (24), მარიონი (22), ნეში (21 ქულა, 12 პასი, 6 მოხსნა)

18 დეკემბერი

ორლანდო 117:95 დენვერი

ორლანდო: მობლი (19), პოვარდი (17)
დენვერი: მილერი (13), ბაკნერი (5), მარტინი (16), ნენე (7), კემბი (4); ჯონსონი (18), ბოიკინსი (13), ვაიტი (13), ელსონი (6), რასელი, ცქიტიშვილი (12 წუთი, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა)

დეტროიტი 74:75 პორტლენდი

დეტროიტი: რ. ვოლესი (17)
პორტლენდი: ვან ექსელი (14)
სტეფანია განაცხადში არ იყო

სან ანტონიო 104:85 გოლდენ სტეიტი

სან ანტონიო: ჯინობილი (21), პარკერი (21)
გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (22)

კლივლენდი 107:114 ბოსტონი

ძირითადი დრო 102:102
კლივლენდი: ჯეიმსი (31)
ბოსტონი: პირსი (34), პეიტონი (21)

ჩიკაგო 85:71 ინდიანა

ჩიკაგო: კარი (23 ქულა, 13 მოხსნა)
ინდიანა: ტინსლი (33)

დალასი 90:68 ატლანტა

დალასი: ნოვიცკი (15 ქულა, 12 მოხსნა)
ატლანტა: უოლკერი (13)

ფინიქსი 110:96 ვაშინგტონი

ფინიქსი: მარიონი (36)
ვაშინგტონი: ჯემისონი (25)

შარლოტი 101:100 ჰიუსტონი

ძირითადი დრო 94:94
შარლოტი: ოკაფორი (23)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (29), მინგი (16)

მილუოკი 97:116 ფილადელფია

მილუოკი: უილიამსი (7), რედი (29), მეისონი (14), სმიტი (12), გაძურიჩი (8); ბილი (8), ჰაუსი (8), ჰამილტონი (6), ჯეიმსი (2), ფიზერი (2), ფაჩულია (2 წუთი, 1 ქულა, 1 მოხსნა)
ფილადელფია: აივერსონი (54)



ფილადელფიელმა ალენ აივერსონმა ზაზა ფაჩულიას „მილუოკის" 54 ქულა ჩაუგდო

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲛᲐ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲛᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲡᲮᲣᲠᲛᲔᲡ

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲖᲕᲘᲐᲓᲐᲣᲠᲘ

ძიუდოისტთა მე-17 მსოფლიო უნივერსიადამ ქართველ ფალავნებს ორი ბრინჯაოს მედალი მოუტანა. მოსკოვში გამართულ შეჯიბრზე სულ ხუთი ჩვენებური მონაწილეობდა, რომელთაგან კვარცხლბეკზე მხოლოდ გიორგი ყიზილაშვილი (100 კგ) და მინდია ხომიზური (66 კგ) ავიდნენ. შედეგად, ყიზილაშვილმა ბუდაპეშტში გამართულ ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონატზე მოპოვებულ ვერცხლს სტუდენტური ბრინჯაოც დაადო ზემოდან, ხოლო ხომიზურს მესამე ადგილისთვის შეხვედრაში ძალიან ლამაზად დაუიპონებია რუსი ვერხოტუროვი.

დანარჩენი სამი ქართველი — გიორგი შინჯიკაშვილი (81 კგ), ზურაბ ზვიადაური (90 კგ) და დურმიშხან ბერუაშვილი (მძიმე) კი უმედლოდ დარჩა. სხვათა შორის, ზვიადაურს ტურნირის დაწყებამდე წონის დაკლება ვერ მოუსწრია, რის გამოც მოსკოვურ ტატამზე არც გასულა. ეს რუსული საგენტოების ცნობაა, ჩვენი ინფორმაციით კი, ქართველმა ოლიმპიურმა გმირმა ხელის უმნიშვნელო ტრავმა მიიღო. მთლიანობაში, უნივერსიადა იაპონელთა ტრიუმფით აღინიშნა, რომლებმაც 5 ოქრო და 2 ვერცხლი მოიგდეს ხელში.

ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲑᲐᲫᲕᲘᲚᲘ

ᲯᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲗᲐᲝᲑᲐ ᲯᲐᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ
ᲯᲐᲚᲝᲡᲜᲔᲑᲛᲐ ᲚᲘᲒᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲡ

ᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲕᲐᲙᲘᲡ ᲯᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲯᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲨᲔᲘᲧᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲪ ᲒᲐᲩᲐᲚᲓᲐ. ᲨᲢᲐᲜᲒᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲡᲐᲜᲘᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲜ ᲙᲐᲡᲐᲑᲘᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲔᲕᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲛᲐ ᲐᲜᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲡᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲔᲗᲥᲛᲝᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲓᲐ. ᲯᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲚᲘᲒᲐ — ᲐᲡᲔ ᲔᲠᲥᲛᲔᲕᲐ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲯᲐᲚᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲕᲐ. ᲚᲘᲒᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲯᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲬᲛᲧᲝᲛᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲙᲐᲪ ᲕᲐᲜᲝ ᲒᲠᲘᲫᲣᲠᲝᲕᲡ ᲒᲐᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲗ

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲖᲕᲘᲐᲓᲐᲣᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

— შეჯიბრის უმთავრესი მიზანი რეზერვების გადახედვა იყო, თან ლიგასაც ჩაეყარა საფუძველი.

— ლიგა საქართველოს ჩემპიონატისგან რითი განსხვავდება?

— ლიგა საქართველოსთვისაა სიახლე, თორემ უცხოეთში ჩვეულებრივი ტურნირია. უფრო გასარკვევად რომ ვთქვა, ეს საკლუბო პირველობაა და წლის განმავლობაში რამდენჯერმე, ტურებად იმართება. რადგან ჩვენს ქვეყანაში ჯერ საკლუბო ძალოსნობა არცთუ განვითარებულია, გადავწყვიტეთ, მომავალ სეზონში ლიგა მწვრთნელებს შორის ჩავატაროთ.

— ცხადია, ყველაზე ძლიერი თქვენი გუნდი იქნება. ასანიძეს და კასაბიევს ვინ გაუწევს კონკურენციას?

— მე, როგორც საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ლიგაზე გუნდი არ მეყოლება. არსენი და გიორგი კი მხოლოდ პირად ჩათვლაში მიიღებენ მონაწილეობას.

— ამჯერად რატომ არ გამოვიდა არც ერთი?

— არსენს მცირე ტრავმა აწუხებს და გადავწყვიტე, არ დამეტვირთა. გიორგი კი ოლიმპიური თამაშების შემდეგ ფორმიდან ამოვარდა და ჩვეული დატვირთვებიდან ჯერ ძალიან შორსაა.

— პოლიტიკაში გადასვლამ მისი სპორტული კარიერა ხომ არ დაასრულა?

— ასანიძე რომ ფორმაში არაა, ეს ჩვეულებრივი ამბავია და საგანგაშოც არაფერია. მთავარია, რომ ვარჯიშს აგრძელებს. დიდი შედეგებისთვისაც აუცილებლად ისევ ვიბრძოლებთ, ოღონდ საამისოდ დროა საჭირო.

— თქვენი ვარაუდით, როდის ვიხილავთ უმაღლეს დონეზე მოშზადებულ გიორგი ასანიძეს?

— ალბათ 2006 წლის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე. იქნებ 2005-შიც. სერიოზული ვარჯიშებით დიდ შედეგებს ისევ მივაღწევთ.

— ახალი დარბაზით კმაყოფილი ხართ?

— სპორტსმენებს არ სცივათ და ნორმალურად ვარჯიში შეუძლიათ. ასე რომ, პირობებს არ ვუჩივით. ერთადერთ პრობლემად ინვენტარის ნაკლებობა რჩება, მაგრამ გაზაფხულისთვის ესეც მოიხსნება. თან არა მარტო ვაკის დარბაზისთვის, არამედ თბილისსგარეთა სკოლებისთვისაც.

— თავად ახალგაზრდა ძალოსნებზე რაღას იტყვით?

— ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი მოდის. ამჯერად საჩხერელ, ქუთაისელ, წყალტუბოელ, ზუგდიდელ და აჭარელ ძალოსნებს შევავლე თვალი და კმაყოფილიც დავრჩი. ამ ეტაპზე მშვენიერი შედეგები აჩვენეს. სერიოზული მუშაობით და ხელშეწყობით კარგი ნაკრების შექმნაც შეიძლება.

ᲝᲗᲐᲠ ᲛᲐᲦᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

ᲒᲘᲝ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ

ᲡᲕᲔᲢᲘ

ᲐᲡᲔ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ

როგორც ძველად იტყოდნენ, წელიწადი მიილია და სპორტისთვის ხალისის წელიწადიც იყო, თუმც, ჩვეული ფეხათრევა, ცხადია, შეიგრძნობოდა. ის კი არა ვარ, ანალიტიკოსი, რომ წლის ანგარიში გამოვაცხადო, თავის პლიუსებით და მინუსებით. უბრალოდ, რომ დაფიქრდე, რა გაგეხარდა, აბა, უოლიმპიადოდ როგორ გამოვა.

სამწუხაროდ, მე ძალოსნობის შეჯიბრი არ მინახავს იმ დღისა, როცა გიორგი ასანიძემ მოიგო და ემოციურად, გახარების ამბავში ზურა ზვიადაურის ფინალი უფრო დამამახსოვრდა. ოქრო ოქროა, მაგრამ მე ის დამამახსოვრდა, ზვიადაურმა რომ გამოიხედა იმ ბოლო ილეთის მერე და ახლა რომ მთელს თბილისში პლაკატებსა და სარეკლამო დაფებზეა გამოკრული.

მგელივით გამოიხედა. აი, რაც გინდათ მიქენით და ნამდვილი მგელი იყო. ტყეში არა და ტელევიზორში კი მინახავს. წიგნებშიც მინახავს ეგეთი ახალგაზრდა მგლები. ძაან გამოხედვა იყო.

ჰოდა, ახლა რომ მთელი წლის ამბავს გადავხედე სწორედ ეს გამოხედვა გამახსენდა. ეგებ იმიტომაც, რომ მართლა მთელს ქალაქში ყოველი კუთხიდან მიყურებს და ყოველ დილით, სამსახურში მომავალმა ჯერ ზვიადაურის ეს გამოხედვა უნდა შევათვალიერო და მერეღა შევაბიჯო რედაქციაში.

ასეა თუ ისე, ეს გამოხედვა სამუდამოა და გაუხუნარი. ზვიადაურს წინ მთელი კარიერა აქვს და ღმერთმა მეტი და მეტი მოაგებინოს, ოღონდაც კი ეს გამოხედვა არ გაქრეს.

განა იოლი გამოხედვაა?

აბა, რამდენ კაცს შეუძლია, რომ ასე გამოიხედოს? ერთ მაგარ კინოში მინახავს, რომ კლინტ ისტვუდს ძმაკაცის მოკვლას ამცნობენ, მოიყუდებს ბოთლს და რომ მოიშორებს ტუჩებიდან, იყურება, როგორც ნამდვილი მგელი. მაგრამ ის კინოა და ის კაცი თამაშობს.

ეს კიდევ ნამდვილად იყო. ვაჯობეო, თქვა მგლის თვალებმა. აი, ასე დამამახსოვრდა. თქვენც ალბათ, თქვენებურად.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲜᲓᲐᲗᲐᲒᲜᲘᲚᲘ

თბილისელი ნორჩი წყალოსანი მხრომელები ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირებს ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციულივე წარმატებებით ასრულებენ. ასე მოხდა პოლონეთში, ქრქესოკის საერთაშორისო ტურნირზეც, რომელიც მერვედ ჩატარდა, ჩვენები კი პირველად მონაწილეობდნენ

ᲛᲔᲓᲐᲚᲗᲘᲗᲕᲘᲜᲐ ᲥᲠᲥᲔᲡᲝᲙᲨᲘ
ᲐᲗᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ ᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ

შეჯიბრებები სამ ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა და თბილისელებმა სამივეში უხვად მოიმკეს მედლები. ჩვენმა ათმა ნორჩმა სპორტსმენმა თექვსმეტი მედალი მოიპოვა და მათი მხრივ ყველას აჯობა. ამ თექვსმეტი მედლიდან ოთხი ოქროსი, შვიდი ვერცხლისა და ხუთიც ბრინჯაოსია. ოდნავ უკეთესი ხარისხის მონაგარი მხოლოდ მასპინძლების წილად მოვიდა.

ახლა კი გაგაცნობთ ჩვენს თავგამოჩენილ სპორტსმენებს. უფროსი ასაკის (14-16 წელი) სპორტსმენებში ჭოლა ჭანტურიამ გაიმარჯვა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, ხოლო ერთმეტრიანზე და 5-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში მეორე იყო.

თეონა ყაჭეიშვილმა (10-12 წელი) გაიმარჯვა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან და 5-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში, ხოლო მეტრიან ტრამპლინზე მესამე იყო.

იმავე ასაკის ჯესიკა მელიქოვამ მეტრიან ტრამპლინზე ოქრო, ხოლო 3-მეტრიანზე და კოშკზე ვერცხის მედლები დაიმსახურა. ამასთან ჯესიკა მელიქოვა და თეონა ყაჭეიშვილი თავიანთი ასაკის სპორტსმენებში საუკეთესოებად დაასახელეს.

მედლები მოიპოვეს მათივე ასაკის სალომე ჯუღელმა და შოთა კორახაშვილმაც.

სალომემ ერთი ვერცხლის (5-მეტრიანი კოშკი) და ორიც ბრინჯაოს (მეტრიანი და 3-მეტრიანი ტრაპლინი), ხოლო შოთამ ორი ვერცხლის (ერთი და 3-მეტრიანი ტრამპლინი) და ერთი ბრინჯაოს (5 მეტრიანი კოშკი) ჯილდო დაიმსახურა.

უმედლოდ არც საერთაშორისო ტურნირების დებიუტანტი აკაკი ივანიშვილი დარჩენილა, რომელმაც მეტრიანი ტრამპლინიდან „ბრინჯაო“ ჩამოიტანა.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲭᲧᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ
ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚ-ᲨᲘ
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

ევროპის VI ჩემპიონატი. ქალები
უნგრეთი. 9-19 დეკემბერი

მეზობლური ომი ჩრდილოეთმა მოიგო

REUTERS ბუდაპეშტიდან

ნორვეგიელი ქალები მეორედ გახდნენ ევროპის ჩემპიონები

ნახევარფინალი

დანია 31:27 რუსეთი

ნორვეგია 44:29 უნგრეთი

როგორც მოსალოდნელი იყო, „ოქროს“ მატჩში ერომანეთის კონტინენტზე საუკეთესოები, დანიელი და ნორვეგიელი ქალები დაუპირისპირდნენ.

დანია ევროსარბიელის სამგზის ჩემპიონია, ნორვეგიელებმა ერთხელ იპირველეს, კიდევ ორჯერ კი ფინალამდე მიაღწიეს. ერთი სიტყვით, გუშინ მეტოქეთა მეოთხე ფინალური შეხლა გაიმართა. მანამდე ორჯერ დანიელებმა იმარჯვეს — 25:23, 25:22, ხოლო 1998 წელს ტიტული ნორვეგიამ მოიგო — 24:16.

მატჩამდე ფავორიტად წლეულს ოლიმპიური თამაშების მომგები დანია ითვლებოდა, ნორვეგიელები ათენის ტურნირზე საერთოდ ვერ მოხვდნენ. მეზობლურ „ომს“ ყველა დიდი ინტერესით ელოდა და თამაშმაც გაამართლა — ბოლომდე დაძაბული, ჯიგრიანი ბრძოლა მიდიოდა, თუმც ბლოკად შეცდომებიანიც.

დასაწყისი ნორვეგიელების იყო — კატია ნიბერგის სამ გოლს ოლიმპიურმა ჩემპიონებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს, თუმც მე-13 წუთისთვის

მესამე ადგილისთვის

უნგრეთი 29:25 რუსეთი

ფინალი

ნორვეგია 27:25 დანია

ზედიზედ სამი ზუსტი ტყორცნით თავად დაწინაურდნენ — 4:3.

შემდეგაც ბრძოლა ბურთი-ბურთში გაგრძელდა, ტაიმი ფრედ მორჩა — 11:11, სულ კი ანგარიში თორმეტჯერ გაყაიმდა. ნორვეგიელებმა ბოლო წუთებზე შეძლეს კიდევ ერთხელ დაწინაურება და ორგოლიანი სხვაობით გაიმარჯვეს.

ბრინჯაოს მედლები მსოფლიოს 2001 წლის ჩემპიონ რუსთა ძლევით მასპინძელმა უნგრეთმა მოიპოვა.

ცხადია, შედგა „ყველა ვარსკვლავის“ შვიდეული, რომელშიც შეიყვანენ დანიელი ვეტერანი მეკარე კარინ მორტენსენი, ოლენა რადჩენკო (უკრაინა), ტანია ლოგვინი (ავსტრია), გრო ჰამერსენგი (ნორვეგია), ლუდმილა ბოდნიევა (რუსეთი), გრიტ იურაკი (გერმანია) და ჟოზეფინე ტურაი (დანია).

ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ ჟიურიმ ნორვეგიელი ფორვარდი გრო ჰამერსენგი დაასახელა, მთავარმეგოლე კი გახდა 72-ჯერ გამტანი უნგრელი ბოჟანა რადულოვიჩი

REUTERS ბუდაპეშტიდან

გრო ჰამერსენგი (მარცხნივ) ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის პრეზიდიუმის

განცხადება

2005 წლის 18 იანვარს დანიშნულია ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.
წესდებით ნებადართული საპრეზიდენტო ორი ვადის გასვლის გამო ბატონი თენგიზ გაზდელიანი იხსნის უფლებამოსილებას.
პრეზიდენტობის მსურველებმა ასოციაციაში განცხადება წარმოადგინონ 12 იანვრამდე

ხარეზმა კულჰარდი იარაღად

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

შოტლანდიელ მეფორმულე დევიდ კულჰარდის ფანების სასიხარულოდ, მათი კერპი „სამეფო რბოლებიდან“ მოკვეთას გადარჩა და „რედ ბულთან“ (ყოფილი „იაგუარი“) ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

შეგახსენებთ, თერთმეტსეზონიან კარიერაში წლევანდელი ყველაზე უხეირო, მხოლოდ მეათე ადგილის გამო „მაკლარენ-მერსედესის“ ხელმძღვანელობამ კულჰარდთან თანამშრომლობის გაგრძელება აღარ ისურვა. „დი-სი“ 1994 წლიდან მოყოლებული, 175 რბოლაში გამოვიდა, მოიგო 13 დიდი პრიზი, დააგროვა 475 ქულა და 2001 წელს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონობაც მოიპოვა.

33 წლის პილოტმა „რედ ბულის“ ბოსებს ესპანეთში ტესტებზე მოაწონა თავი, როცა ორდღიანი გამოცდისას სხვა კანდიდატებზე — ავსტრიელ კრისტიან კლენსა და იტალიელ ვიტანტონიო ლიუციზე სწრაფად იჯირითა.

„რედ ბულის“ მფლობელი დიტრიხ მატეშიცი: „მრბოლების შერჩევისას ორი ვარიანტი გვქონდა, ან ორივე ახალგაზრდა პილოტი აგვეყვანა, ანდა ერთი იუნიორი და ერთიც გამოცდილი, კერძოდ, კულჰარდი. ჩვენ ეს გზა ვირჩიეთ. მას აქვს საიმისო შესაძლებლობა, რომ გუნდი წინ წაიყვანოს. ამჯერად გამოცდილების და ოსტატობის პილოტის ყოლა — წაუგებელი ვარიანტია.“

„წითელი ხარის“ მეორე მძღოლის ვინაობა იანვრის დასაწყისში გახდება ცნობილი, ხოლო საგაზაფხულო ბოლიდის RB1-ის პრეზენტაცია 7 თებერვალს ესპანეთში ტესტებისას მოეწყობა.

გია ახალაძე

ახსენი, ძმაო!

კენტერისს ძველები მიადგნენ

ბერძენი სპრინტერების

— კოსტას კენტერისისა და კატარინა ტანუს წინააღმდეგ IAAF-მა საქმეც აღძრა და გამოძიებაც მიმდინარეობს. ეჭვმიტანილთა სიაში სპორტსმენთა გარდა, კიდევ რამდენიმე პირია. ერთ-ერთი მათგანი სპორტსმენთა მწვრთნელი ხრისტოს ცეკოსი გახლავთ, დანარჩენები კი იმ საავადმყოფოში მომსახურე რამდენიმე ექიმია, რომელშიც კენტერისი და ტანუ იწვნენ სკანდალური ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ. მედპერსონალი დიაგნოზის გაყალბებაშია ეჭვმიტანილი.

შეგახსენებთ, წლეულს ოლიმპიადის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე კენტერსმაც და ტანუმაც ჯერ ჩიკაგოში გააცდინეს დოპინგ-ტესტი, შემდეგ კი თელ ავივში არ გამოცხადდნენ შემოწმებაზე. ბოლოს 12 აგვისტოს, ოლიმპიადის გახსნამდე ერთი დღით ადრე ჰქონდათ შანსი, შემოწმება გაეელოთ, თუმცა ავარიაში მოყვნენ და ჰოსპიტალში ამოყვეს თავი. ამ ყველაფერმა ოლიმპიური კომიტეტი დააეჭვა, მით უმეტეს, რომ პოლიციამ აღნიშნა, ავტოკატასტროფა ჩაწყობილს ჰგავსო.

IAAF-მა 2 დეკემბერს ორკვირიანი ვადა მისცა სპორტსმენებს ახსნა-განმარტების დასაწერად, ძათ მწვრთნელს, ცეკოსს კი ბოლო ვადად 21 დეკემბერი დაუთქვამ.

სპრინტერებმა ახსნა-განმარტება დაწერეს და IAAF-ს უკვე გაუგზავნეს, მმართველი საბჭო კი განიხილავს, რამდენად გულწრფელია ბერძენი წყვილი.

ლადო ფულუკიძე

ჟუსტინამ ისევ გამოიკორტა



დიდ საჩოგნეთში ახლა უტურნირობაა, მაგრამ მობურთალები ჩოგნებს მაინც ვერ ეშვებიან და საჩვენებელ შეხვედრებს მართავენ. სხვებთან ერთად ერთ-ერთ ასეთ ამბავში გაერია ქალთა ამქრის პირველოსანყოფილი, სექტემბრის შემდეგ უთამაშებელი ჟუსტინ ენენ-არდენი. ჭინკა ბელგიელი შარლერუაში ამხანაგურად ფრანგ ნატალი დეშის ერკინა და 6:2, 7:5 დამარცხდა.

შეგახსენებთ, რომ ენენ-არდენს აპრილში შეყრილი მავნი ვირუსის გამო ნახევარი სეზონი გაუცდა და რეიტინგსიის პირველიდან მერვე საფეხურამდე ჩაქვეითდა. მას ჩოგანი აშშ-ის ღია პირველობის მეოთხე წრეში ჩაფლავების მერე აღარ გაენძრია, რაკილა გადაწყვეტილი ჰქონდა, კორტს მხოლოდ საახალსეზონოდ მობრუნებოდა. ეს შარლერუული გაღლაბუცებაც ახალი სეზონისთვის მზადების დასაწყისად უნდა აღვიქვათ.

„დამიჯერეთ, მართლაც ძალიან შეუძლოდ ვიყავი“ — ამბობს ახლა ჟუსტინი, თუმცა როცა იხსენებს, რომ ვირუსიანობის მიუხედავად გასულ სეზონში ცხრიდან ხუთი ტურნირის მოგება შეძლო (რომელთაგან ერთი ოლიმპიადაც იყო), ასკვნის, რომ წელი არც ისე ჩაფლავებული ყოფილა.

პირველი ტურნირი, რომელზეც ის ახალ სეზონში გამოვა, 10 იანვარს დასაწყები სიდნეობა იქნება, ხოლო სიდნეიდან ის პირდაპირ გადაინაცვლებს მელბურნში, სადაც ავსტრალიის ღია პირველობაზე შარშან ნაშოვნ ტიტულს დაიცავს.

ლევან კელაურაძე

ახალი ვუელტა

მადრიდში უკვე გამოცხადდა საგაისო ვუელტას გეგმა: ველოტური გრანდადაში დაიწყება 27 აგვისტოს და მადრიდში დასრულდება 18 სექტემბერს. ტური 21 ეტაპს მოიცავს და სიგრძით 3239 კილომეტრია. ეს კი პრეზენტაციაზე მყოფი „ვუელტას“ ორგზის მომგები რობერტო ერასი გახლავთ.

შეხვდი ფოკერსებს

დიდი ველომრბოლი ლენს არმსტრონგი და მისი მოძღვარი გელფრენდი შერილ კროუ ახალი კომედიის პრეზენტაციაზე მისულან ლოს ანჯელესში. ფილმს „შეხვდი ფოკერსებს“ ჰქვია და მასში რობერტ დენირო, დასტის ჰოფმანი და ბარბარა სტრეიზანდი თამაშობენ.

საშობაოდ

მექსიკურ საშობაო ფესტივალს, პასტორელასი რომ ჰქვია, წლეულს პირველად სწვევიან პროფესიონალი მოჭიდავენი. სხვანაირად რომ ვთქვათ, საცირკო ჭიდაობის მხიარული ოსტატები, რომლებიც წარმოდგენებს მეხიკოს „კოლიზეო არენაზე“ მართავენ.

არა უბრალოდ თამაში

ოცდაშვიდწლიანმა სამოქალაქო ომმა ანგოლის ისედაც ულატაკესი მოქსიკოს პროვინცია მიწასთან გაასწორა. ამიტომ, აქ ფეხბურთი უბრალოდ თამაში კი არა, ცხოვრებასთან კავშირის ერთადერთი საშუალებაა თვით, ომით დახეიბრებული ხალხისთვისაც კი. მაგალითად, ვიქტორ იოლამე (მარცხნივ) 15 წლის წინათ მდინარეზე ჩავიდა წყლის მოსატანად და იქ ნაღმს დაადგა ფეხი. ინვალიდთა ფეხბურთი მისი ცხოვრების ერთადერთი სიხარულია.

ხალედის ყურეში

ზენავთა ფორმულა 1-ის ჩემპიონატი, გაერთიანებული საამიროების პირად, ხალედის ლაგუნაში იმართება. მოგებული მსოფლიოს ჩემპიონად გამოცხადდება. ეს იტალიელი გვიდო კაპალენის, რვაგზის ჩემპიონის ნავია.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კვლაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge